ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო

მასწავლებლის წიგნი

5

ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო

V კლასი

მასწავლებლის წიგნი

გამომცემლობა „კლიო“

ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო,
V კლასი
მასწავლებლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© ელენე მეძმარიაშვილი, ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-05-5

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

სარჩევი

1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია 4

2. სახელმძღვანელოს სტრუქტურა 5

3. მეთოდური რეკომენდაციები 7

4. გაკვეთილის დაგეგმვა 12

5. V-VI კლასების სტანდარტი 17

6. შინაარსის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 21

7. შეფასება 23

8. საათობრივი განაწილება 24

9. შეფასების რუბრიკები 26

10. გაკვეთილის სცენარები და დამატებითი ინფორმაცია 31

11. შემაჯამებელი დავალებების –
    რა ვიცი და რა შემიძლია შეფასების რუბრიკები 73

12. დამატებითი ინსტრუმენტები 82

13. ტესტური დავალების ნიმუშები 84

14. რესურსები 89

1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია

შესავალი

სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“ ითვალისწინებს დაწყებით V-VI კლასებში, საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტით გათვალისწინებული, ამავე სახელწოდების საგნის ფარგლებში, საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის ინტეგრირებულ შესწავლას.

მოსწავლის წიგნის ძირითადი მიზანია სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივება საკუთარი ქვეყნის წარსულისა და აწმყოსადმი; შეასრულოს საინფორმაციო ფუნქცია ანუ მოსწავლეს მიაწოდოს გადამუშავებული, მოწესრიგებული, უახლეს მეცნიერულ მიღწევებსა და გამოკვლევებზე დაფუძნებული ცოდნა საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. სახელმძღვანელო ინტერდისციპლინარულია. იგი დაუკავშირებს მხარის გეოგრაფიას ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიას; მოსწავლეს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციას გაუჩენს; მისი დახმარებით მოსწავლე ჩამოყალიბდება სამშობლოს მოყვარულ, მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერების მქონე მოქალაქედ.

მიზნები

სახლემძღვანელო „ჩვენი საქართველო“ მიზნად ისახავს მოსწავლეს:

- დაანახოს და შეაცნობინოს საკუთარი ქვეყანა სხვადასხვა მხრიდან.
- დაინტერესოს მისი წარსულითა და თანამედროვეობით.
- გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს მრავალფეროვნება მისი სიმდიდრეა.
- ჩამოუყალიბოს მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი მხარის და, ზოგადად, ქვეყნის მიმართ.
- დაეხმაროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრად თავის აღქმაში, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში.
- განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- განუვითაროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ვითარების შეფასებისა და ადეკვატურად მოქმედების უნარი.
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეს საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები.
- ჩამოუყალიბოს წყაროებზე, რუკებზე, სურათებზე, ილუსტრაციებზე, ცხრილებსა და დიაგრამებზე მუშაობის უნერ-ჩვევები.
- შეასრულოს აღმზრდელობითი ფუნქცია ანუ რეალიზაცია გაუკეთოს საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ამოცანებს,
- ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის სრულყოფას სწავლებისა და სწავლის პოეცესში.
- განუვითაროს ისეთი ძირითადი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: სააზროვნო ოპერაციების დაუფლება, კომუნიკაცია, კვლევა, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, შემოქმედებითი აზროვნება, თვითმმართველობა.

სახელმძღვანელოს აკისრია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

1. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფუნქცია

- ცოდნის გადაცემის;
- უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების;
- ცოდნის განმტკიცების;
- ცოდნის შეფასების.

2. ყოველდღიურ და პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფუნქცია

- მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისა და ინტეგრირების;
- რეფერენციის (შესაძლებელია, როგორც ცნობარის გამოყენება);
- სოციალური და კულტურული აღზრდის.

3. ფუნქცია, რომელიც განკუთვნილია მასწავლებლისათვის

- სამეცნიერო და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება;
- კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასწავლო პროცესში და გაკვეთილების ჩატარების დროს დამხმარის ფუნქცია.

2. სახელმძღვანელოს სტრუქტურა

V კლასის სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“ შედგება შესავლის, ხუთი კარისა და 35 თავისგან, რომელიც 42 გაკვეთილზეა გათვლილი. სასწავლო პროგრამის მიხედვით, აღნიშნულ საგანს ეთმობა კვირაში ორი საათი, წელიწადში სამოცდაათი საათი. ერთი თავი შეესაბამება ერთ ან ორ გაკვეთილს, ე.ი. სასკოლო სახემძღვანელოში ერთ თავში მოცემული მასალა განკუთვნილია „ჩვენი საქართველოს“ ერთი ან ორი გაკვეთილისათვის. სახელმძღვანელოში არის შემაჯამებელი გაკვეთილები „რა ვიცი და რა შემიძლია“, რომელიც მთლიანად სწავლების ინტერაქტიური მეთოდის გამოყენებას გულისხმობს.

სასწავლო პროგრამის სამოცდაათი საათიდან დარჩენილი საათები არის სარეზერვო დრო, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შესავალი, განზოგადების და შემაჯამებელი განზოგადების გაკვეთილის, სასკოლო ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, ექსკურსიების, თეატრალური წარმოდგენების და ა.შ. ჩასატარებლად.

თითოეული თავი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. საკვანძო კითხვა; 2. ტექსტი; 3. სამუშაო ნაწილი: კითხვები და დავალებები.

1. საკვანძო კითხვა. მასში დასმულია მთავარი შეკითხვა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ყურადღების კონცენტრირებას და დაინტერესებას თავში მოცემული პრობლემითა და საკითხით.

2. ტექსტი. ტექსტის მიზანია: პასუხი გაეცეს „საკვანძო კითხვას“. ტექსტის ძირითადი კომპონენტებია: ა) ავტორის ტექსტი; ბ) წყაროები (მათზე დართული შეკითხვები და სავარჯიშოები); გ) თვალსაჩინოებები: ილუსტრაციები, რუკები, ცხრილები, სქემები, დიაგრამები და ა.შ. (მათზე დართული შეკითხვები და სავარჯიშოები).

წყაროები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: 1. თემატურად გაღრმავებული ნაწილი. მასში წინ წამოწეულია ავტორის ტექსტში მოკლედ გადმოცემული საკითხები; 2. კონტრასტული ნაწილი. მასში არის ისეთი საკითხები და მოვლენები, რომლებსაც არ ექცევა ყურადღება ავტორის ტექსტში; 3. ბიოგრაფიული და სოციალურ-ბიოგრაფიული. მათი დანიშნულებაა წარმართოს მოსწავლის ყურადღება პიროვნების მიმართ ისე, რომ წინ არ წამოიწიოს ისტორიის პერსონიფიკაციის პრინციპმა და მიღწეულ იქნას შემდეგი მიზანი: ინტერესი ისტორიისადმი, გეოგრაფიისადმი, ინტერესი პიროვნებისადმი, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისადმი.

წყაროები, ფოტოები, სურათები, რუკები, ცხრილები და ა.შ. ერთგვარად „აორმაგებს“ ავტორის ტექსტში მოცემულ ინფორმაციას და ხელს უწყობს ტექსტის უკეთ გაგებას. ზემოთ აღნიშნული თვალსაჩინოებების მეშვეობით, შესაძლებელია ტექსტის გამეორება ვიზუალური „თარგმანის“ გზით და ტექსტში წამოჭრილი საკითხების შევსება და დამატება სულ სხვა, ვიზუალური ფორმით.

სახელმძღვანელოში მოცემული წყაროები და თვალსაჩინოება, რომელიც წყაროს სახით არის მოცემული, უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სამუშაო ნაწილი, რომლის „ამოხსნა“, „წაკითხვა“ და გამოყენება მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა ასწავლოს. უშუალო რეკომენდაციები და რჩევები სახელმძღვანელოს წყაროებსა და თვალსაჩინოებებზე მუშაობისათვის მოცემულია მასწავლებლის წიგნში.

გაკვეთილის შემადგენელი ნაწილია რუბრიკა „გაიგე მეტი“. რუბრიკა მიზნად ისახავს გაკვეთილის თემის გაღრმავებას. იგი ძირითადი ტექსტისგან გამოყოფილია და ოთხი სახის არის: საინტერესო ინფორმაცია, ისტორიის ფურცლები, პიროვნება ისტორიაში, მითები და ლეგენდები და განსხვავდება ლოგოს ფერით. მას ასევე დართული აქვს კითხვები და დავალებები და ძირითადი ტექსტის ნაწილია.

გაკვეთილს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც ტექსტში მოცემული უცხო სიტყვაა ახსნილი.

ყოველი კარის ბოლოს არის შემაჯამებელი გაკვეთილი „რა ვიცი და რა შემიძლია“, რომლის დავალებები აჯამებს და აღრმავებს არა მარტო კარის გაკვეთილებით მიღებულ თეორიულ ცოდნას, არამედ მოსწავლის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შემაჯამებელი გაკვეთილის სათაურიც ამას უსვამს ხაზს.

ტექსტის შინაარსის არჩევისა და აგების განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო **წამყვანი თემები.** წამყვან თემებში იგულისხმება ის კატეგორიები, რომლებიც სცილდება დროისა და სივრცის ჩარჩოებს და მოიცავს გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ძირითად ტენდენციებსა და პროცესებს. სწორედ ამ წამყვანი თემების მეშვეობით ხდება საკითხისა და პრობლემის დასმა. ისინი წარმოადგენს ერთგვარ საყრდენს, საფუძველს, რომელზეც ტექსტი იგება.

ასეთი წამყვანი თემებია: **საქართველოს მხარეები: ქართლი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი, კახეთი, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი; ასევე, საქართველოს დედაქალაქი – თბილისი და სახელმწიფო – ჩვენი საქართველო.**

მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში შესულია ხუთი მხარე: ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და აჭარა. სახელმძღვანელო იწყება შესავლით, რომელშიც სასწავლი საკითხები მოსწავლეს აძლევს დროსა და სივრცეში გარკვევის საშუალებას.

წამყვანი თემები აადვილებს საკვლევი საკითხებისა და სფეროების გამოყოფას და, ამავე დროს, ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც აკონტროლებს და ზღუდავს მასალის სიუხვეს. წამყვანი თემები საგნების ინტეგრირების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ტექსტის ენა მარტივია, სტილი – თხრობით-აღწერითი, არ არის გადატვირთული უცხო სიტყვებით.

3. სამუშაო ნაწილი: კითხვები და დავალებები. სახელმძღვანელოს ამ ნაწილის მიზანია მოცემული თავის შესწავლის შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარ–ჩვევების გაღრმავება. ისინი აქტიურ სასწავლო პროცესზეა ორიენტირებული და მოითხოვს მუშაობის მრავალფეროვნებას. მაგალითად, სავარჯიშოები არის შემდეგი ტიპის: მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი და ინტერპრეტაცია; რუკების, ცხრილებისა და დიაგრამების შედგენა, წაკითხვა და ინფორმაციის გამოყენება; დროში და სივრცეში ორიენტირება; ილუსტრაციებისა და ფოტოების „წაკითხვა“ და მათგან ინფორმაციის ამოღება; გამოკითხვის ჩატარება; მცირე ზომის ნაშრომის დაწერა; დისკუსიისა და დიალოგის წარმართვა; ე.წ. სხვადასხვა ტიპის „ჰენდაუთებზე“ მუშაობა; თამაში როლების განაწილებით (ინსცენირება); ხატვა, ხაზვა და ა. შ.

სამუშაო ნაწილი გამიზნულია ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისთვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოს ტექსტისა და სამუშაო ნაწილის ერთმანეთთან შესაბამისობას. სამუშაო ნაწილში, ძირითადად, არ არის შეკითხვა, რომელზე პასუხიც ტექსტში არ მოიძებნება. სამუშაო ნაწილში არის ისეთი შეკითხვებიც, რომლებზეც მოსწავლემ პასუხი საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით უნდა გასცეს; არის აღწერითი ხასიათის შეკითხვებიც, ზოგი კი მოსწავლის ფანტაზიაზეა გათვლილი.

სამუშაო ნაწილი ხელს უწყობს უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროპორციის დაცვას. სახელმძღვანელოში არის პროპორცია: ა) ინფორმაციას, სავარჯიშოებსა და პრაქტიკულ დავალებებს შორის; ბ) ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს შორის.

3. სასწავლო მასალის თემატური განაწილება, სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

სახელმძღვანელოს შინაარსი შემუშავდა სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით და ახალი სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. თავების სათაურები პასუხობს პროგრამაში შესულ სასწავლო თემებს. საგნების ინტეგრირების მიზნით, სახელმძღვანელო შეიცავს განსხვავებული საგნების მაკავშირებელ თემებს.

სახელმძღვანელოს ყველა ძირითადი კონპონენტი ხელს უწყობს მასალის ათვისებას და საინტერესო, სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ჩატარებას. ამიტომ, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მიაღწიოს მათ ინტეგრირებას სამუშაო პროცესში – გაკვეთილზე. სასურველია, მასწავლებელმა დაამუშაოს და გაკვეთილზე გამოიყენოს სახელმძღვანელოს ყველა კომპონენტი. ამაში პედაგოგს დაეხმარება მასწავლებლის წიგნი. სახელმძღვანელოს ყველა კონპონენტი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

მასწავლებლის წიგნის მიზანია:

1. დაეხმაროს მასწავლებელს თითოეული გაკვეთილის მომზადებასა და ჩატარებაში;
2. მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია;
3. ხელი შეუწყოს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას.
5. სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება

როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი გაკვეთილისთვის?

ყოველი გაკვეთილისთვის მასწავლებელი გულდასმით უნდა მოემზადოს, კერძოდ:

- დაგეგმოს გაკვეთილი, შეადგინოს მისი სცენარი,
- განსაზღვროს, რა სასწავლო რესურსები დასჭირდება ამ გაკვეთილისთვის და
- დროში როგორ გაანაწილებს თითოეულ აქტივობას.

3. მეთოდური რეკომენდაციები

სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სასურველია, რომ სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქტიური იყოს. ინტერაქტიური მეთოდიკა ორიენტირებულია მოსწავლეზე, რომელიც სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურაა და აქტიურად მონაწილეობს ყველა სასწავლო მოქმედებაში – მოიპოვებს და იყენებს მისთვის ახალ ცოდნას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სანიმუშო გაკვეთილები, ძირითადად, აქტიური და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით არის აგებული. ქვემოთ მასწავლებლებს ვთავაზობთ მეთოდების დეტალურ აღწერას, რათა უფრო ეფექტიანად შეძლონ მათი გამოყენება.

I. გონებრივი იერიში

„გონებრივი იერიში“ ერთ-ერთი ინტერაქტიური მეთოდია. მისი მიზანია პრობლემის გადაჭრა მთელი კლასის მონაწილეობით, იდეათა თავისუფალი გამოთქმის გზით. გონებრივი იერიში ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები სწავლობენ სხვის მოსმენას. გონებრივი იერიში შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად ან წარმოადგენდეს სხვა სავარჯიშოს ნაწილს. მასწავლებელი წინასწარ არჩევს პრობლემას და შეკითხვის სახით მკაფიოდ ჩამოაყალიბებს მას. ამის შემდეგ იწყება გონებრივი იერიშის პირველი ეტაპი, რომელსაც იდეათა გენერაციის (დაგროვების) ეტაპი ეწოდება. ამ დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

1. მონაწილეთა მიერ მოსაზრებების გამოთქმის დროს დაუშვებელია მოსაზრებათა კრიტიკა, კამათი ან შეფასება;
2. მონაწილენი იდეებს გამოთქვამენ ნებაყოფლობით და არა – მასწავლებლის სურვილისამებრ;
3. თითო მოსწავლემ შეიძლება გამოთქვას ერთი ან რამდენიმე მოსაზრება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ასევე სხვისი იდეის გამეორება;
4. ყველა იდეა უნდა დაფიქსირდეს (დაიწეროს) დაფაზე (ყველაზე მიუღებელიც კი);
5. როდესაც იდეათა გამოთქმის სიხშირე დაიკლებს, მასწავლებელი კიდევ ერთხელ აძლევს მოსწავლეებს დაფიქრების საშუალებას;
6. დრო შეიძლება წინასწარ განისაზღვროს ან მასწავლებელმა შეწყვიტოს იდეათა გენერაციის პროცესი საჭიროებისამებრ.

მეორე ანუ იდეათა შეფასების ეტაპზე:

1. ხდება გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა;
2. თუ რამდენიმე მოსაზრება მსგავსია, ამ შემთხვევაში ხდება მათი განზოგადება-გაერთიანება;
3. მოსწავლეებს ვთხოვთ, განზოგადებული იდეებიდან ამოარჩიონ 2-3 იდეა, რომელიც მათი აზრით ყველაზე ღირებულია; დაალაგონ ისინი მნიშვნელობის მიხედვით (ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა იწერება პირველი და ა.შ.).
4. საბოლოოდ გამოიყოფა ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც დასმული პრობლემების გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

გონებრივი იერიშის გამოყენება ხელს უწყობს არა მარტო შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, არამედ მოსწავლეს უყალიბებს განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობას და პატივისცემას, უვითარებს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

II. საკლასო დისკუსია

დისკუსია საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას.

დისკუსიის დროს ხდება:

– მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა – ერთი და იმავე საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების ძიება – სხვადასხვა თვალსაზრისების (ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი) თანაარსებობა – საერთო აზრის ან გადაწყვეტილების მისაღებად ჯგუფური შეთანხმების ძიება.

დისკუსიის მეთოდით სწავლება, ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა, დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთება უამრავი გზით არის შესაძლებელი.

იმისათვის, რომ კლასში ღია დისკუსია ჩატარდეს, საჭიროა კლასში ურთიერთპატივისცემისა და ნდობის გარემო იყოს შექმნილი. „უსაფრთხო“ გარემოს შექმნა კი მასწავლებლის მიერ წინასწარი სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს, რომლის მიზანია კლასში სადისკუსიო ქცევის წესებისა და ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ეფექტურია იგი დაწყებით კლასებში, როდესაც ყალიბდება ქცევის სტანდარტები.

დისკუსიის წესების სწავლა და ამ მეთოდის ხშირი გამოყენება ხელს უწყობს არაერთი უნარჩვევის ჩამოყალიბებას, როგორიცაა:

– სხვისი აქტიური მოსმენა – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტაცია– მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და სხვისი ნააზრევის შეფასება.

საბოლოოდ კი ყალიბდება სხვისი, თუნდაც, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა და შემწყნარებლური დამოკიდებულება, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისთვის. იმისათვის, რომ დისკუსია ჩავატაროთ, საჭიროა:

– კითხვის დასმა, პრობლემის წარმოდგენა ან კონკრეტული შემთხვევის აღწერა – დისკუსიის წესების დაცვა – მოსწავლეთა წახალისება, მხარდაჭერა.

ჩვენი სახელმძღვანელოთი ჩატარებული თითქმის ყველა გაკვეთილი ითვალისწინებს საკლასო დისკუსიას.

„მრგვალი მაგიდა“ – მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი) ახდენს აზრთა ურთიერთგაცვლას ერთმანეთთან და კლასთან.

„ფორუმი“ – მთელი კლასი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ საწყისებზე.

„დებატები“ – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათის დროს მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჯერებს და მოსწავლეებთან ერთად გაიმეორებს მიღებულ დასკვნებს. საუკეთესო შემთხვევაში დასკვნები თავად მონაწილეებმა უნდა დააფიქსირონ.

საკლასო დისკუსია შეიძლება მოეწყოს მასწავლებელსა და კლასს ან თავად მოსწავლეთა ჯგუფებს შორის.

საკლასო დისკუსიის მოწყობა ემსახურება რამდენიმე მიზანს ერთდროულად:

- მოსწავლეთა გააქტიურებას
- მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას
- სასწავლო მასალის ათვისების ხელისშეწყობას
- მოსწავლეთა კომუნიკაციის უნარის განვითარებას.
- დისკუსია შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც განვლილ, ასევე, ახალ მასალას.
- სასურველია, თუ გამოვიყენებთ პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც შემოგვთავაზა მოსწავლემ ან მასწავლებელმა.
- დისკუსიის სწორად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია კლასში მერხების განლაგება. სასურველია მერხების წრიული ან ოთხკუთხა განლაგება.

დისკუსიის წარმართვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- დისკუსია ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე – მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს და ჩამოწეროს დაფაზე დისკუსიის მიზნები.
- უნდა შევიმუშაოთ დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი).

- გზადაგზა უნდა მოვახდინოთ რეაგირება მოსწავლეთა გამონათქვამებსა და იდეებზე, ეს დაეხმარება ბავშვს საკუთარი ნათქვამის გააზრებასა და აღქმაში.
- წარმატებული დისკუსიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ერთმანეთის აზრს პატივს სცემდნენ.
- დისკუსიის ბოლოს აუცილებელია მოეწყოს ერთგვარი შეჯამება, გაანალიზება, საკითხების ჩამოთვლა, რომელიც დისკუსიის დროს წინ წამოიწია, პროცესის შეფასება, რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რა არის შემდეგისთვის გამოსასწორებელი.

დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლმის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ავარჯიშებს მოსწავლეებს აზრების ზეპირად, მწყობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადავო საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებეების მოძებნაში. დისკუსიებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა, გადაწყვეტილებების მიღება, დისკუსიის წესების დაცვა. დისკუსიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჯგუფს განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამომჟღავნებასა და პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ ცოდნის გამოყენებაში.დისკუსია პასუხების განუსაზღვრელ რაოდენობას წარმოშობს და არ მოითხოვს ერთადერთ დასკვნას. როდესაც დასმულ კითხვას მომდევნო შეკითხვა მოსდევს, როდესაც მოსწავლე გონებაში ატრიალებს მისთვის საინტერესო თემას და ცდილობს, პასუხები იპოვოს, ცნობისმოყვარეობა პოზიტიურ ინტელექტუალურ ძალად ყალიბდება. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ის ხარვეზები, რომელიც ამ მეთოდის გამოყენებას ახლავს. კერძოდ, უჭირთ წესების დაცვა, გულმოდგინედ ყველა აზრის მოსმენა, რაც იწვევს ხმაურს და ყველა მოსწავლეს არ ეძლევა საშუალება აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.

III. სიუჟეტურ-როლებიანი თამაში

თამაში ადამიანის, და განსაკუთრებით, ბავშვის ქცევის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თამაში სწავლების მიზნით – ესაა შესაძლო რეალობის ჯგუფური გამოკვლევის საშუალება და ამ გზით სოციალური გამოცდილების მიღება.

გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი თვლიდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომლის განხორციელებას საფუძვლად ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება განვმარტოთ, რომ თამაში – ესაა შესაძლო სინამდვილის ჯგუფური და დიალოგური გამოკვლევის მეთოდი. სათამაშო აქტივობას მართლაც სხვადასხვა სახის სიამოვნება უდევს საფუძვლად, კერძოდ:

1. პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის სიამოვნება;
2. სათამაშო სიტუაციების შედეგების სწრაფად გარკვევის სიამოვნება;
3. შეჯიბრისგან მიღებული სიამოვნება;
4. საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირებით მიღებული სიამოვნება;
5. როლში „შესვლის“ სიამოვნება და ა.შ.

სიუჟეტური თამაში – ეს არის გაკვეთილზე გათამაშებული მცირე დადგმა, სპექტაკლი, რომლის მიზანია ბავშვისთვის უცნობი და უჩვეულო მოვლენების გაცოცხლება, მათი გათამაშების გზით.

მასწავლებელი არჩევს გაკვეთილზე განსახილველ (შესასწავლ) თემას და ადგენს სიუჟეტს. შემდეგ ბავშვებთან ერთად ანაწილებს როლებს და მსჯელობს იმაზე, თუ როგორ განხორციელდეს საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენის მსვლელობისას, მასწავლებელმა შეიძლება შეაჩეროს ბავშვები და დაუსვას მათ კითხვები (მაგალითად, წარმოდგენის გაუმჯობესების მიზნით). თამაშის დამთავრების შემდეგ ხდება მისი გარჩევა მთელი კლასის მიერ.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბავშვს, უკეთ გაიგოს მისთვის უცნობი მოვლენები, თამამად გამოხატოს თავისი გრძნობები და აზრები, იგრძნოს თავი ჯგუფის წევრად, ითანამშრომლოს სხვა ბავშვებთან (ანუ მიიღოს მონაწილეობა) და ა.შ. ამასთანავე, თამაშით მიიღწევა ბავშვის სოციალიზაცია (საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოცდილების ათვისება და მიღება).

1. სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენება ახალისებს სასწავლო პროცესს და უფრო საინტერესოს ხდის მას მოსწავლისათვის.
2. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია.

3. სიმულაცია არის მოდელი იმისა, რაც არსებობს ან შეიძლება, არსებობდეს. ერთი სიტყვით, სიმულაცია რეალობის გათამაშებაა.

4. სიმულაცია შეიძლება გათამაშდეს ადამიანის მონაწილეობით და კომპიუტერის მეშვეობით.

6. სიმულაციას ადამიანის მონაწილეობით როლური თამაში ეწოდება.

7. სასურველია, ეს სტრატეგია გამოვიყენოთ რთული თემის დამუშავებისას.

8. თამაშისაგან განსხვავებით, სიმულაციას არ სჭირდება გამარჯვებული.

9. როლური თამაში 3 ძირითადი ნაწილისგან შედგება: სიტუაცია, როლური თამაში, საკლასო დისკუსია.

როლური თამაშები ხელს უწყობს:

- საკითხის ღრმა წვდომას მის ემოციურ დონეზე გათავისებას (როლური თამაშით მოსწავლე ხდება სხვა ინდივიდი, უკეთესად წვდება იმ ადამიანის ხასაითსა და მოტივაციას, ვის როლსაც განასახიერებს)
- საკითხის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებასინფორმაციის შეფასებასა და ორგანიზებასსასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და მოტივაციის ამაღლებასმოსწავლის კომუნიკაციის დონის ამაღლებასანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებასემპათიის (თანაგანცდის) განვითარებას.

10. სიმულაციის ორგანიზებისთვის საჭიროა, მასწავლებელმა:

- წაახალისოს მოსწავლეები იმპროვიზაციისთვისმოამზადებინოს მოსწავლეებს სცენარი ან მოქმედების რამე მარტივი მონახაზი გადაანაწილოს როლებიდადგმის არსი და მიზანი ჩამოაყალიბოს (სასურველია, წერილობით) შეძლებისდაგვარად, დაამზადებინოს მოსწავლეებს მარტივი დეკორაციები, თვითნაკეთი რესურსები, მარტივი კოსტიუმები.

11. გარდა დადებითი ეფექტებისა, გასათვალისწინებელია რამდენიმე სირთულე, რომელიც როლური თამაშების გამართვის შემთხვევაში წარმოიშობა:

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან კარგად განვითარებულ წარმოსახვის უნარს მოითხოვს!
- როლური თამაშების დროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს ზედმეტად არაფორმალური დამოკიდებულება, რაც შემდგომში გაკვეთილის მართვის პროცესს ხელს შეუშლის.

12. როლური თამაშების დასრულების შემდეგ ეტაპზე, სასურველია, ჩატარებული სამუშაოს განხილვა და შეფასება. ამისთვის კი მიზანშეწონილია საკლასო დისკუსიის გამოყენება.

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავცელებული მეთოდია. საკლასო დისკუსიიის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში , ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდიდან გამოიყენება ე. წ. **ჯიგსოუს მეთოდი**. ეს მეთოდი ეფექტურია განსაკუთრებით დიდი მოცულობის თემების შესწავლის დროს. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ეს მეთოდი წარმატებით მუშაობს. მოსწავლეებს შეუძლიათ ცალკეული თემების დამუშავება ძირითადი ჯგუფების შიგნით, ექსპერტთა ჯგუფებში ხდება თემის ნაწილების გაღრმავება, თემის ნაწილები ისევ გადაეცემა ძირითად ჯგუფებს და მოწმდება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნა. ამ მეთოდის გამოყენებით ცხადი ხდება, რომ მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პასუხისმგებლობის გრძნობა, ასევე კომუნიკაციის უნარები. ამასთან დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ შედარებით სუსტ მოსწავლეებს უჭირთ თემის ნაწილის დამოუკიდებლად დამუშავება და ეს გარკვეულწილად დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება აღმოჩნდა მათთვის ინდივიდუალური მიღწევის შესაფასებლად და მეთოდის გამოყენებას სჭირდება დიდი დრო.

პრეზენტაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა. საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსწავლეები კლასის წინაშე მუდმივად უნდა წარდგნენ მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კვლევის შედეგებით, რაც არ ხდება მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში. პრეზენტაციის უნარის ქონა წინაპირობაა არა მხოლოდ სკოლაში მაღალი შეფასების მიღების, არამედ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისაც. ეს მეთოდი საინტერესო სახალისო და მოთხოვნადია განსაკუთრებით დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, თუმცა იკვეთება, რომ

მოსწავლეებს უჭირთ არავერბალური კომუნიკაციის ელემენტების გათვალისწინება, დროის ლიმიტიის დაცვა, თემისათვის შესაბამისი საინტერესო მასალების გამოყენება.

მინი ლექციახშირად გამოყენებულ მეთოდია. ეს არის საშუალება, დროის მცირე მონაკვეთში მოსწავლეებს გადავცეთ საჭირო ინფორმაცია. მაგრამ ეს მეთოდი მოსწავლეებს უმეტესად ცოდნას ძენს (რაც აუცილებელია) და ნაკლებად იძლევა უნარების განვითარების საშუალებას. ამ დროს რთულია აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება და გართულებულია შეფასება ლექციის პროცესში.

ზემოთაღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს ზოგადი უნარების განვითარებას. კერძოდ: ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, შემოქმედებითი და კრეატიული აზროვნება, კომუნიკაცია, კვლევა, სწავლის უნარი, თანამშრომლობა. მაგრამ ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა სპეციფიკური უნარების განვითარებაც. რასაც ხელს უწყობს დისკუსია და დებატები.

დებატები არის ერთ-ერთი საუკეთესო აქტივობა, რომელსაც შეუძლია, გაახალისოს, უფრო შემოქმედებითი გახადოს სასწავლო პროცესი. ის ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრეზენტაციის ძალზე მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესება-განვითარებას. კიდევ შეიძლება ჩამოვთვალოთ კოგნიტური და შემეცნებითი უნარები, რომლებსაც მოსწავლეები დებატების მეშვეობით განივითარებენ: აბსტრაქტული აზროვნება, მოქალაქეობის გრძნობა, ეტიკეტის გაცნობიერება და დაცვა, თვითორგანიზება, საკუთარი თავის რწმენა, საჯარო მეტყველების კულტურა, კვლევა, გუნდური მუშაობა. და ეს სრული ჩამონათვალი არ არის. ჩვენი თვალსაზრისით, დებატები ისტორიის მასწავლებელმა შეიძლება საკმაოდ ხშირად გამოიყენოს, რადგან ისტორიის გაკვეთილებისთვის მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, დებატები ისტორიის გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. იგი ეხმარება ისტორიის მასწავლებელს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას, უფრო საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. დებატები შეესაბამება ისტორიის სწავლების თანამედროვე მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია არა ფაქტებისა და თარიღების დამახსოვრებაზე, არამედ ისტორიული პროცესების გაანალიზებასა და შეფასებაზე, ისტორიული პირებისა და მოვლენების სხვადასხვა რაკურსით დანახვაზე.

დებატების გამართვის თავდაპირველ ეტაპზე დებატებში სასურველია მათში მონაწილეობის უფლების სადავეები ხელში ჰქონდეთ ძირითადად აქტიურ მოსწავლეებს. ამიტომ გამოვიყენეთ „სამი ბარათის“ სტრატეგია. ამ სტრატეგიის მიხედვით, მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დებატების დაწყებამდე აძლევს სამ ბარათს, რომლებზეც წერია სიტყვები „შეკითხვა ან კომენტარი“. თუ მოსწავლეს დისკუსიაში ჩართვის სურვილი ექნება, ასწევს ბარათს, ხოლო მას შემდეგ, რაც დასვამს კითხვას ან გააკეთებს კომენტარს, ბარათს გვერდზე გადადებს და ჩააბრუნებს. მას სამჯერ ექნება დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს სტრატეგია აიძულებს მოსწავლეს, კარგად დაფიქრდეს და მერე ჩაერთოს დისკუსიაში. ეს განსაკუთრებით ეხება აქტიურ მოსწავლეებს. ისინი ეცდებიან გაიაზრონ, ღირს ბარათის «დაკარგვა» იმ კომენტარად, რომლის გაკეთებასაც აპირებენ, თუ ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული კომენტარისთვის შემოინახონ. სამივე ბარათის გამოყენების შემდეგ მოსწავლე ეთიშება დისკუსიას, სანამ ყველა მონაწილე არ გამოიყენებს თავის ბარათებს.

ჩვენს მიერ განხილული მეთოდები ერთმნიშვნელოვნად სასრგებლოა და ავითარებს, როგორც ზოგად ისე, სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს. მაგრამ დაკვირვების დროს აღმოჩნდა, რომ ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული ეს მეთოდები არ იძლევა საშუალებას ყველა მოსწავლე ერთნაირი აქტივობით იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. შეიძლება, რომ ყველა მოსწავლემ ვერ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, ზოგმა თავი შეიკავა, ზოგს არ ეყო დრო ისე გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც სურდა. ამასთან ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული მეთოდების გამოყენება ვერ გახდება იმის საწინდარი, რომ ბოლომდე გაიაზრეს წაკითხული ტექსტი, სიღრმისეულად ჩასწვდნენ საკითხის არსს. სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საშუალებას გვაძლევს წერითი დავალებები. წერითი დავალების დროს მოსწავლე ინდივიდუალურად, მშვიდ ვითარებაში მუშაობს. ცდილობს, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და არგუმენტებით გაამყაროს თავისი მოსაზრება. ამ დროს მას არ უხდება თავისი აზრის მართებულობაში სხვების დარწმუნება, არც განსხვავებული მოსაზრებისთვის ანგარიშის გაწევა და კომპრომისი. სამაგიეროდ, მოსწავლეს ისტორიული კონტექსტის საფუძვლიანად გააზრება მოეთხოვება.

4. გაკვეთილის დაგეგმვა

როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი?

სანამ გაკვეთილის დაგეგმვაზე მუშაობას დაიწყებთ, მოძებნეთ სტანდარტში ის შედეგები და ინდიკატორები, რომელზეც მოცემული თემა, კონკრეტული გაკვეთილი გადის (იხ. მიზნების რუკა) და დაუსვით საკუთარ თავს ორი კითხვა:

1. როგორ მივაღწიო სასურველ შედეგს?

2. როგორ გავიგო, მიღწეულია თუ არა იგი?

გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სასწავლო მასალის ათვისება, ძირითადად, კლასში (სასწავლო პროცესში) მოხდეს, საშინაო დავალებები კი მოსწავლეებს მცირე რაოდენობით უნდა მიეცეს, რათა შეძლონ სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცება და გამეორება.

გაკვეთილის ჩასატარებლად ჩვენ გთავაზობთ, გამოიყენოთ გაკვეთილის სამფაზიან მოდელს.

როგორია გაკვეთილის ABC მოდელი?

იგი შედგება სამი ფაზისაგან (A, B C) და სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობს.

A ფაზაში ხდება მოსწავლეთა პროვოცირება და ინტერესის გაღვიძება შესასწავლი საკითხისადმი.

მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც უკვე იციან (ან სმენიათ) ამ საკითხის შესახებ.

ამავე ფაზაში ხდება მოსწავლეთა მოტივაცია და მათი გააქტიურება. მოსწავლეთა გააქტიურება იმას ნიშნავს, რომ მათ თავად უნდა იაზროვნონ, ჩაერთონ დისკუსიაში, იმსჯელონ და დასვან კითხვები. კვლევა და შემეცნება იწყება იქ, სადაც შეკითხვები ჩნდება. ამიტომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის წახალისება.

ამ საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიგონ, რატომ უნდა შეისწავლონ ეს საკითხები და ჩამოუყალიბდეთ გარკვეული მოლოდინი საგაკვეთილო პროცესისადმი.

B ფაზა – ეს არის ცოდნის კონსტრუირების საფეხური. ამ საფეხურზე მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას და იდეებს. ეს შეიძლება განხორციელდეს ტექსტის წაკითხვის ან მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ან მონაყოლის მოსმენით და სხვადასხვა აქტივობით. როგორც სიტყვა „კონსტრუირება“ გვეუბნება, ამ ფაზაზე უნდა მოხდეს მოსწავლის მიერ ახალი ცოდნის აღმოჩენა, მოპოვება, აგება და არა მზა ცოდნის მექანიკურად დამახსოვრება. ეს სწავლის ის ფაზაა, როდესაც მოსწავლე მაქსიმალურად აქტიური და დამოუკიდებელია. ამ დროს ხდება A ფაზაზე გაღვივებული ინტერესის შენარჩუნება და წამოჭრილ კითხვებზე პასუხების ძიება, ახალი ინფორმაციის გააზრება, კრიტიკული გაანალიზება და დასკვნების გამოტანა.

C ფაზა – გააზრებისა და ცოდნის გამთლიანების საფეხურია. სწორედ ამ ფაზაზე ხდება ახალი ცოდნის ძველთან დაკავშირება, სინთეზირება, ცოდნის გამთლიანება, ახალი ცნებების არსში წვდომა. ახალ ცოდნას რაღაც ახალი შემოაქვს ადამიანში. ეს სიახლე შეიძლება დაკავშირებული იყოს უნარჩვევების ან ინტელექტის განვითარებასთან, ღირებულებათა სისტემასთან, განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბებასთან ან პრაქტიკულ საქმიანობასთან. ამგვარი შემეცნების შედეგად, მოსწავლე კარგად და დიდი ხნით იმახსოვრებს იმას, რაც არსებითია და შეუძლია მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება.

ამავე ფაზის ამოცანაა, მოსწავლეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ამის საფუძველზე ლექსიკის გამდიდრება, თვალსაწიერის გაფართოება და აზროვნების გაღრმავება (პიაჟეს მტკიცებით, ბავშვი აზროვნებას იწყებს მაშინ, როდესაც თანატოლებს შორის კამათში ერთვება).

გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებელმა ABC მოდელის სამივე ფაზა კარგად უნდა გაიაზროს და დაგეგმოს.

ამაში მას დაეხმარება ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდებისა და გაკვეთილის სცენარების ნიმუშები.

მიზანი

გაკვეთილის დაგეგმვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს შედეგს – ანუ, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რას უნდა მიაღწიონ მისმა მოსწავლეებმა ამ გაკვეთილზე (გაკვეთილის კონკრეტული და პერსპექტიული მიზნები).

გაკვეთილის გეგმაში თვალნათლივ უნდა ჩანდეს:

- გაკვეთილის კონკრეტული მიზნები
- გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები
- რას ველით მოსწავლეებისგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ ისინი ამ გაკვეთილზე?

ამოცანები

მიზნების მისაღწევად საჭიროა გარკვეული ამოცანების დასახვა. როგორიცაა:

1. გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების განსაზღვრა
2. სამუშაოს შესრულების ეტაპები
3. მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების ფორმა
4. შეფასების კრიტერიუმები.

აუცილებელი პირობები და რესურსები

მიზნების მისაღწევად წინასწარ უნდა განისაზღვროს, არიან თუ არა მოსწავლეები მზად დაგეგმილი აქტივობების ჩასატარებლად. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გათვალოს, რა დრო და რესურსები სჭირდება მას გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის (სახელმძღვანელო, სხვადასხვა სამეცნიერო თუ შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურა, სამუშაო სქემები, თვალსაჩინოებები, სურათები, დიაგრამები, გრაფიკები, ილუსტრაციები, ბუკი, პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტ-რესურსი, სტიკერები (წებოვანი ფურცლები) სქემები, პოსტერები, პლაკატები, ლეპბუკები და სხვ.) ე.ი. უნდა განისაზღვროს:

- გაკვეთილისთვის საჭირო მასალა
- თეორიული და პრაქტიკული სამუშაოს განხორციელების ეტაპები.

გაკვეთილის აღწერა

მასწავლებელმა დაწვრილებით უნდა აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, მისი ცალკეული ეტაპი, აქტივობები, რომელიც ამ გაკვეთილზე სრულდება (თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი გაკვეთილის მიზნების განხორციელებას და ძირითადად, რა არის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილის მსვლელობისას).

გაკვეთილის მსვლელობა

გეგმის ეს ნაწილი გულისხმობს გაკვეთილის დეტალურ აღწერას:

სასურველია მასწავლებელმა ისე აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, რომ კოლეგამ, თუ მას ამის სურვილი აქვს, შეძლოს შეთავაზებული საგაკვეთილო მოდელით სარგებლობა.

გეგმაში სასურველია 3 მნიშვნელოვანი ფაზის დაწვრილებითი აღწერა:

1. შესავალი – გამოწვევა ანუ პროვოცირების ეტაპი;
2. მთავარი აქტივობა – ძირითადი ნაწილი, რომელიც შინაარსის რეალიზებას, საკითხის არსში წვდომას ემსახურება;
3. დასკვნითი ნაწილი – გააზრების ეტაპი, რომლის დროსაც უნდა მოხდეს გაკვეთილის მსვლელობისას განხილული თემების ანალიზი და სინთეზი, შეჯერება და შეჯამება და მიღებული ცოდნის განმტკიცება.

სასურველია მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმოს, თუ რა დრო დასჭირდება გაკვეთილის თითოეულ ფაზას (გაკვეთილის დროში განაწილება).

განვიხილოთ თითოეული ეტაპი ცალ-ცალკე:

შესავალი

გაკვეთილის შესავალი ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაიწყოს წინა გაკვეთილზე განხილული თემის შეხსენებით (ფრონტალური კითხვებით). ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა აღიდგინოს საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, განვლილი მასალა, რომელიც თავისთავად ხელს შეუწყობს მოსწავლის ახალი თემისთვის შემზადებას. მთავარია წინასწარ გქონდეთ განსაზღვრული:

- როგორ გააცნოთ მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნები და ამოცანები
- როგორ შეძლოთ მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია, მობილიზება და მოტივაცია
- როგორ დაუკავშიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესს.

ძირითადი ნაწილი (შინაარსის რეალიზება)

ამ ეტაპის ამოცანაა ერთის მხრივ „გამოწვევის" ეტაპზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსების შენარჩუნება. მეორეს მხრივ – მოსწავლეთა აქტივობების ხელშეწყობა (დისკუსიაში მონაწილეობა, კრიტიკული ანალიზი, თვალსაზრისთა შეპირისპირება და შეჯერება, ალტერნატიული გზების ძიება). ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- გაკვეთილის მთავარი თემის განსაზღვრა
- საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების შერჩევა
- მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობიერება.

დასკვნითი ნაწილი (რეფლექსია, გააზრება)

- გაკვეთილის ამ ნაწილში შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე არსებითი მომენტი:
- გაკვეთილის ამ ეტაპზე ხდება მოსწავლეთა მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის გააზრება და დასაბუთებასაკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებათვალსაზრისისა თუ ინფორმაციის ინტერპრეტაცია (საკუთარი სიტყვებით გადმოცემა).

მოსწავლე ყველაზე უკეთ იმას იმახსოვრებს, რასაც მისთვის ნაცნობ კონტექსტში ითვისებს და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს და ასაბუთებს. აღქმა მაშინ არის საფუძვლიანი, როდესაც ინფორ-მაცია კონტექსტუალურ სქემაში თავსდება.

ამ ფაზის მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა. რეფლექსიის დროს დისკუსიაში ჩაბმა არა მარტო დისკუსიის მონაწილეებს, არამედ პასიურ მსმენელებსაც აძლევს საშუალებას გაიგონ, იფიქრონ და ამის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ, შეექმნათ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება განხილული საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, ეს არის ცვლილე-ბებისა და რე-კონცეპტუალიზაციის საფეხური სწავლის პროცესში. ამ სტადიაზე ხდება ახალ-ახალი 16

ინფორმაციის ინტეგრაციის მრავალგვარ საშუალებათა გაცნობა, ეს უკანასკნელი უფრო მოქნილ კონსტრუქციებს მიგვაახლოებს, რომლებიც მოსწავლეებმა მომავალში შესაძლოა უფრო პრაქტიკუ-ლად და მიზანმიმართულად გამოიყენონ.

გარდა ამისა, გაკვეთილის დასკვნით ანუ რეფლექსიის ეტაპზე უნდა განისაზღვროს:

1. შეჯამების რა ხერხს მიმართავთ გაკვეთილის ბოლოს.
2. როგორ განახორციელებთ უკუკავშირს მოსწავლეებთან.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი დავალებას აძლევს მოსწავლეებს: შინ, კიდევ ერთხელ გაიხსენონ, რა გააკეთეს ამ გაკვეთილზე, ყურადღებით გაეცნონ (წაიკითხონ) სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი, წყარო) და შეასრულონ „საშინაო დავალება".

მეთოდური რეკომენდაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით

ცოდნის მიღებისას ბევრი ბავშვი სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზების მოძებნა.

ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ნიშნავს. მისი მიზანია ამ ბავშვების განათლების ხელშეწყობა, მათი ინტეგრაცია, შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს, ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს.

ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის და საგნის მასწავლებლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. ამისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების შინაარსი, პროცესი, პროდუქტი სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:

სასწავლო მასალების

სასწავლო რესურსების·სასწავლო გარემოს.

მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა

2. სწავლის მოტივაცია

3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ: მოსწავლის მზადყოფნას, ინტერესს, სწავლას.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავების გამოყენება, სასწავლო მიზნით გათვლისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სწავლის მოდალობებია:

სმენითი

ვიზუალური

კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ“ სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას.

რა არის განათლება?

სმენით შემსწავლელები

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია ის, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა.

კინესთეტიკურად შემსწავლელები

სპრენჯერი ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლო მასალა მათთვის გასაგები იყოს. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას, მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი; ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.
2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო. მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატით სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:
    1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით;
    2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველი ფორმატის ეფექტურობას.

5. V-VI კლასების სტანდარტი

ა) VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ.მეც.დაწყ.(II).1.:**

„საზ.მეც“ – მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;

„დაწყ“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V- VI კლასებს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).1.	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობასთან;
საზ.მეც.დაწყ.(II).2.	ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(II).3.	საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა;
საზ.მეც.დაწყ.(II).4.	რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;
საზ.მეც.დაწყ.(II).5.	საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).6.	ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;
საზ.მეც.დაწყ.(II).7.	ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა;
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).8.	მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.
საზ.მეც.დაწყ.(II).9.	საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების გააზრება ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში; საკუთარი ჩართულობით მათი გამოსწორების მექანიზმების გაცნობიერება;

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა**
საზ.მეც.დაწყ.(II).10.	გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;
საზ.მეც.დაწყ.(II).11.	უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);
საზ.მეც.დაწყ.(II).12.	ღირებულებების – მაგ.: დემოკრატიის პრინციპების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის – მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებისთვის;
საზ.მეც.დაწყ.(II).13.	საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
საზ.მეც.დაწყ.(II).14.	ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
საზ.მეც.დაწყ.(II).15.	მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.

ბ) შინაარსი

სასწავლო პროცესი შემდეგი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე უნდა წარიმართოს:

ცნებები და ტერმინები

საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი გულისხმობს ჩამოთვლილი ცნებების იმპლიციტურ და არა ექსპლიციტურ დამუშავებას:

1. პიროვნება, საზოგადოებრივი ჯგუფები;

2. დრო, უწყვეტობა და ცვლილება (ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია, კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა);

3. ხალხი, მდებარეობა, გარემო (გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა; საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე);

4. ეკონომიკა (პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები);

5. სახელმწიფო და მოქალაქე (საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ძალადობა), არჩევნები, სიმბოლიკა).

6. კულტურული მრავალფეროვნება (ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი, ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები).

თემა V – VI კლასებისთვის

საქართველოს მხარის მოცემული მატრიცა უნივერსალური ნიმუშია, რომლის მიხედვით უნდა აიგოს მასალა ყველა მხარის ირგვლივ, რა თქმა უნდა, მხარეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**
საქა- რთვე- ლოს მხარე	რა ვიცით საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4) რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4) რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4, 14) რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 12) ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 6) როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 9, 12) როგორ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან და რამ განაპირობა ეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13) რამ განაპირობა, რომ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 13) რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 6) რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 5) როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 5, 11) როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა*) გადაჭრაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 12, 14) *ამ ჩამონათვალიდან უნდა გამოვყოთ და მიმოვიხილოთ კონკრეტული მხარისთვის დამახასიათებელი სოციალური პრობლემა. როგორ შემიძლია მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერებლად? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 10, 12) რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 10, 14) რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრადიციული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10) რატომ იყო და არის საჭირო საქართველოს სხვადასხვა მხარეში სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების არსებობა (მაგ.: სკოლა, აკადემია, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი) წარსულსა და თანამედროვეობაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 6, 15)

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:
თბილისი -საქარ-თველოს დედა-ქალაქი	როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 13) როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 12) რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი?) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 14) როგორ განსხვავდება ისტორიული და თანამედროვე თბილისი? როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3, 6, 14) რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)? (საზ. მეც.დაწყ.(II). 1, 3, 5, 15) რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15) რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 6, 13, 15) რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 12, 13) როგორ აისახებოდა/აისახება თბილისი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი და სხვა) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3) როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(II).4) რატომ დგას თბილისში მწვავედ გარემოს (ეკოლოგიის, ჰაერის დაბინძურების) დაცვის პრობლემები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 14) როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ტურისტული და დასასვენებელი (რეკრეაციული) ზონები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10)
სახელ-მწიფო – ჩვენი საქარ-თველო	როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა? (საზ.მეც.დაწყ. (II). 1, 2, 14) რა მნიშვნელობა აქვს და რატომ შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფოს საზღვარი? (საზ.მეც.დაწყ. (II). 1, 2, 4) რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკებისა და მათზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით? (საზ.მეც.დაწყ.(II).4, 5) რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 8, 12) როგორ შევიტანოთ წვლილი ჩემი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (ეკოლოგიური პრობლემები, საგზაო უსაფრთხოება, ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ძალადობის პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა, და სხვა)? (საზ.მეც. დაწყ.(II). 7, 9, 10, 12) რატომ არის ჩემი მოვალეობა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 14) რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13) რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები? (საზ.მეც. დაწყ.(II).1, 3, 13) როგორ ზრუნავს სხვადასხვა ინსტიტუტები ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, თეატრი, მუზეუმი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15) როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 11) როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 12)

6. შინაარსის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12	(II).13	(II).14	(II).15
შესავალი															
1. ვიქტორინა „ჩვენი საქართველო“		*	*												
2.რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში	*	*	*					*	*						
3. რუკა				*											
4. ჰორიზონტის მხარეები				*											
5. ადგილის გეგმა				*											
6. მოვლენების დროში განსაზღვრა		*													
7. წელთაღრიცხვა	*														
8. როგორ ვიკვლიოთ	*	*						*							
კარი 1. ქართლი															
1.1.ქართლი – საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი				*	*		*								
1.2.ქართლი – საქართველოს პოლიტიკური ცენტრი	*	*					*								
1.3.ქართლი და მისი მეზობელი მხარეები			*	*											
1.4.ქართლის ციხე-სიმაგრეები		*	*			*						*		*	
1.5.მრავალეროვანი ქართლი	*		*		*				*			*	*		
1.6.დასახლების ტიპები ქართლში			*		*		*				*				
1.7.მეურნეობის დარგები ქართლში			*			*	*								
1.8.ურთიერთდახმარების ტრადიცია					*		*		*						
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*	*	*										
კარი 2. იმერეთი															
2.1.იმერეთის მდებარეობა და ბუნება			*	*											
2.2.დასახლების ტიპები იმერეთში		*	*		*										
2.3.იმერელთა სამეურნეო საქმიანობა		*	*		*	*									
2.8.კულტურის ძეგლები იმერეთში		*					*	*	*	*					
2.5.ყოველდღიური ცხოვრება იმერეთში		*				*	*	*					*	*	
2.6. იმერეთის ქალაქები		*	*						*						
რა ვიცი და რა შემიძლია			*		*		*	*	*	*		*			
კარი 3. სამეგრელო															
3.1.სამეგრელოს მდებარეობა და ბუნება		*	*	*											

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12	(II).13	(II).14	(II).15
3.2.სამეგრელო წარსულში და დღეს	*	*												*	
3.3.კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა სამეგრელოში		*	*					*						*	*
3.4.საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლებები სამეგრელოში ძველად	*		*					*							
3.5.მეურნეობის დარგები სამეგრელოში			*			*	*								
3.6.მეგრული ტრადიციები		*	*											*	
3.7.სამეგრელო – საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის დამცველი	*	*												*	
რა ვიცი და რა შემიძლია			*	*	*			*	*		*			*	
კარი 4. სვანეთი															
4.1.სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობა			*	*				*				*			
4.2.დასახლების ტიპიდა საცხოვრებელი სახლი სვანეთში		*	*	*											
4.3.მთაში გადაადგილების საშუალებები და საფრთხეები			*			*	*								
4.4.სტიქიური მოვლენები სვანეთში			*		*		*					*			
4.5.სვანური მითები და ნადირობის ტრადიცია		*							*			*			
4.6.მეურნეობის დარგები სვანეთში			*			*									
4.7.სვანეთი – საქართველოს განძთსაცავი			*				*					*		*	*
რა ვიცი და რა შემიძლია			*		*	*		*					*	*	*
კარი 5. აჭარა															
5.1.აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა და ღირსშესანიშნაობები			*	*											
5.2.აჭარული კარმიდამო და დასახლების ტიპები			*		*		*				*				
5.3.აჭარული სტუმართმოყვარეობა	*		*			*	*						*	*	
5.4.აჭარელთა სამეურნეო საქმიანობა			*			*	*								
5.5.რელიგია აჭარაში			*									*	*	*	
5.6.აჭარა – ქართული ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი			*			*	*					*			*
5.7.აჭარული ფოლკლორი			*											*	
რა ვიცი და რა შემიძლია			*			*		*	*			*		*	

7. შეფასება

საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მისი ამოცანები საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში, მიმდინარე შეფასების კომპონენტში, მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეიძლება შეფასდეს შემდეგი ტიპური აქტივობებით:

1. რუკაზე მუშაობა;

2. დიაგრამების, **სკალების** (დროის სკალა) შექმნა;

3. ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;

4. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა.**

5. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, შექმნა);

6. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება, ქცევის წესები („კონსტიტუცია“), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური“, გამოფენა);

7. დოკუმენტების (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;

8. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);

9. საქველმოქმედო, საგანმანთლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;

10. ექსკურსია;

11. დისკუსია;

12. როლური თამაში (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა უნდა შეფასდეს შეფასების რუბრიკებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ამოწმებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ კი – სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

1. საქართველოს ამა თუ იმ მხარის (მაგალითად, ქართლის) რომელიმე პუნქტში ექსკურსიის გზით **კვლევის ჩატარება** (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების **პრეზენტაცია**;

2. საქართველოს ამა თუ იმ მხარის საპატივცემულოდ რაიმე **ღონისძიების გამართვა,** რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება;

3. როლური თამაშით საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა;

4. მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით;

5. ეთნოგრაფიულ **მუზეუმში სტუმრობა** მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;

6. საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;

7. სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატოლებთან დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და თანატოლების პრობლემების ირგვლივ მოგროვილი ინფორმაციის განზოგადება;

8. საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური **მარტივი სამოქალაქო პროექტების** (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

8. საათობრივი განაწილება

გაკვეთილის სათაური	(II).1
შესავალი	1
1. ვიქტორინა „ჩვენი საქართველო“	1
2. რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს წარსულის შესწავლაში	1
3. რუკა	1
4. ჰორიზონტის მხარეები ადგილის გეგმა	1
5. ადგილის გეგმა	1
6. მოვლენების დროში განსაზღვრა	1
7. წელთაღრიცხვა	1
8. როგორ ვიკვლიოთ	
კარი 1. ქართლი	
1.1. ქართლი – საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი	1
1.2. ქართლი – საქართველოს პოლიტიკური ცენტრი	1
1.3. ქართლი და მისი მეზობელი მხარეები	1
1.4. ქართლის ციხესიმაგრეები	1
1.5. მრავალეროვანი ქართლი	1
1.6. დასახლების ტიპები ქართლში	1
1.7. მეურნეობის დარგები ქართლში	1
1.8. ურთიერთდახმარების ტრადიცია	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 2. იმერეთი	
2.1. იმერეთის მდებარეობა და ბუნება	1
2.2. დასახლების ტიპები იმერეთში	1
2.3. იმერელთა სამეურნეო საქმიანობა	1
2.4. კულტურის ძეგლები იმერეთში	1
2.5. ყოველდღიური ცხოვრება იმერეთში	2
2.6. იმერეთის ქალაქები	1
რა ვიცი და რა შემიძლია	

გაკვეთილის სათაური	(II).1
კარი 3. სამეგრელო	
3.1. სამეგრელოს მდებარეობა და ბუნება	1
3.2. სამეგრელო წარსულში და დღეს	1
3.3. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა სამეგრელოში	1
3.4. საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლებები სამეგრელოში ძველად	2
3.5. მეურნეობის დარგები სამეგრელოში	1
3.6. მეგრული ტრადიციები	1
3.7. სამეგრელო – საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის დამცველი	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 4. სვანეთი	
4.1. სვანეთის მდებარეობა	1
4.2. დასახლების ტიპიდა საცხოვრებელი სახლი სვანეთში	1
4.3. მთაში გადაადგილების საშუალებები და საფრთხეები	1
4.4. სტიქიური მოვლენები სვანეთში	1
4.5. სვანური მითები და ნადირობის ტრადიცია	1
4.6. მეურნეობის დარგები სვანეთში	1
4.7. სვანეთი – საქართველოს განძთსაცავი	2
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 5. აჭარა	
5.1. აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა და ღირსშესანიშნაობები	1
5.2. აჭარული კარმიდამო და დასახლების ტიპები	1
5.3. აჭარული სტუმართმოყვარეობა	1
5.4. აჭარელთა სამეურნეო საქმიანობა	1
5.5. რელიგია აჭარაში	2
5.6. აჭარა – ქართული ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი	1
5.7. აჭარული ფოლკლორი	1
რა ვიცი და რა შემიძლია	

9. შეფასების რუბრიკები

მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა

მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	დაბალი
მოსწავლე ავსებს დიაგრამას, ცხრილებს და გამოაქვს დასკვნები	მოსწავლე ცდილობს შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები	მოსწავლეს არ შეუძლია შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები
მოსწავლე აფასებს მოვლენებს, გაიაზრებს წარსულის რეალობას და აკავშირებს დღევანდელობასთან	მოსწავლე ცდილობს შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან	მოსწავლეს არ შეუძლია შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან
მოსწავლე აანალიზებს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს	მოსწავლე ცდილობს გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები	მოსწავლეს არ შეუძლია გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები
მოსწავლე ავლებს პარალელებს	მოსწავლე ცდილობს გაავლოს პარალელები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გაავლოს პარალელები	მოსწავლეს არ შეუძლია გაავლოს პარალელები
მოსწავლე გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლე ცდილობს გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლეა არ შეუძლია გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და შემოგვთავაზოს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.

შეფასების 10 ბალიანი სისტემა

ქულები	მახასიათებლები
1	არ შეუძლია წაკითხულის შინაარსის გადმოცემა. ვერ ახერხებს რუკაზე მუშაობას. არ შეუძლია ცხრილებსა და სხვა საშუალებებზე მუშაობა. ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან ისტორიულ და გეოგრაფიულ დროის ერთეულებს. უჭირს ისტორიულ პირებზე მსჯელობა არ შეუძლია სხვასთან თანამშრომლობა.
2	ვერ ახერხებს შინაარსის გადმოცემას. უჭირს რუკებსა და სხვა ვიზუალურ საშუალებებზე (სქემა, ცხრილი და ა.შ.) მუშაობა. უჭირს გეოგრაფიული და ისტორიული პერიოდების გამიჯვნა. უჭირს ისტორიული გმირების დახასიათება და მათზე მსჯელობა. უჭირს თანამშრომლობა.
3	ცდილობს გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი. სხვების დახმარების გარეშე ვერ ახერხებს რუკებზე მუშაობას. უჭირს ცხრილებსა და სქემებზე მუშაობა. უჭირს მსჯელობა და აზრის ჩამოყალიბება. უჭირს წყვილსა და ჯგუფებში მუშაობა– ვერ შეაქვს საკუთარი წვლილი.
4	შეუძლია გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი, მაგრამ სჭირდება დახმარება აზრის გამართულად ჩამოყალიბებაში. შეუძლია აჩვენოს ობიექტები რუკაზე, მაგრამ ხარვეზებით. უჭირს მსჯელობა და ვინმეს ან რაიმეს დახასიათება. წყვილსა და ჯგუფებში მუშაობისას შეუძლია გაიზიაროს სხვისი დახმარება.
5	ხშირად აქვს სურვილი იმუშაოს დამოუკიდებლად. შეუძლია გაიგოს წაკითხულის შინაარსი. ახერხებს ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციაში. ხარვეზებით, მაგრამ შეუძლია ვიზუალურ საშუალებებზე – რუკები, ილუსტრაციები, დიაგრამები და სხვ. მუშაობა. შეუძლია თანამშრომლობა, თუმცა ზოგჯერ ზედმეტად აქტიური და თავდაჯერებულია.
6	შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა სხვადასხვა საშუალებებსა და წყაროებზე. შეუძლია მსჯელობა, ანალიზი, ასევე ჯგუფური მუშაობა. აქვს ხარვეზები ლექსიკურ მარაგსა და ლოგიკურ მსჯელობაში.
7	თითქმის ყოველთვის ფლობს მასალას. დამოუკიდებლად შეუძლია კითხვის, წერის და სხვა აქტივობებზე მუშაობა. შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებზე მუშაობა (რუკა, წყარო, სქემა, ცხრილი, ილუსტრაცია). გაკვეთილზე აქტიურია და თითქმის ყოველთვის ჩართულია პროცესში. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა. ჯგუფური მუშაობის დროს არ აცდის სხვას მუშაობას.
8	აქვს კარგი მეტყველება. შეუძლია გამართულად ჩამოაყალიბოს აზრი. შუუძლია ფაქტებსა და მოვლენებზე მსჯელობა. დამოუკიდებლად შეუძლია მუშაობა. აქტიურია საშინაო და საკლასო დავალებების შესრულებაში.თავისუფლად შეუძლია რუკებზე მუშაობა. შეუძლია თანამშრომლობა, მაგრამ ზოგჯერ უჭირს სხვისი აზრის მიღება.
9	აზროვნებს კარგად. აქვს შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ყოველთვის მზად არის დამოუკიდებლად ჩაერთოს ნებისმიერი სამუშაოს შესრულებაში. შეუძლია თანამშრომლობა, მაგრამ არ აქვს ლიდერის თვისებები.
10	აზროვნებს კარგად. აქვს შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ყოველთვის მზად არის მუშაობისათვის. აქვს ლიდერობის გამორჩეული თვისებები. შეუძლია დაეხმაროს სხვას.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყენებლად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამია ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი									
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)										
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი										
შემოქმედებითი უნარი										
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება										
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)										
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)										
თვალსაჩინოებების გამოყენება										
აუდიტორიასთან კონტაქტი										
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)										
დროის ლიმიტის დაცვა										
ჯამი										

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვებული ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული 1 ქულა	**მისაღები 2 ქულა**	**ოსტატური 3 ქულა**
1. მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები,მარტივად აღსაქმელი
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3. შინაარსის კორექტულობა	ხშირად გვხვდება შეუსაბამობა, მცდარი ინფორმაცია	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5. კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყაროები არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო და ანალიზი სიღრმისეულია
6. თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნათელია, მაგრამ ერთფეროვანია	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7. შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8. კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	მოსაზრებები დაკავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე
9. დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი იგრძნობა კვლევასთან, ისინი მკაფიოდაა, ჩამოყალიბებულია
10. პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

დებატების შეფასების რუბრიკა

1-3	4-5	6-7	8-10
მოსწავლეს უძნელდება აზრის გამოხატვა, არადამაჯერებლად მსჯელობს. დაბნეულია და საუბრობს არაორგანიზებულად. განკუთვნილ დროზე ადრე ასრულებს	არგუმენტაცია არადა-მაკმაყოფილებელია. უპირისპირდება მოწინააღმდეგის პოზიციას, მაგრამ ზედაპირულად და აკეთებს არაორგანიზებულ ანალიზს. არგუმენტავცია არ არის დამაჯერებელი	კარგი გამოსვლა. არგუმენტაცია დამაკმაყოფილებელი. მომხსენებელი სრულად იყენებს დროს, თუმცა აკლია დამაჯერებლობა	ძალიან კარგი გამოსვლა. დამაჯერებელი არგუმენტაცია. ანალიზი, პრეზენტაცია, არგუმენტაცია დამარწმუნებელია

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	მაღალი-4	საშუალო-3	საშუალოზე დაბალი-2	დაბალი-1
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა
სამუშაოს ორგანიზება	სამუშაოდ კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაოდ არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა
ურთიერთქმედე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ საუკეთესო ურთიერთქმედე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ კარგი ურთიერთქმედ-ე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	ნაწილობრივ აქვთ ურთიერთქმე-დებისა და აზრთა გაზიარების უნარი	არ აქვთ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად ნაკლებად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის არ იყო საქმიანი ურთიერთობები
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	ძირითადად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს

10. გაკვეთილის სცენარები

მოცემული გაკვეთილის სცენარები მასწავლებელს შეუძლია მოარგოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირება.

შესავალი

გაკვეთილის თემა	**2. რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლემ შეძლოს მეცნიერების დარგების მნიშვნელობის გააზრება ამა თუ იმ მხარის ბუნებრივი, სოციალურ- კულტურული მახასიათებლების შესწავლაში, ისტორიული მოვლენების და ფაქტების დაკავშირება ისტორიულ მემკვიდრეობასთან.
შესაბამისობა ესგ	საზ. მეც.(II) 2 საზ. მეც.(II) 3 საზ. მეც.(II) 6
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** გონებრივი იერიში- რა დაგვეხმარება ჩვენი ქვეყნის მხარეების შესწავლაში(სავარაუდო პასუხები: ჩანაწერები, არქეოლოგიური მასალა, ტრადიციები, სიმღერები, კერძები და ა. შ.) 5 წთ **აქტივობა 2.** მინი ლექცია ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოფრაფიის, არქეოლოგიის შესახებ. მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას მეცნიერების ამ დარგებს როგორ შეუძლიათ დაგვეხმარონ ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში. 5 წთ **აქტივობა 3.** სამუშაო ფურცლებზე მუშაობა მოსწავლეებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები(იხ. სამუშაო ფურცელი), სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა პროფესიათა ჩამონათვალი. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებიც მათი აზრით მონაწილეობენ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. აუხსენით, რომ ამა თუ იმ ნივთის აღმოჩენის, დამუშავების და შესწავლის პროცესში მხოლოდ არქეოლოგები არ მონაწილეობენ. 20 წთ **აქტივობა 4.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია 7 წთ **აქტივობა 5.** შეფასება (2 წთ)
შეფასება	განმავითარებელი
რესურსები	დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, თაბახის ფურცლები.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი

სამუშაო ფურცელი 1

ბოტანიკოსი (სწავლობს მცენარეებს)

მხატვარი

არქეოლოგი

გეოლოგი

რესტავრატორი

ზოოლოგი (სწავლობს ცხოველებს)

ფოტოგრაფი

ჟურნალისტი

ანთროპოლოგი (იკვლევს ადამიანის ჩონჩხებს)

დიზაინერი

ექიმი

სამუშაო ფურცელი 2

არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობა

გაკვეთილის თემა	**6. მოვლენების დროში განსაზღვრა**
გაკვეთულის მიზანი	გაეცნონ დროის განსაზღვრის სისტემებს, გაიაზრონ მოვლენათა თანმიმდევრობის დაცვის მნიშვნელობა, შეძლონ დროის ხაზზე მნიშვნელოვანი მოვლენების აღნიშვნა.
შესაბამისობა ესგ	საზ. მეც.(II) 1
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1** **წყარო 1 – გატეხილი სკამი.** დავალების მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოვლენების თანმიმდევრობის დაცვას მათი მიზეზების გარკვევისას. მოსწავლეებმა წყვილებში აღწერონ წყარო. შემდეგ მოცემული ოთხი სურათის თანმიმდევრობა შეცვალონ ისე, რომ მიიღონ ორი განსხვავებული ამბავი. მაგ: გაისმა ბრახუნის ხმა, შემოიხედა ჯერ ბიჭმა, დაინახა ჩამოვარდნილი სკამი, შემდეგ კარები გააღო გოგონამ. ან გოგონამ გამოაღო კარი, წაიქცა სკამი, გაისმა ბრახუნის ხმა, ამ ხმაურზე შემოიხედა ბიჭმა. (10 წთ) **აქტივობა 2.** შესრულებული დავალება წარმოადგინონ კლასის წინაშე (5 წთ) აქტივობა 3 მასწავლებელმა მინი ლექციის სახით, აუხსნას მოსწავლეებს, თუ რას წარმოადგენს კალენდარი, რას სწავლობს ქრონოლოგია, რა მნიშვნელობა აქვს დროის ხაზს რა პრინციპით შეიძლება მოვლენების დალაგება დროის ხაზზე. (5 წთ) **აქტივობა 4.** დროის ხაზის შედგენა. მოსწავლეება მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები ჯერ წარმოადგინონ ცხრილის სახით (იხ. ცხრილი) და შემდეგ დაიტანონ ეს მოვლენები დროის ჰოტიზონტალურ ან ვერტიკალურ ხაზზე (15 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა (იხ. რუბრიკა)
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ცხრილები

რეკომენდაცია: კარგი იქნება თუ დაავალებთ მოსწავლეებს დიდი ფორმატის ფურცელზე აღნიშნონ შემდეგი ორი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები. ეს საშუალებას მისცემს სასწავლო კურსის ბოლოს მთელი ქრონოლოგია ერთიანი სახით წარმოადგინონ. საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, შეუძლიათ გამოიყენონ სმაილები (მოწყენილი ან მხიარული)

მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა

მაღალი	**საშუალოზე მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
მოსწავლეს შეუძლია ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება	მოსწავლე ცდილობს ქრონოლოგიურ ჭრილში გაიაზროს ფაქტები და მოვლენები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას ქრონოლოგიურ ჭრილში გაიაზროს ფაქტები და მოვლენები	მოსწავლეს არ შეუძლია ქრონოლოგიურ ჭრილში გაიაზროს ფაქტები და მოვლენები
მოსწავლე ადგენს დროის ხაზსს	მოსწავლე ცდილობს შეადგინოს დროის ხაზი	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას დროის ხაზის შედგენისას	მოსწავლე ვერ ადგენს დროის ხაზს.

სამუშაო ფურცელი დავალებისათვის დროის ხაზი

თარიღი	მოვლენა ჩემი ცხოვრებიდან

გაკვეთილის თემა	**7. წელთაღრიცხვა**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაეცნოს წელთაღრიცხვის სისტემებს, გაიაზროს ფაქტები და მოვლენები ქრონოლოგიურ ჭრილში. გააცნობიეროს ანაქრონიზმის მნიშვნელობა
შესაბამისობა ესგ	საზ. მეც. (II) 1
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მინი ლექცია წელთაღრიცხვის სისტემების შესახებ (10 წთ) **აქტივობა 2.** დავალება 1 და დავალება 2-ის შესრულება (10 წთ) **აქტივობა 3.** მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს ანაქრონიზმის მნიშვნელობას და სთხოვს დავალება 4 -ის შესრულებას. დავალება რაინდი კომპიუტერთან. მოსწავლემ უნდა დაადგინოს შეუსაბამობა. მოსწავლეებს აუხსენით, რომ რაინდი იყო იმ წოდების წარმომადგენელი, რომელიც XI საუკუნის დამდეგისათვის ევროპაში წარმოიშვა. რაინდი კეთილშობილ მეომართა საზოგადოებიდან მოდიოდა, რომლისთვისაც უპირველესი ღვთის სამსახური და ღირსების დაცვა იყო. საბრძოლველად შეიარაღებულ რაინდს მთელი სხეული ჯავშნით ჰქონდა დაფარული. XI საუკუნის ბოლომდე ეს იყო რკინის რგოლებისაგან მოქსოვილი ჯაჭვის პერანგი. მოგვიანებით მას ლითონის ფირფიტებისაგან გაკეთებული აბჯარი ცვლის. ბრძოლის დროს რაინდი თავზე იხურავდა მუზარადს – რკინის ჩაფხუტს, კონუსის ფორმის მქონე თავსაბურავს. მუზარადს თან ახლდა ლითონის ფირფიტა ცხვირის დასაცავად. რაინდის საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა მძიმე მახვილი და გრძელი შუბი რომბისებრი რკინის ბუნიკით. რაინდი ასევე განუყრელად ატარებდა ხისა და ტყავისაგან დამზადებულ ფარს, რომელიც ლითონის ფირფიტებით იყო დაფარული. ფარი ჯერ მრგვალი იყო, შემდეგ კი ისე დაგრძელდა, რომ მთლიანად ფარავდა მხედარს. ამრიგად, რაინდი ცოცხალ ციხესიმაგრე ემსგავსებოდა. კომპიუტერული სისტემების შექმნა კი XX საუკუნეში დაიწყო. ასე, რომ შეიარაღებული რაინდი კომპიუტერთან ანაქრონიზმია. (10 წთ) **აქტივობა 4.** მოსწავლეებმა მოიფიქრონ ანაქრონიზმის მაგალითები (დავალება 3-ის მაგალითზე) (5წთ) **აქტივობა 5.** შეფასება
შეფასება	განმავითარებელი
რესურსები	სახელმძღვანელო, რვეული, დაფა, ცარცი
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი

დამატებითი ინფორმაცია

დავალება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენეთ, რომ **კულტურული მემკვიდრეობა არის** კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და გადაეცემა თაობიდან თაობას.

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს: ანტიკვარულ ნივთს, ასი ან მეტი ხნის წინ შექმნილს, რომელიც კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებულ საგანს წარმოადგენს, არქეოლოგიური ძეგლი, არქეოლოგიური ზონა, დამცავი ზონების სისტემა, ისტორიული დასახლება (ქალაქი, დაბა, სოფელი ან მათი ნაშთი), არქიტექტურის ძეგლი (სამოქალაქო, საკულტო, თავდაცვითი, სამეურნეო და სხვა შენობები ან მათი ნაწილები), მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ფრესკა, რელიეფი, ქანდაკება, საფლავის ქვა)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები იყოფა რამდენიმე კატეგორიად:

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძეგლი
ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი.
ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლი.

პროექტისათვის „ჩემი მხარის ძეგლები“, მოსწავლეები დაყავით მცირე ჯგუფებად. გააცანით დავალების პირობა და ის საკითხები, რომელსაც უნდა შეეხონ პრეზენტაციის მომზადების დროს. მაგ: ძეგლის ადგილმდებარეობა, მისი შექმნის ისტორია, ლეგენდები და თქმულებები, ახლანდელი მდგომარეობა, მისასვლელი მარშრუტი, გამოყენებული მასალა. მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მოპოვების საშუალება შეიძლება გახდეს: ბიბლიოთეკა, მასწავლებლები, ელექტრონული რესურსები, დამხმარე ლიტერატურა, ბეჭდური საშუალებები, გამოკითხვა. დავალება შეფასდება 10 ქულით. შეფასების რუბრიკა და კრიტერიუმები მოსწავლეებს უნდა გააცნოთ წინასწარ.

პრეზენტაცია თემაზე „ჩემი მხარის ძეგლები“ შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულები
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაცნობიერება ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა-2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა-1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა-0	2
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა-2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა-1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა-0	2
დროის ლიმიტი იცავენ დროის ლიმიტს-2 უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა-1 ვერ იცავენ დროის ლიმიტს-0	2
თემა გასაგებადაა წარმოდგენილი	1
შინაარსი კორექტულია, ფაქტები ზუსტია და მკაფიო, გამოყენებულია თვალსაჩინოებები-3 შინაარსი ძირითადად კორექტულია, გამოყენებულია თვალსაჩინოებები, თუმცა გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ინფორმაცია-2 შინაარსი შეუსაბამოა და ხშირად ვხვდებით მცდარ ინფორმაციას, თვალსაჩინოებები მწირია-1 შინაარი შეუსაბამოა, არ არის გამოყენებული თვალსაჩინოებები-0	3

რუბრიკა: პიროვნება ისტორიაში.

ქართული არქეოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა. ის სათავეში ედგა საისტორიო -საეთნოგრაფიო საზოგადოებას და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილი ნივთები შეეგროვებინა და მუზეუმისთვის შეეძინა. მისი თაოსნობით არაერთი არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო. მათ შორის, ლეჩხუმში, სვანეთში, მონაწილეობდა ვანის გათხრებშიც. ის წლების მანძილზე მცველად ედგა საქართველოს საგანძურს, რის გამოც „საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესი“ უწოდეს. ამბობენ, საგანძურის „ემიგრაციისას „ბრიტანეთის მუზეუმს უთხოვია ახალგორის განძიდან ერთი ნივთის შეძენა.სანაცვლოდ, პირობას დებდა, რომ სხვა ნივთების დაცვის თანხას გამოყოფდა და ალბომებსაც გამოსცემდა. ექვთიმეს ეს მოლაპარაკება ჩაუშლია.

რუბრიკა ეს საინტერესოა

მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი ძუძუანას გამოქვაბული, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის ტერიტორიაზე მდებარეობს.თუ აქამდე ჩეხეთის აღმოჩენებით ითვლებოდა, რომ უძველესი ქსოვილი ადამიანმა 29 ათასი წლის წინ დაამზადა, ჭიათურის გათხრებით ამ თარიღმა 34 ათას წლამდე გადაიწია. ძუძუანას მღვიმეში სამუშაოებს მეცნიერთა ჯგუფი 1996 წლიდან აწარმოებს, რომელშიც ქა რთველების გარდა ამერიკელი და ებრაელი სპეციალისტებიც შედიან.

კარი 1. ქართლი

გაკვეთილის თემა	1.1. ქართლი – საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლემ შეძლოს რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა, ქართლის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა, სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა, დაადგინოს, თუ რატომ ითვლება ქართლი საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრად
შესაბამისობა ესგ	(II)1 (II) 14 (II) 18
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული მხარეებისა (გვ. 8-9) და ქართლის რუკის (გვ26-27), ასევე წყარო 1-ის საშუალებით დაადგინონ, თუ რა ადგილი უკავია ქართლს და რომელი მხარეები ესაზღვრება ჰორიზონტის მხარეების მიხედვით. (5წთ) **აქტივობა 2.** საქართველოს ფიზიკური რუკის (გვ.6-7) მიხედვით, უპასუხონ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს და წყარო 2-ის კითხვებს (10 წთ). მოსწავლეები რუკის საშუალებით მიიღებენ ინფორმაციას ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. (10 წთ) **აქტივობა 3.** მინი ლექცია. მასწავლებელი საუბრობს ქართლში გამავალ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 4.** წყარო 3-ის ანალიზი. აღწერონ სურათი – რა არის გამოსახული. იმსჯელონ, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას ნავთობსადენმა, რამდენად უსაფრთხო შეიძლება იყოს ეს ქვეყნისთვის. რუკის საშუალებით, დაადგინონ, რომელ ქვეყნებზე გადის აღნიშნული ნავთობსადენი. (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება (მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა) (5 წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება. დაწერონ მოკლე თხზულება – გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე
შეფასება	განმსაზღვრელი(მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა)
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი,
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალური
წინარე ცოდნა	მე-4 კლასის ბუნების კურსში, ასევე, მოცემულ სახელმძღვანელოს შესავალ გაკვეთილში შესწავლილი აქვთ რუკა და გეოგრაფიული ობიექტები

გაკვეთილი დაიწყეთ რუკის ანალიზით, რაც დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრონ ქართლის, როგორც საქართველოს ცენტრალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ადგილმდებარეობა და მოსაზღვრე მხარეები ჰორიზონტის მიმართულებების მიხედვით (აღმოსავლეთით – კახეთი, დასავლეთით – იმერეთი, სამხრეთით – სამცხე-ჯავახეთი). შემდეგი აქტივობა დაგეხმარებათ შეამოწმოთ, რამდენად კარგად გაიგეს რუკის წაკითხვა ლეგენდის საშუალებით. მოსწავლეები კი მიიღებენ ინფორმაციას ქართლის ბუნებრივ- გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, რაც შემდეგ გაკვეთილებშიც გამოადგებათ.

მინი ლექციის დროს ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ საქართველოზე უძველესი დროიდან გადიოდა ე. წ. „აბრეშუმის გზა“, რომელიც ინდოეთიდან და ჩინეთიდან ევროპისაკენ მიემართებოდა. ამიტომ გზების მშენებლობას ჩვენში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. იგებოდა ხიდები, იდგმებოდა მანძილის მაჩვენებელი ქვის სვეტები, გზები ქვებით იყო მოკირწყლული. დღეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდილია. სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გარდა, საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი ნავთობსადენი და გაზსადენები.

შემდეგი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს არგუმენტირებულად იმსჯელონ ნავთობსადენის სარგებლიანობაზე ქვეყნის ეკონომიკისა და უსაფრთოებისათვის. რუკის საშუალებით კი, დაადგენენ მოსაზღვრე ქვეყნებს, რომლებზედაც გადის ნავთობსადენი (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი).

გაკვეთილის თემა	**1.2. ქართლი – საქართველოს პოლიტიკური ცენტრი**
გაკვეთილის მიზანი	გააანალიზოს ქართლის საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად გახდომის მიზეზები
შესაბამისობა ესგ	(II)1 (II)4 (II)5 (II)14 (II)21
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** (5წთ) მინი ლექცია ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ. (5წთ) **აქტივობა 2.** (5წთ) წყაროზე მუშაობა. მოსწავლეები წყვილებში ეცნობიან ლეგენდას ქართლის დაარსების შესახებ და სქემის სახით წარმოადგენენ ნოეს შთამომავლობას. (5წთ) **აქტივობა 3.** კითხვა- პასუხი მასწავლებელი სთხოვს გაიხსენონ ქართლის მოსაზღვრე მხარეები და ფიზიკური მახასიათებლები. (5წთ) **აქტივობა 4.** ტექსტზე მუშაობა – მოსწავლეები ჯგუფებში ამუშავებენ სახელმძღვანელოს ტექსტს და აზრობრივი რუკის საშუალებით დაადგენენ იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის შემოდინება. (10წთ) **აქტივობა 5.** გაეცნონ წყარო 2-ს. მცხეთის და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობების დახმარებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, რა როლი შეიძლება შეასრულოს მცხეთამ ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში. (10წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება-მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ქართლის ისტორიული ძეგლების შესახებ და დაიტანონ მათი შექმნის თარიღები დროის ხაზზე. **აქტივობა 7.** შეფასება
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი,
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები, ჯგუფური მუშაობა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია ქართლის, როგორც გეოგრაფიული ცენტრის შესახებ

გაკვეთილი დაიწყეთ მინი ლექციით ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს დროის მცირე მონაკვეთში მოსწავლეებს გადავცეთ საჭირო ინფორმაცია.

ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“ („ქართლის ცხოვრების პირველი თხზულება“) ნათქვამია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა თავისი სარდალი აზონი (აზო) გამოაგზავნა ქართლის დასაპყრობად. მან მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი სახლეული გააძევა. ლეგენდის თანახმად, მოკლული სამარას ძმისშვილი ფარნავაზი ერთხელ სანადიროდ გაემართა. მოულოდნელად წვიმამ მოუსწრო და თავი გამოქვაბულს შეაფარა, სადაც აურაცხელ განძს წააწყდა. განძს ოჯახის წევრებთან ერთად დიდხანს ეზიდებოდა სახლში ურმებით. ფარნავაზმა ამ განძით ჯარის დაქირავება გადაწყვიტა. მასთან ბრძოლაში აზო დაიღუპა. ფარნავაზმა ეგრისის მმართველ ქუჯისთან ერთად მთელი საქართველო გააერთიანა, რომელსაც ქართველი მემატიანეები ქართლს, ხოლო ბერძნები იბერიას უწოდებდნენ.

.მომდევნო აქტივობა დაეთმობა ლეგენდის გაცნობას ქართლის დაარსებაზე და სქემის სახით წარმოადგენენ ნოეს შთამომავლობას

ნოე
იაფეტი
თარგამოსი
ქართლოსი

ქართლის ფიზიკური მახასიათებლებისა და მოსაზღვრე მხარეების გახსენება დაგეხმარებათ შეამოწმოთ, თუ როგორ ახსოვთ წინა გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია და ამასთან მოამზადოთ შემდგომი აქტივობისთვის.

გააცანით მოსწავლეებს ტექსტის ის ნაწილი, სადაც საუბარია ქართლში მოსახლეობის შემოდინებაზე. სთხოვეთ აზრობრივი რუკის შევსება, რათა შეძლონ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზების თვალნათლივ დანახვა (სავარაუდო პასუხები: მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, სახნავ-სათიბი მიწების სიმრავლე).

სახელმძღვანელოში მოცემულია მცხეთის ისტორიული ძეგლების ილუსტრაციები: ზედაზენი, არმაზისციხე, ჯვრის მონასტერი, შიო მღვიმე, სვეტიცხოველი, პომპეუსის ხიდი. მოსწავლეებს დაავალეთ იმსჯელონ, ისტორიული ძეგლების ასეთმა მრავალფეროვნებამ, რა როლი შეიძლება შეასრულოს ტურიზმის განვითარებაში.

საშინაო დავალება: ინტერნეტ რესურსების ან დამხმარე ლიტერატურის გაცნობით, მოიძიონ ინფორმაცია ზემოთ დასახელებული ისტორიული ძეგლების შესახებ, დაიტანონ მათი შექმნის თარიღები დროის ხაზზე.

აზრობრივი რუკა. აზრობრივი რუკის მიზანია კონკრეტულ საკითხებზე მოსწავლეთა ცოდნის დადგენა-შემოწმება. იგი ხელს უწყობს ინფორმაციის შეგროვება-მობილიზებას, ახალი იდეების დაბადებასა და დამატებას. წრის შუაგულში იწერება ერთი ან ორი სიყტვა. ირგვლივ კი ყველა აზრი, რომელიც ამ სიტყვას უკავშირდება. აზრობრივი რუკა შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა მოტივაციისთვის.

გაკვეთილის თემა	**1.3. ქართლი და მისი მეზობელი მხარეები**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებმა გაანალიზონ ქართლის მეზობელ მხარეებთან ურთიერთობის ფაქტორები, გაეცნოს როგორია ბუნებრივი რესურსების გავლენა მხარის მეურნეობის განვითარებაზე
შესაბამისობა ესგ	(II)12 (II)13 (II)14 (II)24
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** გონებრივი იერიში – რა ტიპის ურთიერთობები შეიძლებს ჰქონდეს სხვადასხვა მხარეს ერთმანეთში. (5 წთ) **აქტივობა 2.** კითხვა – პასუხი. გაიხსენონ ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები და გამოთქვან ვარაუდები მეურნეობის რა დარგები შეიძლება განვითარებულიყო. (5 წთ) **აქტივობა 3.** მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, ჯიგსოუს მეთოდით ამუშავებენ სახელმძღვანელოს ტექსტს და ავსებენ ცხრილს: რა ტრადიციები აქვს მეცხვარეობის განვითარებას ქართლში, რაში ჭირდებოდა ქართლს მეზობელი მხარეები და რაში ჭირდებოდათ მათ ქართლი, რა როლი შეიძლება შეასრულოს ეკონომიკის განვითარებაში მეცხვარეობამ. (20 წთ) **აქტივობა 4.** პრეზენტაცია (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია ქართლის სხვა კუთხეებთან ამჟამინდელი ურთიერთობის შესახებ.
შეფასება	ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფორმატის ფურცლები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფური მუშაობა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია ქართლის გეოგრაფიული მდებარეობის, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ

გაკვეთილი დაიწყეთ გონებრივი იერიშით – რა ტიპის ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მხარეს ერთმანეთთან (სავარაუდო პასუხები: მტრული, კეთილმეზობლური, სავაჭრო). ამის შემდეგ მოსწავლეებს დაუსვით კითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად: ა. როგორია ქართლის გეოგრაფიული მდებარეობა , მთა სჭარბობს თუ ბარი. ამის შემდეგ გამოთქვან ვარაუდები მეურნეობის რომელი დარგები შეიძლება განვითარებულიყო. მაგალითად, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეხილეობა.

ჯიგსოუს მეთოდით ტექსტის დამუშავება საშუალებას მოგცემთ დიდი მოცულობის ტექსტი მოკლე დროში დაამუშაოთ (იხ. ჯიგსოუს მეთოდი გვ.12-13). ჯგუფებმა აირჩიონ პრეზენტატორი. თითო ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფის მიერ.

რა ტრადიციები აქვს მეცხვარეობის განვითარებას ქართლში	რაში ჭირდებოდა ქართლს მეზობელი მხარეები	რაში ჭირდებოდათ მეზობელ მხარეებს ქართლი	გამოთქვით ვარაუდი, რა როლი შეიძლება ითამაშოს მეცხვარეობამ ეკონომიკის განვითარებაში

რეკომენდაცია: დავალება 8, პარაგრაფი 1.3

მოსწავლეებს დაავალეთ დროის ხაზზე დაიტანონ წმინდა ნინოს მცხეთელ მწყემსებთან შეხვედრის საუკუნე, ქართლის სამეფოს დაარსების თარიღი. ასევე უპასუხონ დასმულ კითხვებს

- რამდენი ასეული წელი აშორებს ამ ორ მოვლენას ერთმანეთისგან?
- რამდენი ათასეული წელი გვაშორებს ჩვენ ქართლის სამეფოს წარმოშობას?

რეკომენდაცია. დავალება 9, პარაგრაფი 1.3 ცხრილის შევსება

დასახელება	რაში გამოიყენება
ცხვრის მატყლი	
რძე	
ხორცი	
ტყავი	

გაკვეთილის თემა	1.4. ქართლის ციხესიმაგრეები
გაკვეთილის მიზანი	გაეცნონ, რა საშუალებებით იცავდა ქართლი თავს მტრებისგან.
შესაბამისობა ესგ	(II)2 (II)3 (II)6 (II)12 (II)14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** ქართველი მეომრის ფოტოს ინტერპრეტირება. **აქტივობა 2.** კითხვა-პასუხი – იარაღის გარდა, როგორ შეიძლებოდა მოსახლეობას თავი დაეცვა მტრებისაგან. პასუხები იწერება დაფაზე. (5წთ) **აქტივობა 3.** მინი ლექცია ქართლის ციხესიმაგრეების და სათვალთვალო კოშკების შესახებ. (10 წთ) **აქტივობა 4.** მოაწყონ დისკუსია – როგორ უნდა მოხდეს ისტორიული ციხე-სიმაგრეების დაცვა და გაფრთხილება და როგორი უნდა იყოს მოსახლეობის და სახელმწიფოს როლი. (15 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება **აქტივობა 6.** საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია ციხესიმაგრეების შესახებ, მოაწყვეთ გამოფენა სათაურით „ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი“.
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ილუსტრაციები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალური
წინარე ცოდნა	ქართლის ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლები

გაკვეთილი დაიწყეთ ძველი ქართველი მეომრის ფოტოს ჩვენებით და სთხოვეთ უპასუხონ კითხვებს: თქვენი აზრით, რატომ იქნა შერჩეული ეს ფოტო? რა არის თქვენთვის ნაცნობი ამ სურათზე? ეს აქტივობა დაგეხმარებათ ბუნებრივად გადახვიდეთ შემდეგ აქტივობაზე, სადაც მოსწავლეები დაასახელებენ იმ საშუალებებს, რომლითაც მოსახლეობა თავს იცავდა მტრისგან. მინი-ლექცია ქართლის ციხესიმაგრეების და სათვალთვალო პუნქტების შესახებ საშუალებას მოგცემთ დროის მცირე მონაკვეთში მიაწოდოთ საჭირო ინფორმაცია.

გორის ციხე ისტორიული ციხესიმაგრეა ქალაქ გორში. მაღალ კლდოვან ბორცვზე, ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი ნანგრევები მოწმობს, რომ აქ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ყოფილა დასახლება. წყაროებში გორის ციხე მე-12 საუკუნიდან იხსენიება. დღევანდელი სახე ძეგლმა 1774 წელს მიიღო, როდესაც იგი ერეკლე მეორემ საფუძვლიანად განაახლა.

სურამის ციხესიმაგრე და თავად სურამი აშენებული უნდა იყოს ძველი წელთააღრიცხვის მეორე საუკუნეში მეფე ფარნაჯომის მიერ. დღევანდელი სახე ნაგებობამ სავარაუდოდ შუასაუკუნეებში მიიღო.

ქალაქ მცხეთაში მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირას კლდის თავზე აღმართულია ბებრისციხე. ძველ დროში მისი სახელწოდება იყო ბელტა. აგებულია ანტიკურ ხანაში. ოდესღაც ეს ციხე მცხეთის შემოსასვლელ კარს კეტავდა არაგვის ხეობის მხრიდან. ბებრისციხეზე ასეთი ლეგენდაც არსებობს. ოდესღაც ამ ადგილებში და-ძმას, მამუკასა და მაკრინეს უცხოვრიათ. მამუკას რაღაც განსაცდელი შემთხვევია. და-ძმა ღმერთს შევედრებია, ოღონდ ახლა გვიხსენი და აქ ეკლესიას აგიშენებთო. მამუკა გადარჩენილა და პირობა შეუსრულებია. და-ძმას ეკლესიური ცხოვრება დაუწყია. მაკრინე 70 წლისა გარდაცვლილა. მასთან გამოსამშვიდობებლად მისულა თეთრწვერა მოხუცი მამუკა და უთქვამს: დაო ჩემო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი პირობა. ამის თქმისთანავე მამუკასაც სული განუტევებია. ამიტომ ეწოდა თურმე ციხეს ბებრისციხე.

არმაზისციხე არქიტექტურული ძეგლია მცხეთაში, არმაზისხევის სათავესთან, ძნელად მისადგომ კლდოვან მთაზე. ციხე შედგება კოშკისა და გალავნისგან. ნაგებია ნატეხი ქვით და ძლიერ დაზიანებულია.

უფლისციხე კლდეში ნაკვეთი ქალაქია, ბრინჯაოს ხანის არქიტექტურული საოცრება. მდებარეობს გორის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ძირითადი ნაწილი გამოკვეთილია ანტიკურ ხანაში. გვხვდება შუასაუკუნეების კლდეში ნაკვეთი კომპლექსი. შედარებით უკეთაა დაცული შიდა ქალაქი, რომელიც დასავლეთიდანაც და სამხრეთიდანაც ბუნებრივადაა დაცული. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კი იცავდა ხელოვნურად გაჭრილი დიდი თხრილი, რომელსაც შიდა მხარეს კოშკებიანი კედელი მიუყვებოდა. გამოქვაბულები განლაგებულია ცალკე ჯგუფებად. ქალაქის ზემო ნაწილში განლაგებული დარბაზებიდან აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი ცენტრალური დარბაზი. საუკუნეთა განმავლობაში უფლისციხე არაერთხელ აღდგომია მტერს წინ. მშვიდობიან დროს კლდეში ნაკვეთი ქალაქი მწიგნობრობისა და განათლების კერა იყო. დღეს უფლისციხე ერთნაირად აღაფრთოვანებს ქართველსა და უცხოელ მნახველს.

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულ ქვემო ქართლში. შემორჩენილია ნანგრევების სახით. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო ციხე ორბისა. აგებული უნდა იყოს ძველი წელთარრიცხვით მეოთხე საუკუნეში. წარმოადგენდა სამშვილდის საერითავოს ცენტრს.

რეკომენდაციები დისკუსიის ჩასატარებლად:

თემა – როგორ უნდა დავიცვათ ციხესიმაგრეები და როგორი უნდა იყოს მოსახლეობის და სახელმწიფოს როლი.

განიხილება ციხესიმაგრეების მნიშვნელობა და მოქალაქეების მიერ თავიანთი პოზიციის გამოხატვის აუცილებლობის საკითხი.

ციხესიმაგრეების დაცვაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაგება და სირთულეების გაანალიზება.

მასალები: თაბახის ფურცლები

მონაწილეები დაიყონ ორ ჯგუფად. შესთავაზეთ მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ როლურ თამაშში, რომელშიც გამოხატავენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ციხესიმაგრეების დაცვაში მოქალაქეების და სახელმწიფოს მონაწილეობასთან დაკავშირებით. ერთი ჯგუფის მოსაზრებით ისტორიული ძეგლების დაცვა სახელმწიფოს საქმეა, რადგან მან უნდა გამოყოს თანხები და რესურსები. წამყვანმა (ამ შემთხვევაში მასწავლებელმა) უნდა შესთავაზოს მეორე ჯგუფს გადაარწმუნოს ის მოსწავლეები, რომლებიც გამოხატავენ ამ პოზიციას და წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები. კერძოდ, ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა, რადგან წარსულის დავიწყება საფრთხეს უქმნის მომავალსაც, სახელმწიფო კი ამ დროს შეიძლება მხოლოდ დაეხმაროს მოქალაქეებს.

რჩევები წამყვანისათვის – ორივე ჯგუფს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს თავიანთი არგუმენტის წარმოსაჩენად.

საშინაო დავალება – ელექტრონული რესურსების საშუალებით მოიძიონ ინფორმაცია და სურათები ქართლის ციხესიმაგრეების შესახებ და შემდეგ მოაწყონ გამოფენა (იხ. რესურსების ჩამონათვალი).

რეკომენდაცია: დავალება 5, პარაგრაფი 1.4

ამ დავალების მიცემის დროს მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ 30 აპრილს აღინიშნება ქართული არმიის დღე.

ჯარისკაცები სამხედრო სამსახურში შესვლის დროს, დებენ ფიცს. დაავალეთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია იმ პროფესიების შესახებ, რომელთა წარმომდგენლებსაც აქვთ ფიცის მიღების წესი.

გაკვეთილის თემა	1.5. მრავალეროვანი ქართლი
გაკვეთილის მიზანი	გაეცნოს ქართლში დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს, მათ ტრადიციებს და იმსჯელოს ქართლის მოსახლეობის ტოლერანტობაზე, გაანალიზოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ქართლში დასახლების მიზეზები
შესაბამისობა ესგ	(II)1 (II)3 (II)5 (II)9 (II)12 (II)13
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** ასოციაციური რუკა სიტყვაზე ტოლერანტობა. (2 წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია ქართლში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 3.** ტექსტზე მუშაობა – მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და თითო ჯგუფი ამუშავებს თითო თემას: ა. ებრაელები ქართლში ბ. ასირიელები ქართლში გ. სომხები და აზერბაიჯანელები ქართლში. (10 წთ) **აქტივობა 4.** პრეზენტაცია – მოსწავლეები ირჩევენ პრეზენტატორს , რომელიც კლასის წინაშე წარადგენს საკუთარ ნამუშევარს. (15 წთ) **აქტივობა 5.** დისკუსია – უნდა იცოდეს თუ არა არაქართულმა მოსახლეობამ ქართული ენა. (5 წთ) **აქტივობა 6.** შეფასება (5 წთ) **აქტივობა 7.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების შესახებ.
შეფასება	ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმი
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფორმატის ფურცლები,
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
წინარე ცოდნა	ინფორმაცია ქართლის, როგორც გეოგრაფიული და პოლიტიკური ცენტრის შესახებ

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაზე გამოიყენეთ ასოციაციური რუკა სიტყვაზე ტოლერანტობა (მაგალითად, კეთილგანწყობა, პატივისცემა, ზრუნვა, დახმარება, თანაგრძნობა).

ჩაატარეთ მინი ლექცია ქართლში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ.

მაგალითად, აუხსენით, რომ ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც ასეთ პატარა ტერიტორიაზე ამდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდეს (ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები, ებრაელები) მიუხედავად ეთნიკური სიჭრელისა, საქართველოში მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთთან აქტიური კულტურული და სამეურნეო ურთიერთობები ჰქონდათ და ამან განაპირობა მათი დაახლოება.

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. თითო ჯგუფი ამუშავებს თითო თემას სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით. ა. ებრაელები ქართლში. ბ. ასირიელები ქართლში გ. სომხები და აზერბაიჯანელები ქართლში. ჯგუფები ირჩევენ პრეზენტატორს. შეფასება მოხდება ჯგუფებში მუშაობის შეფასების კრიტერიუმებით.

სასურველია მოსწავლეებმა იმსჯელონ, უნდა იცოდეს თუ არა არაქართულმა მოსახლეობამ ქართული ენა. შეეცადეთ მსჯელობა განავითაროთ იმ კუთხით, რომ მოსწავლეებმა დაინახონ არაქართული მოსახლეობის ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა, რაც შეიძლება მათი შემდგომი წარმატების საფუძველი გახდეს.

ელექტრონული რესურსების ან დამხმარე ლიტერატურის საშუალებით, მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების შესახებაც (მაგალითად, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ქისტები)

გაკვეთილის თემა	**1.6. დასახლების ტიპები ქართლში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა დასახლების ძველ და თანამედროვე ტიპებს მოსწავლე აანალიზებს ბუნებრივი პირობებისა და რესურსების გავლენას დასახლების ტიპებზე
შესაბამისობა ესგ	(II)3 (II)5 (II)7 (II)11 (II)15
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** გონებრივი იერიში – როგორი უნდა იყოს სახლი (5 წთ) **აქტივობა 2.** ტექსტის ანალიზი – მოსწავლეები ინდივიდუალურად ამუშავებენ სახელმძღვანელოს ტექსტს და წერილობით მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებს ითვალისწინებდნენ ქართლში სახლების აშენების დროს (20 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია (5 წთ) **აქტივობა 4.** ვენის დიაგრამის საშუალებით შეადარებენ ბანიან და დარბაზულ სახლებს (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება **აქტივობა 6.** საშინაო დავალება დაწერონ თემა ,,თანამედროვე სახლები“
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილებში მუშაობა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია ქართლის გეოგრაფიული გარემოს შესახებ

გაკვეთილს ვიწყებთ გონებრივი იერიშით – როგორი უნდა იყოს სახლი (სავარაუდო პასუხები: მყუდრო, თბილი, მოსახერხებელი, კომფორტული, დაცული, კეთილმოწყობილი).

ტექსტის ანალიზი საშუალებას მოგცემთ მოსწავლეებმა იმსჯელონ იმ ფაქტორებზე, რომელსც ითვალისწინებდნენ წარსულში სახლების აშენების დროს (მაგალითად, დაცულობას, უსაფრთხოებას, სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგებას).

ასევე ტექსტის და ილუსტრაციების გაცნობა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მიიღონ ინფორმაცია საცხოვრებელი სახლების ტიპების შესახებ ძველად და ახლა და შეავსონ ცხრილი.

სახლის ტიპი	სამშენებლო მასალა	დამახასიათებელი ნიშნები
ბანიანი		
დარბაზული		
თანამედროვე		

ცხრილის შევსების შემდეგ, ვენის დიაგრამის საშუალებით, უფრო ადვილად შეადარებენ ბანიან და დარბაზული ტიპის სახლებს.



გაკვეთილის თემა	1.7. მეურნეობის დარგები ქართლში
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა ქართლში განვითარებულ მეურნეობის დარგებს. მოსწავლე მსჯელობს იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებდა ქართლისთვის დამახასიათებელ სამეურნეო საქმიანობას.
შესაბამისობა ესგ	(II)3 (II)6 (II)7 (II)13
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ილუსტრაციებს, რომელზეც გამოსახულია ხორბალი, ყურძენი, ცხვარი, საქონლის ნაწარმი და სთხოვს მოსწავლეებს ივარაუდონ, მეურნეობის რომელი დარგები შეიძლება იყოს განვითარებული. პასუხები იწერება დაფაზე. (10 წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია მეურნეობის დარგების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 3.** ჯგუფებში მოამზადონ მოსაზრებები მეურნეობის რომელი დარგის განვითარება იქნება მომგებიანი ქვეყნის ეკონომიკისთვის და რატომ. საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინონ კლასის წინაშე. (10 წთ) **აქტივობა 4.** პრეზენტაცია (15 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – დაიყონ ჯგუფებად და მოაწყონ ვიზიტი სუპერმარკეტებში. გამოიკვლიონ ქართული წარმოების რომელი ნაწარმი იყიდება და როგორია მასზე მოთხოვნა.
შეფასება	ჯგუფური
რესურსები	მუშაობის შეფასების კრიტერიუმები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
წინარე ცოდნა	ინფორმაცია ბუნებრივი პირობების, დასახლების ტიპების შესახებ.

პარაგრაფში მოცემული ილუსტრაციები საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი ქართლში განვითარებული მეურნეობის დარგების შესახებ (მაგალითად, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მევენახეობა).

მასალა მინი ლექციისთვის

საქართველო რომ ხორბლის, ვაზის და ხეხილის ზოგიერთი კულტურის (ვაშლი, მსხალი, კომში და სხვა) სამშობლოდ ითვლებოდა და ჩვენს სოფლის მეურნობას რომ უძველესი ისტორია ჰქონდა, ამას ადასტურებენ ბერძენი ისტორიკოსები სტრაბონიც და ქსენოფონტეც. მათი გადმოცემით, საქართველო ყოველგვარი სიკეთით შემკული, ყველანაირი ხილითა და ნაყოფით შემკული ქვეყანა ყოფილა. ისტორიის დოქტორი ნოდარ შოშიტაიშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდის სოფლის ნმეურნეობის შესახებ: „ძველად საქართველო, თუ ქვეყანაში ექსტრემალური სიტუაცია არ იყო, არა თუ კვებავდა საკუთარ მოსახლეობას, არამედ ახლო აღმოსავლეთსაც ამარაგებდა მართლაც განსაცვირებლად მრავალფეროვანი პროდუქციით. აღმოსავლეთ საქართველოდან გაჰქონდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ლობიო. საქართველოს ბეღელს წარმოადგენდა შიდა ქართლის ბარი, ქვემო ქართლი – ყარაიას ტერიტორია. საქართველოდან ირანში, თურქეთში, რუსეთში, ევროპის ბაზრებში გაჰქონდათ ღვინო, თამბაქო, ხილი, სიმინდი, ხორბალი, ქერი და კვერცხიც კი.

გაკვეთილის თემა	1.8. ურთიერთდახმარების ტრადიცია ქართლში
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა ურთიერთდახმარების ტრადიციებს. მოსწავლე აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას.
შესაბამისობა ესგ	(II)5 (II)7 (II)9
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** კითხვა-პასუხი: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ შემთხვევა საკუთარი ცხოვრებიდან, როდესაც დაეხმარნენ სხვას, გაიხსენონ შემთხვევა როცა მას დაეხმარნენ. რა გრძნობა დაეუფლათ ამ დროს? **აქტივობა 2.** აზრობრივი რუკა – სტიქიური მოვლენები. **აქტივობა 3.** მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, რა კავშირშია დახმარება და სტიქიური მოვლენები. **აქტივობა 4.** მასწავლებელი აჩვენებს სურათს ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიიდან (კადრებს) და სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას მოსახლეობამ თავი სტიქიური უბედურებებისგან. **აქტივობა 5.** მინი ლექცია ურთიერთდახმარების ტრადიციებზე ძველად. აქტიბობა 6. შეფასება. **აქტივობა 7.** საშინაო დავალება – მოაწყონ ექსკურსია საგანგებო სიტუაციათა სამსახურში და გააკეთონ პრეზენტაცია; დაწერონ ესე „რატომ უნდა დავეხმარო სხვას?“
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, პროექტორი (საჭიროების შემთხვევაში)
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი
წინარე ცოდნა	აქვთ ინფორმაცია უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვის ვალდებულებების შესახებ

გაკვეთილის საწყის ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ შემთხვევები, როდესაც ა. დაეხმარნენ სხვას ბ. როცა მას დაეხმარნენ გ. რა გრძნობა დაეუფლათ ამ დროს. ამის შემდეგ ავსებენ აზრობრივ რუკას სტიქიური მოვლენების შესახებ. ამ აქტივობის მიზანია სტიქიურ მოვლენებზე მოსწავლეთა ცოდნის დადგენა-შემოწმება. წრის შუაგულში იწერება სტიქიური მოვლენა, ირგვლივ კი ყველაფერი, რაც ამ სიტყვას უკავშირდება. მოსწავლეები მასწავლებლის თხოვნით, გამოთქვამენ მოსაზებას, თუ რა კავშირშია სტიქიური მოვლენები და დახმარება ერთმანეთთან (სტიქიური მოვლენების დროს ყველაზე მეტად გამოიკვეთება ადამიანების დამოკიდებულება ერთმანეთთან, თანადგომის გარეშე რთულია სტიქიასთან ბრძოლა, ერთობლივად პრობლემები ადვილად გადაიჭრება).

მოსწავლეები ეცნობიან პარაგრაფში მოცემულ სურათებს ვერეს ხეობაში დარტიალებული ტრაგედიიდან (ან ვაჩვენოთ კადრები) და მოსწავლეებს სთხოვს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას მოსახლეობამ თავი სტიქიური მოვლენებისაგან. მოსწავლეებს დაეხმარეთ იმის ანალიზში, რომ რესურსების გონივრულად გამოყენება, ბუნების დაცვა და გაფრთხილება ყველა მოქალაქის მოვალეობაა. `

მინი ლექციისთვის ურთიერთდახმარების ტრადიციებზე ძველად შეგიძლიათ ისარგებლოთ პარაფრაფში არსებული ინფორმაციით.

რეკომენდაცია: დავალება 7, პარაგრაფი 1.8

მოცემული დავალების მიცემამდე მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა მოძებნონ მიწის თავისუფალი ნაკვეთები. ითანამშრომლონ ქალაქის ან სოფლის დაგეგმარების სამსახურთან. შეუძლიათ განცხადებით მიმართონ სკოლის დირექციას დახმარებისათვის. გააცანით მოსწავლეებს ხის დარგვის წესები

როგორ უნდა დავრგოთ ხის ან ბუჩქის ნერგი.პირველ რიგში გაითვალისწინეთ ტერიტორიის ლანდშაფტი. პალოებით მონიშნეთ ორმოს ამოსაღები ადგილები. წინასწარ გააბით ლარი, მასზე მონიშნეთ ნერგიდან ნერგამდე მანძილი და მონიშნულ ადგილზე დასვით პალოები. შემდეგ ამოთხარეთ 60 სმ სიღრმისა და 80 სმ სიგანის ორმოები. გამზადებული ორმოს ფსკერი კარგად გააფხვიერეთ. ნერგი ჩარგეთ ფესვის ყელამდე. კარგად მოტკეპნეთ მიწა და დაასხით წყალი.

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა – ეს საინტერესოა

ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების მშენებლობები საუკუნის მასშტაბური პროექტები იყო. მილსადენების მშენებლობისას საქართველოს ტერიტორიაზე ორასამდე არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდა, რომელიც მეცნიერებმა გადაარჩინეს და შეისწავლეს.

მცხეთა ქალაქ- მუზეუმადაა გამოცხადებული და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

სვეტიცხოველის ტაძარი მდებარეობს ქალაქ მცხეთაში. გადმოცემის მიხედვით, მცხეთელ ებრაელს ელიოზს უფლის ჯვარცმის შემდეგ კვართი მცხეთაში ჩამოუტანია. მის დას, სიდონიას კვართი გულში ჩაუკრავს და გარდაცვლილა. ქალი კვართთან ერთად დაუკრძალავთ და მის საფლავზე ხე ამოსულა. IV საუკუნეში ამ ადგილზე ეკლესიის აშენება გადაუწყვეტიათ. ხე მოუჭრიათ და მისგან შვიდი სვეტი გამოუთლიათ. ექვსი სვეტი მიწაში ჩაუფლავთ, მეშვიდე კი ჰაერში გაჩერებულა, ადგილიდან ვერაფრით დაუძრავთ. სვეტი ანათებდა და სასიამოვნო სურნელს გამოსცემდა. სწორედ ეს გახლდათ „სვეტი ცხოველი“ – წმინდა სვეტი, რომლის სახელიც ტაძარს ეწოდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ სულ პირველი ნაგებობა ვახტანგ გორგასალს V საუკუნის მეორე ნახევარში აღუდგენია. XI საუკუნის დასაწყისში მელქისედეკ კათალიკოსს ხუროთმოძღვრად არსაკიძე მოუწვევია. გადმოცემის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არსაკიძეს დიდებული ტაძარი აუგია, ის მაინც დაუსჯიათ და მკლავი მოუკვეთიათ. XIII საუკუნეში უძლიერეს მიწისძვრას დაუზიანებია ტაძარი, რომელიც მომდევნო საუკუნეში აღუდგენიათ.

სვეტიცხოველი იყო არა მხოლოდ სასულიერო, არამედ უდიდესი საგანმანათლებლო კერაც. უმდიდრესი და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა ჰქონია ტაძარს. სვეტიცხოველი გახლავთ საძვალე არაერთი მეფისა და კათალიკოსისა. მათ შორის არიან თავად მელქისედეკ კათალიკოსი, მეფე ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე

შიო მღვიმის მონასტერი. VI საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ-შიომ. ლეგენდის მიხედვით, მღვიმეში დაყუდებულ ბერს საკვებს მტრედები უზიდავდნენ. შიო მღვიმეში წყაროს გამოჩენაც შიოს უკავშირდება.თავდაპირველად, წყალს ბერები ჩვეულებრივად მტკვრიდან ეზიდებოდნენ. ერთხელ ერთ-ერთ ბერს მტკვრიდან წყალი რომ მოჰქონდა, ჭურჭელი გატყდომია და წყალი დაუღვრია. შეწუხებულ ბერს ტირილი დაუწყია. ეს რომ შიოს დაუნახავს, ბერისთვის უთქვამს – ნუ ტირი, ღმერთმა გისმინა და შენი ცრემლების სამაგიეროდ მანდ წყაროს გაჩენა ინებაო. ამ წყაროს დღესაც ნახავთ შიო მღვიმეში, მას „ცრემლის წყაროს“ უწოდებენ.

ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი საგურამოს მახლობლად, ზედაზნის მთაზე მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, სახელი „ზედაზენი“ მოსავლისა და ნაყოფიერების წარმართული ღვთაების, ზადენის სახელს უკავშირდება და „ზედა ზადენს“ ნიშნავს. ზადენის კერპი ქართული მითოლოგიის ღვთაება გახლავთ, რომელსაც თაყვანს ქრისტიანობის გავრცელებამდე სცემდნენ. VI საუკუნეში ასურელ მამათა წინამძღვარი იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებთან ერთად სწორად ზედაზნის მთაზე დასახლდა. სწორედ მამა იოანემ დააარსა აქ მონასტერი და თავადაც ზედაზნელი ეწოდა. ერთ- ერთი ლეგენდის მიხედვით, ზედაზნელი უწყლო ადგილი ყოფილა. წმინდა იოანეს უფლისათვის წყაროს აღმოცენება უთხოვია და მართლაც, მთის მწვერვალზე მკურნალი წყარო აღმოცენებულა. წყაროს დათვი შემოჩვევია, წმინდა იოანეს ლოცვით ნადირი მოშინაურებულა. თურმე მას შემდეგ, ზედაზნის ტყის ბინადარნი ადამიანებს აღარ ერჩოდნენ.

გუთანი იყო მიწის სახვნელი იარაღი, რომელიც რამდენიმე სახელით არის ცნობილი: ქართული გუთანი, დიდი გუთანი, დიდი ქართული გუთანი, ხის გუთანი, პაპას გუთანი. ყველა ეს სახეობა მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგნ. ეს განსხვავება ან მათ კონსტრუქციაშია ან მასალაში, რომლითაც ეს გუთნებია დამზადებული. მუშაობის პრინციპი კი ყველა მათგანისთვის ერთია. გუთნის ხის ნაწილები სხვადსხვა მაგარი ჯიშის ხისგან მზადდებოდა (მუხა, იფანი, თელა). დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტის სახით შემოდის სპეციალური ფოლადის შენადნობისაგან წარმოებული გუთნები, რომელიც მაღალი მდგრადობით გამოირჩევა.

ქართული საჭურველი

მეომარ-რაინდის საჭურველი ორ ჯგუფად იყოფა: თავდასაცავი და შემტევი იარაღი.

თავდასაცავში შედის; თავსარქველი, ჯაჭვი, ჯავშანი, ფარი და შემტევში: დასარტყმელი, საძგერებელი, საკვეთი, სატყორცნი და ცეცხლსაფრქვევი. ისტორიული წყაროების გულდასმით შესწავლით დადგენილია, რომ ქართველი მეომრები ოთხი სახის თავსარქმელს ხმარობენ: 1. მაღალწვერიანი მუზარადი 2. ჯამის ფორმის ჩაჩქანი 3. კომბინირებული თავსარქმელი 4. ჯაჭვის ნაქსოვი ჩაბალახი

მუზარადი, როგორც დამცავი თავსახურავი თავდაცვის სხვა საშუალებებთან ერთად უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამზადებდნენ ხისგან, არყის ხის ქერქისგან, წნელებისა და ტყავისგან. ჰეროდოტეს ცნობით, მოსხები, კოლხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები მუზარადს ხისგან ამზადებდნენ. ქსენოფონტეს ცნობით, მოსინიკებს ტყავის მუზარადი ეხურათ. სტრაბონის გადმოცემით, იბერიელები ტყავის მუზარადით იბრძოდნენ. თრიალეთში აღმოაჩინეს ძვ. წ. III საუკუნის ბრინჯაოს მუზარადი.

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ჯაჭვის პერანგი, რომელიც ოვალური რგოლებისგან იყო ასხმული. მისი კალთა კი უფრო წვრილი რგოლებისაგან შედგებოდა. ჯაჭვის პერანგს ჩვეულებრივი ტანსაცმლის ზემოდან იცვამდნენ, რომელიც გულთან ჩაჭრილი იყო და ყელთან დუგმებით იკვრებოდა.

ჯაჭვის დამზადების პროცესს ძველად ჯაჭვის„ქსოვა“ ანუ„ასხმა“ ეწოდებოდა, რომელსაც ქვიშით აკრიალებდნენ ხოლმე.

ქართველი მეომრის აღკაზმულობას ავსებდა ჯაჭვიანი კიდურთსაფარი – „ საფუხრე“, რომელიც თითქმის მთელ ხელს ფარავდა და მხოლოდ თითის წვერებს ტოვებდა დაუცველს. მარცხენა ხელზე „საფუხრე“ არ იყო საჭირო, რადგან ის ისედაც ფარით იყო დაცული.

ქართული ფარები უპირატესად მრგვალი ფორმისაა. დამზადების ტექნიკის მიხედვით ისინი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1. ტყავგადაკრული ხის ფარი 2. ლითონით შეკრულ- შეჭედილი ტყავის ფარი 3. ცივად ნაჭედი ლითონის ფარი

მრავალი საუკუნის განმავლობაში საჭურველი ქართული ტანსაცმლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. ხმალი და სატევარი ოჯახურ რელიქვიად ითვლებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ხმალი საქართველოში ძალაუფლების სიმბოლოც იყო. მეფისათვის ან

სარდლისათვის ხმლის გადაცემის დროს თავისებური რიტუალი, წესი სრულდებოდა.

გვიან ფეოდალურ ხანაში ქართველმა ხელოსნებმა აითვისეს ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება.ისტორიამ შემოგვინახა ისეთ გამოჩენილ ოსტატთა სახელები, როგორიც იყვნენ: გუდამაყრელი პაპო და ხევსური სამნა. ამ უკანასკნელს პირადად იცნობდა ერეკლე II.

რუბრიკა იცით თუ არა რომ

1082 წელს გიორგი მეორის მეფობის დროს მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია მესხეთ-ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. მიწაში ჩაიტანა ქალაქი თმოგვი

1283 წელს დაინგრა სვეტიცხოვლის გუმბათი მცხეთაში. აწყურის ტაძარში, მხოლოდ ღვთისმშობლის ხატი გადარჩენილა

1811 წელს მიწისძვრამ დაანგრია ალავერდის ტაძარი

1889 წელს ახალქალაქის მიწისძვრამ მრავალი შენობა დაანგრია ახალქალაქსა და ბორჯომში.

1920 წლის 20 თებერვალს, ღამის 3 საათზე გორში მომხდარი მიწისძვრა 2-3 წუთი გაგრძელდა.1000 კვადრატულ კილომეტრზე მისი ძალა 10 ბალი იყო. 1496 სახლიდან დაინგრა და ძლიერ დაზიანდა 941, დაიღუპა 114 კაცი, დაინგრა ტანისხიდი, სკრა, ოთარაშენი, ხიდისთავი, უფლისციხე და სხვა სოფლები.

1906 წლის აგვისტოში მდინარე დურუჯი ადიდდა, უდიდესი სელური მასალა გამოიტანა და ნახევარი სოფელი თავის ვენახებიანად რიყედ აქცია. მრავალი სახლი განადგურდა, დაიღუპა ასეულობით ადამიანი. ყვარლელმა თავადებმა- ჭავჭავაძეებმა მთავრობას მიმართეს, რამდენიმე ათასი მანეთი გამოიტანეს და დაურიგეს უსახლკაროდ დარჩენილ გლეხობას.

1968 წელს საქართველოს მდინარეთა სათავეებში ნორმასთან შედარებით ორჯერ მეტი თოვლი მოვიდა. აპრილის დასაწყისში ტემპერატურამ საგრძნობლად აიწია. დაიწყო განუწყვეტელი წვიმა და თოვლის სწრაფი დნობა. წყალმა განსაკუთრებით მოიმატა მდინარე მტკვარში. წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა, მოაწყდა ჭალებსა და სანაპიროებს. საგრძნობლად დაზარალდა თბილისის. ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონები.

რუბრიკა ეს საინტერესოა

ტყის ხელაღებით გაჩეხვა ხალხური ცხოვრების წესს არ ესადაგებოდა. ხის მოჭრა სამასალედ შეიძლებოდა მხოლოდ ზაფხულში და შემოდგომაზე. საშეშე- გვიან შემოდგომაზე, საავეჯე ხის- შემოდგომის დასაწყისში. პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მოსახლეობა იცავდა გარკვეულ წესებს წლის სეზონის, მთვარის ფაზების მიხედვით. მნიშვნელობა ენიჭებოდა დღეს და რიცხვებსაც. მაგ: ხის მოჭრა არ შეიძლებოდა ოთხშაბათს და პარასკევს. კარგ დღედ ითვლებოდა ხუთშაბათი. ახალ მთვარეზე არ ჭრიდნენ „ხე ზრდაშია და მალე დაჭიანდებაო“. როგორც წესი, ხე იჭრებოდა ტყის შუაგულში. ტყის ნაპირზე, სოფლის ახლოს, ტყის გაჭრა არ შეიძლებოდა.

მენახშირეობა – ერთ- ერთი პროფესიაა ძველ თბილისში. საქართველოში მოსახლეობის ერთი ნაწილი სათბობის ძირითად საშუალებად ნახშირს იყენებდა. ამიტომ ეს პროფესია განვითარდა თბილისსა და მის მეზობელ სოფლებში. ადგილობრივმა მოსახლეობამ ადვილად აუღო ალღო. შემდეგ მათ შეუერთდნენ და ამ პროფესიას მისდევდნენ რაჭიდან და იმერეთიდან ჩამოსულები. დადგენილი იყო ტყეების სანახშირედ გამოყენების, სანახშირე ადგილების შერჩევის, ნახშირის ხარისხის განსაზღვრის, გასაღების ადგილებისა და ფასების დადგენის წესები. ნახშირი იყიდებოდა თბილისში „თათრის მოედანზე“, „მალაკნების ბაზარზე“, „შეშის მოედანზე“.

ბანიანი სახლი ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში.ის წარმოადგენს მიწური სახურავით- ბანით გადახურულ სახლს. მოყვანილობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად-გვირგვინიანი და ბრტყელბანიანი. ბანიან სახლს ოთხივე მხრიდან შეიძლება მიეშენოს სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა- ბოსელი, საბძელი, სათონე, მარანი.

ბირთვისის ციხემ თემურ-ლენგის ლაშქრის არაერთი შემოტევა მოიგერია. პირველი უშედეგო ბრძოლის შემდეგ, მან თავის წარმომადგენელებს ციხის მიდამოების და გზების უკეთ შესწავლა დაავალა, თავად კი გზა გააგრძელა. 1403 წელს, მერვე ლაშქრობის დროს, თემურ ლენგი კვლავ უბრუნდება ციხეს. ქართველებს ციხე კარგად გაემაგრებინათ, მოემარაგებინათ სანოვაგე, წყალი და ღვინო. ამ დროს ბირთვისის ციხისთავი ვინმე ნაზალი იყო. მის გარდა ციხეში 30 ქართველი თავად-აზნაური იმყოფებოდა ოჯახებითა და 150 კაციანი ამალითურთ. თემურ-ლენგის მოსვლამდე მონღოლებმა არაერთხელ სცადეს ციხეზე შეტევა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ციხის მცველები მტრის გასაღიზიანებლად, ხანდახან მაღალ მთაზე ადიოდნენ, იქიდან მათ დასანახად ყანწით ღვინოს სვამდნენ და ომახიანად ქართულ სიმღერებსაც დასძახებდნენ. განრისხებულმა თემურ-ლენგმა შეტევის განხორციელება პირადად თავის თავზე აიღო: მისი ბრძანებით სარდალმა შაჰ მელიქმა ჭიშკრის პირდაპირ სამ დღეში ისეთი სიმაგრე ააგო, რომ შიგ სამი ათასამდე მეომარი ჩაეტეოდა, ხოლო ციხის უკან კი - ორი სიმაგრე. გარდა ამისა, მან ყოველი მხრიდან სატყორცნი და სანგრევი მანქანები დააყენა. ამ ზომების მიუხედავად, მტერი მაინც ვერაფერს გახდა. მაშინ თემურ-ლენგმა ასეთ ხრიკს მიმართა: თავისი ლაშქრიდან ის მეომრები აარჩია, რომლებსაც კლდეზე ცოცვა შეეძლოთ და მათ ბირთვისის ციხის სამხრეთ კლდოვან ნაწილზე აცოცება დაავალა. ციხის ეს ნაწილი იმდენად მიუდგომელი იყო, რომ ქართველებს ამ მხარეში მცველები არ ჰყავდათ დაყენებული. 50-მა მეომარმა ბამბისა და აბრეშუმისაგან დამზადებული თოკებით კიბეები გააკეთა, რომელიც თემურ-ლენგის ბრძანებით, ციხეზე ასვლისას, მაღალი მთის წვერზე უნდა დაემაგრებინათ. მეორე დილით კი ციხეში უნდა ჩაეღწიათ და ალაყაფისკენ გაჭრილიყვნენ. იქ მეომრები ორად გაიყოფოდნენ და ერთი ნაწილი რომ ალაყაფის გაღებას შეეცდებოდა, მეორე რკალად შეიკვრებოდა და დაიცავდა ქართველებისგან. ეს დავალება მეომრებმა კარგად შეასრულეს. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მტერი ქართველებს მოსვენებას არ აძლევდა. შემდეგ თემურ-ლენგის ბრძანებით შეჩერდა ლოდების სროლა. დაღლილ-დაქანცულ ქართველებს მოსვენების და ძილის საშუალება მიეცათ. მტერსაც ეს უნდოდა. დაბნელდა თუ არა, თემურ-ლენგის სარდალი ზემოთ მცოცავების სათითაოდ აგზავნას შეუდგა. დილისთვის ციხეში შესვლა 33-მა მეომარმა მოახერხა. ისინი ალაყაფისკენ გაეშურნენ. მართალია, ქართველი მეციხოვნეები მათ მაშინვე ხმალდახმალ მიეგებნენ, მაგრამ ამჯერად მტრის მოგერიება არც ისე იოლი აღმოჩნდა. როცა ციხეში ეს ამბები ხდებოდა, მის ალაყაფზე მოწინააღმდეგის რჩეულმა ჯარმა გარედანაც მიიტანა იერიში. დანარჩენი ლაშქარი თემურ-ლენგს ბირთვისის ციხის გარშემო მთის ფერდობებსა და მწვერვალებზე ჰყავდა განლაგებული და „მეციხოვნეთა სულისათვის მოთმინებისა და ხორცისათვის ძალის წასართმევად“ მწყობრად აგუგუნებდნენ სამხედრო ყიჟინას. თვით თემურ-ლენგი ბირთვისის ციხის მოპირდაპირე მთის ფერდობზე იდგა იქიდან ადევნებდა თვალყურს ციხისთვის გამართულ ბრძოლას. მტრის რიცხოვბრივმა სიმრავლემ თავისი გაიტანა და გატეხა ქართველთა წინააღმდეგობა. დაჭრილ-დასახიჩრებული და ცოცხლად დარჩენილი მეციხოვნეები, რომელთა შორის ბირთვისის ციხისა და მიდამოების მფლობელი თორელიც იყო, შეიპყრეს და თემურ-ლენგს წარუდგინეს. თემურ-ლენგმა მას სიცოცხლის შენარჩუნების ფასად ისლამის მიღება შესთავაზა, რაზეც ცივი უარი მიიღო. ამის შემდეგ ყველა მათგანი წამებით გამოსალმეს სიცოცხლეს. ბირთვისის ციხის წინააღმდეგობამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის იმდროინდელ ვითარებაში. ქართველთა თავგანწირულმა წინააღმდეგობამ ერთი თვით მაინც შეაყოვნა თემურ-ლენგის უზარმაზარი ლაშქარი მის კარიბჭესთან.

ბირთვისის ციხის შემდგომი ისტორიიდან, რაც მატიანეთა ფურცლებზე შემორჩა, საინტერესოა შაჰ თამაზის ლაშქრობის ამბავი 1541 წელს. სამხრეთ საქართველოში, მან,რაზეც ხელი მიუწვდებოდა, არაფერი დატოვა წაულბიწავი. მთელ მხარეში მხოლოდ ბირთვისის ციხე დარჩა ხელუხლებელი. კარგად შეიარაღებული მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი მასაც შემოადგა, მაგრამ ციხეს რომ ვერაფერი დააკლო, შაჰი მეციხოვნეებს უვნებლობას შეჰპირდა დანებების შემთხვევაში. ასეთი ხერხით მოახერხა მან ციხის ხელში ჩაგდება.

ბირთვისთან არის დაკავშირებული ირანის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის ბრძოლის ერთი მომენტიც. ამ მხარის და ბირთვისის ციხის მფლობელი ქაიხოსრო ბარათაშვილი ირანელთა

მხარეზე იყო. მან ციხის გარნიზონი ახლად მოყვანილი 500 ყიზილბაშით გაზარდა. სააკაძემ, ეს ამბავი რომ გაიგო, ასეთ ხერხს მიმართა: გამთენიისას თავს დაესხა ბარათაშვილის რეზიდენციას სოფელ ტბისში და შეიპყრო თვით ქაიხოსრო და მისი ძმა ხოსია. რადგან მეპატრონეები ხელთ იგდო, ციხესაც ადვილად მოუარა. მან მოღალატე თავადები აიძულა, თვითონვე გამოეყვანათ ციხიდან ირანელთა ჯარი. ქართველებმა ხუთასივე ყიზილბაში გაანადგურეს.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შეეხება: მეფე ერეკლეს ბატონიშვილი აბდულა ბეგი განუდგა. მას მხარს უჭერდნენ ბარათაშვილები. მეფე ერეკლე ჯარით მიადგა საბარათიანოს – სურდა უბრძოლველად შემოერიგებინა ისინი. ბირთვისში გამაგრებულ ბარათაშვილებს შუამავლები მიუგზავნა: შეჰპირდა პატიებას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ვერც სამშვილდეში გამაგრებულნი შემოირიგა. მაშინ მეფემ გადაწყვიტა, სარჩო მოესპო მათვის. შემოდგომის პირი იყო, შეუსია ჯარი და სამშვილდისა და ბირთვისის ახლომახლო ყანები მოაცელვინა. ჩამოეგებნენ ბარათიანი, შეიქმნა ფიცხელი ომი. მეფემ სძლია მათ და ციხემდე სდია. შემდეგ კი მემატიანე ლაკონურად წერს: „ბირთვისის ციხის ომი ხომ არ იქნებოდა, ჩამოეცალნენ, წაახდინეს, საცა რამ შენობა იყო.“ ამ ცნობებში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ავტორი სრულიად დაჯერებით ამბობს: ბირთვისის ციხე ბრძოლით არ აიღებოდაო!

რუბრიკა პიროვნება ისტორიაში

სოლომონ ქურდიანი – ქართველი მეტყევე- სელექციონერი. ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი. 1920 წელს მისი თაოსნობით დაწესდა „ტყის დღე“.მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ტყეების სრულფასოვანი აღწერა. ებრძოდა ტყის უგეგმოდ ჩეხვას. ტყის გადარჩენისათვის საჯარო კრიტიკული გამოსვლები სიცოცხლის ფასად დაუჯდა. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი საფლავი დღესაც უცნობია.

კარი 2. იმერეთი

გაკვეთილის თემა	2.4. კულტურის ძეგლები იმერეთში
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა იმერეთში არსებულ კულტურის ძეგლებს, აანალიზებს მათ მნიშვნელობას ისტორიაში და მსჯელობს მათი გაფრთხილების აუცილებლობაზე
შესაბამისობა ესგ	(II)2 (II)7 (II)8 (II)9 (II)10
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მინი ლექცია იმერეთში არსებულ კულტურის ძეგლებზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** ეცნობიან კულტურის ძეგლების ილუსტრაციებს, წყვილებში ამუშავებენ ინფორმაციას ტექსტის საფუძველზე და ავსებენ ცხრილს. (20 წთ) **აქტივობა 3.** მსჯელობენ, რატომ არის აუცილებელი კულტურული ძეგლების გაფრთხილება. ბაგრატის ტაძრის მაგალითზე დაასაბუთონ, რამდენად გამართლებულია ძეგლების რეკონსტრუქცია, თანამედროვე მასალის და კონსტრუქციების გამოყენებით. (15 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, მოამზადონ სლაიდ შოუ და წარუდგინონ კლასს.
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, დამატებით ილუსტრაციები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები
წინარე ცოდნა	იმერეთის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებელები

მასალა მინი ლექციისთვის

გელათის ტაძარი შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უნიშვნელოვანესი ძეგლია. აგებულია მდინარე წყალწითელას ხეობაში. მონასტრის გალავნის სამხრეთ შესასვლელში დავით აღმაშენებლის საფლავია. გელათი არა მარტო სასულიერო, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც იყო.

წმინდა გიორგის სახელზეა აგებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მდებარე, IX საუკუნეში დაარსებული უბისის მონასტერი, რომელიც უკავშირდება დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელს.

VII-VIII საუკუნეებში აგებულ ტაბაკონის ტაძარში გაატარა ბავშვობის წლები იმერთა მეფემ სოლომონ მეორემ.

ულამაზესი სამონასტრო კომპლექსია მოწამეთა. ტაძარი არგვეთის ერისთავების დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელზეა აგებული, რომლებიც მოწამეობრივად აღესრულნენ არაბთა შემოსევების დროს. მონასტრის ტერიტორიაზე ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული – მოწამეთაობა.

იმერეთის და სრულიად საქართველოს მშვენებაა ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. იგი X-XI საუკუნეებით თარიღდება. 1994 წელს შეტანილი იქნა იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ბუნების უიშვიათესი ქმნილება, კაცხის სვეტი. ამჟამად იქ ბერები მოღვაწეობენ.

აღსანიშნავია საჩხერის ტერიტორიაზე მდებარე ჯრუჭის მონასტერი ისევე, როგორც ნუნისის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ულამაზეს კურორტ ნუნისში.

მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტს, ეცნობიან ილუსტრაციებს კულტურული ძეგლების ილუსტრაციებს და ავსებენ ცხრილს.

ძეგლის დასახელება	აგების დრო	ისტორიული პირი, რომელსაც ეს ძეგლი უკავშირდება

სანამ მოსწავლეები იმსჯელებენ კულტურული ძეგლების გაფრთხილების შესახებ, შეგიძლიათ მიაწოდოთ ინფორმაცია ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტმა, რომელიც 2009 წელს დაიწყო, საზოგადოების არაერთგვაროვანი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ტაძარი, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იყო შეტანილი, 2010 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში მოხვდა. ამის მიზეზად კი ტაძარზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაასახელა, რომელიც შენობის ავთენტურობას და მთლიანობას არღვევდა.

გაკვეთილის თემა	**2.6. იმერეთის ქალაქები**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაეცნობა იმერეთში არსებულ ქალაქებს, მათი დაარსების ისტორიას და გაანალიზებს, როგორ და რატომ იცვლებოდა ეს რეგიონი
ესგ მისაღწევი შედეგი	(II)2 (II)3 (II)9
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი დაფაზე წერს იმერეთის ქალაქებს: ქუთაისი, ზესტაფონი, წყალტუბო, ჭიათურა, ტყიბული, საჩხერე, ხარაგაული, ხონი, ვანი და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, რა აერთიანებს ამ ქალაქებს. (სავარაუდო პასუხი – ყველა ეს ქალაქი არის იმერეთის რეგიონში). (3 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეთა ერთი ნაწილი ამუშავებს ტექსტის იმ ნაწილს, რომელშიც საუბარია ქალაქ ჭიათურაზე, მეორე ნაწილი კი ამუშავებს ინფორმაციას ქუთაისის შესახებ. (10 წთ) **აქტივობა 3.** მოსწავლეები ავსებენ ცხრილს (იხ. ცხრილი) და წარუდგენენ კლასს. (10 წთ) **აქტივობა 4.** მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციას ქუთაისში მცხოვრები კათოლიკეების შესახებ. მოსწავლეები აფასებენ კათოლიკეთა საქმიანობას. (10წთ) **აქტივობა 5.** შეფასება საშინაო დავალება. მოიძიონ ინფორმაცია იმერეთის რეგიონის ქალაქების შესახებ, მათი განვითარების პერსპექტივებზე.
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, დამატებითი მასალა
წიმარე ცოდნა	იმერეთის ბუმებრივი პირობები და გეოგრაფიული მახასიათებლები

ცხრილი მესამე აქტივობისთვის

ქალაქის დასახელება	**დაარსების დრო**	**რომელი მდინარის პირასაა გაშენებული**	**დამატებითი ინფორმაცია**
ჭიათურა	XX საუკუნის დასაწყისი	ყვირილა	ლეგენდა ჭიათურის დაარსებაზე
ქუთაისი	3500 ათასი წლის წინ	რიონი	მრავალეროვანი ქალაქი

დამატებითი ინფორმაცია ქუთაისში მცხოვრები კათოლიკეების შესახებ

კათოლიკე მისიონერებისა და ქართველი კათოლიკეების ერთ-ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს იმერეთში სამკურნალო საქმის დანერგვა და მისი შემდგომი განვითარება, სააფთიაქო საქმის აღორძინება, მცირე საწარმოოების, ფაბრიკების დაარსება და უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. ისინი ასევე კარგად ჩანდნენ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისში ცნობილი პიროვნება იყო იოსებ ივანეს ძე ოცხელი. 1892 წელს მან ქუთაისში დააარსა საბავშვო ბაღი, რომელიც 1903 წლამდე არსებობდა. იოსებ ოცხელი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე. სხვასთან ერთად, მისი ერთ-ერთი დამსახურებაა ქუთაისში გამომცემლობების „განათლება“ და „შკოლას“ დაარსება.

ნუგზარ კვარაცხელია, ქუთაისელი კათოლიკები XIX საუკუნეში.

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

სათაფლიის ნაკრძალში მდებარე ერთ-ერთი უზარმაზარი მღვიმე პატარა მდინარემ გამოკვეთა. მღვიმეს ორი გამოსასვლელი აქვს. ზამთრის მიწურულს, როცა მღვიმის ჩრდილოეთ მხარეს ჯერ კიდევ თოვლი დევს, სამხრეთი ნაწილი ნაირფერი ყვავილებით იფარება. დამთვალიერებელს სულ რაღაც 30-35 წუთში შეუძლია ზამთრიდან გაზაფხულში გადაინაცვლოს. ნაკრძალში ბინადრობენ გარეული ფუტკრები, რის გამოც ამ ადგილს „სათაფლია“ დაერქვა.

სათაფლია იმითაცაა საინტერესო, რომ ეს ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ აღბეჭდილია მტაცებელი და ბალახისმჭამელი დინოზავრების 200-მდე ნაკვალევი. გამოკვლევებით დადგინდა, რომ 120 მლნ წლის წინ ამ ადგილებში 7 სხვადასხვა სახეობის 25 დინოზავრს გაუვლია. ბალახისმჭამელთა სიმაღლე 6 მეტრი, წონა კი 30 ტონა ყოფილა.

იმერეთში, სოფელ ნუნისში მდებარეობს კურორტი „სამთა ნუნისი“, რომელიც ზღვის დონიდან 750 მ სიმაღლეზეა. იქაური ჰავის უნიკალურობას განაპირობებს შერეული, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე. მდინარე ზვარულას ნაპირზეა განთავსებული კურორტი ზვარე, ცნობილი ამავე სახელწოდების მინერალური წყლით.

ვანის საგანძური

ას წელზე მეტია ვანის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, რის შედეგადაც არაერთი ძვირფასი ნივთია აღმოჩენილი. მათი უმეტესობა ძვ. წ.VIII-I საუკუნეებით თარიღდება. მარტო 2003-2004 წლებში აღმოჩენილ სამარხებში 1000 -ზე მეტი ოქროს ნივთი იპოვეს. გათხრები დღესაც გრძელდება. აქ აღმოჩენილი უნიკალური მასალის ხილვა ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია შესაძლებელი.

2007 წელს მუზეუმში დაცული მასალიდან, ამოარჩიეს 83 დასახელების ოქრომჭედლობის უძველესი უნიკალური ნიმუშები და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში გამოფინეს

ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ტაძარს თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაგებობას. ისტორიულად კი იგი გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოა. ბაგრატის ტაძარი 1994 წელს იუნესკომ, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიყვანა.

2009 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო ძეგლის რესტავრაცია, რაც მასზე გუმბათის დადგმით უნდა დასრულებულიყო. პროექტმა, საზოგადოების არაერთგვაროვანი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია. სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები ძეგლის ავთენტურობას ვნებდა, შენდებოდა სრულიად არატრადიციული რკინა-ბეტონის ნაგებობა. სპეციალისტთა ნაწილი კი არ ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას. ისინი ფიქრობდნენ, რომ ტაძრის გამაგრება და მასზე გუმბათის დადგმა ამგვარი კონსტრუქციების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სპეციალისტთა პირველი ნაწილის აზრი დადასტურდა და ავთენტურობის დაკარგვის გამო ბაგრატის ტაძარი იუნესკომ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოიღო.

კარი 3. სამეგრელო

გაკვეთილის თემა	**3.2. სამეგრელო წარსულში და დღეს**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა ინფორმაციას კოლხეთის სამეფოს შესახებ. მოსწავლე განასხვავებს მითსა და რეალობას.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II)1 (II)2 (II)14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** აზრობრივი რუკა: რა ვიცით არგონავტების მითის შესახებ (2წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია კოლხეთის სამეფოზე(5 წთ) **აქტივობა 3.** ეცნობიან ნაწყვეტს მითიდან არგონავტების და ცნობას ტიმ სევერინის მოგზაურობის შესახებ. წერილობით პასუხობენ კითხვას: არგონავტების მოგზაურობა მითი იყო თუ რეალობა. (10 წთ) **აქტივობა 4.** წერილობითი დავალების პრეზენტაცია. (8 წთ) **აქტივობა 5.** დისკუსია თემაზე: ქვეყნისათვის სიმდიდრე დალოცვაა თუ წყევლა. (10 წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია ვანის არქეოლოგიური გათხრების შესახებ (იხ. ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი). **აქტივობა 7.** შეფასება (2 წთ)
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად.
რესურსი	სახელმძღვანელო დაფა, ცარცი
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
წინარე ცოდნა	სამეგრელოს ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლები

გაკვეთილი იწყება აზრობრივი რუკის შევსებით: რა ვიცით არგონავტების შესახებ. მოსწავლეები ასახელებენ სიტყვას, ადგილს, სახელს, რაც უკავშირდება არგონავტების შესახებ მითს (კოლხეთი, ბერძნები, არგო, მედეა, იასონი, ოქროს საწმისი, აიეტი).

გაეცნონ ნაწყვეტს მითიდან არგონავტების და ინფორმაციას ტიმ სევერინის მოგზაურობის შესახებ. წერილობით უპასუხონ კითხვას: არგონავტების მოგზაურობა მითია თუ რეალობა. დაიმოწმონ ადგილები, რითაც თავის ნათქვამს დაადასტურებენ.

მინი ლექცია კოლხეთის სამეფოს შესახებ: კოლხეთის სამეფო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ძველი ბერძნული წყაროების თანახმად, სამეფოს აიეტის შთამომავლები ანუ აიეტიდები მართავდნენ. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევების შესუსტების შემდეგ, კოლხეთის სამეფომ დამოუკიდებლობა კვლავ აღიდგინა. მისი საზღვრები ამჯერად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. კოლხეთი ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა იყო. იქ იჭრებოდა ვერცხლის ფული. კოლხეთი სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერაც იყო. „კოლხური თეთრის“ გარდა, უხვად იყო მიმოქცევაში მეზობელი ქვეყნების – სინოპური, ათენური, აქემენიანთა მონეტები. კოლხეთში განვითარებული იყო ოქროს მეტალურგია. დიდი რაოდენობით კოლხური ოქროს ნაკეთობები აღმოჩენილია ქალაქ ვანის ნასახლარში, რომელიც კოლხეთის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი იყო.

არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყნისათვის სიმდიდრე დალოცვაა, ზოგის აზრით კი – წყევლა. გამართონ დისკუსია აღნიშნულ თემაზე (სავარაუდო არგუმენტები: ქვეყანას ეყოლება ბევრი მტერი, რომელსაც მოუნდება ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდება ან სიმდიდრე ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას).

გაკვეთილის თემა	3.7. სამეგრელო – საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის დამცველი
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა საქართველოს მონღოლთა ბატონობის პერიოდის ფაქტებსა და მოვლენებს მოსწავლე აანალიზებს პიროვნების როლს ისტორიაში
ესგ მისაღწევი შედეგი	(II)1 (II)2 (II)14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მინი ლექცია საქართველოში მონღოლთა ბატონობის შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 2.** ტექსტის ანალიზი. მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას ცოტნე დადიანის გმირობის შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 3.** წერენ თხზულებას: პიროვნების როლი ისტორიაში. (15 წთ) **აქტივობა 4.** წერითი დავალების პრეზენტაცია. (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება (5წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია იმ ისტორიულ პირებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიაში.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი
რესურსი	სახელმძღვანელო დაფა ცარცი
შეფასება	ისტორიული თხზულების შეფასების კრიტერიუმები
წინარე ცოდნა	ინფორმაცია სამეგრელოს წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე.

მინი ლექცია საქართველოში მონღოლთა ბატონობის შესახებ

თათარ-მონღოლები საქართველოში პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ. ეს იყო ჩინგიზ-ყაენის მიერ დასაპყრობი ტერიტორიების დასაზვერად გამოგზავნილი ჯარი. საქართველოში მონღოლები შემოვიდნენ აზერბაიჯანის გავლით. მათ პირველივე შეტაკებისას გამარჯვება მოიპოვეს. საპასუხოდ, ლაშა-გიორგიმ დიდი ლაშქარი შეკრიბა, თუმცა გენერალურ ბრძოლაში ამჯერადაც დამარცხდა. გამარჯვების მიუხედავად, მონღოლებმა საქართველო დატოვეს და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. 1235 წელს მონღოლთა ჯარი ქვეყანას უკვე დასაპყრობად მოადგა. რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულებმა კი მონღოლებთან შეთანხმება და უბრძოლველად დანებება არჩიეს. რუსუდანი იძულებული გახდა მტერთან ხელშეკრულება დაედო. მონღოლებმა საქართველოში მეფობა არ გააუქმეს, მაგრამ სამეფო ტახტის მემკვიდრე მათ უნდა დაემტკიცებინათ. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, ახალი მეფის დამტკიცებამდე, მონღოლებმა ქვეყნის ადმინისტრაციული წყობა და მმართველობა თავიანთი წესის მიხედვით მოაწყვეს, რაც სამხედრო ხელისუფალთა ბატონობას ნიშნავდა. ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხე დაემუქრა. ქართველმა დიდებულებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, თუმცა შეთქმულება გამჟღავნდა და მონღოლებმა ის აღკვეთეს.

ტექსტის ანალიზი – ეცნობიან ინფორმაციას ცოტნე დადიანის გმირობის შესახებ, აანალიზებენ მის მნიშვნელობას საქართველოსთვის და წერენ თხზულებას: პიროვნების როლი ისტორიაში. აფასებენ და აყალიბებენ საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული პირის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია (თავი 3. სამეგრელო)

კოლხეთის ეროვნული პარკი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე მდებარე ჭარბტენიან ტერიტორიებს მოიცავს. ამ ტერიტორიებს დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.ამას გარდა, კოლხეთის ეროვნულ პარკს განსაკუთრებულობას ისიც სძენს, რომ სწორედ აქ პოულობენ დასასვენებლ ადგილს გადამფრენი ფრინველები ევრაზიასა და აფრიკას შორის მოგზაურობისას.მრავალი ფრინველი აქ მთელი წლის ან გარკვეული სეზონის განმავლობაში ბინადრობს.კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში არსებული შავი ზღვის სანაპირო ზოლს დაცული ტერიტორიის სტატუსი ზღვაში გავრცელებული 3 სახეობის დელფინისა და ორაგულისებრთა დაცვის მიზნით მიენიჭა.

საუკუნეების მანძილზე ტყით მდიდარ გარემოში ცხოვრებამ და დიდმა შრომითმა გამოცდილებამ ძველი კოლხები „ხის მუშაკობაში“ დაახელოვნა. დასავლეთ საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრება მთლიანად, ხითხუროობის ხელოვნებას წარმოადგენს.

შორეული წარსულიდან დღემდე დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობა ხისგან ნაშენ სახლს ანიჭებდა უპირატესობას. წვიმიან და ნესტიან მხარეში საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით ხის სახლი აგურით ნაშენსაც კი სჯობს. იგი იშვიათად ნესტიანდება და თუ დანესტიანდა, სწრაფად ნიავდება და შრება. ხის ეს თვისება ძველ კოლხებსაც კარგად სცოდნიათ და თუმცა საშენი ქვაც საკმაოდ ჰქონდათ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში მთიან კოლხეთშიც კი ხისთვის მიუნიჭებიათ უპირატესობა. ამის თაობაზე არაერთი ცნობა შემოგვინახეს ბერძენ- რომაელმა ავტორებმა. ქსენოფონტეს(ძვ.წ.V ს) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას უნახავს ხის ზღუდით გარშემორტყმული ქალაქები და სოფლები, სადაც მისივე თქმით „მრავალრიცხოვან და მშვენიერ სახლებში“ და „ხისგან ნაშენ სიმაგრეებში“ ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა.

კლასიკური მწერლების ცნობებს ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. 1933 წელს, სოფელ რეკაში, სადგურ ქველონის მახლობლად, (სენაკის რაიონი) აღმოჩნდა დიდი ყორღანი „ნაოხვამუ“, რომლის გათხრის დროს ოთხი მეტრის სიღრმეში ნაპოვნი იყო ხის ნაგებობა ბოძებიანი სახლის ტიპის და ამ ნაგებობის ორმოები სავსე აღმოჩნდა წაბლის და თხილის ნაჭუჭებით, აგრეთვე ფეტვის ქერქით, ტახის ძვლებით და სხვა პროდუქტების ნარჩენებით.

ჩვ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში მოღვაწე რომაელმა ხუროთმოძღვარმა მარკ ვიტრუვიუსმა თავის ათ წიგნად დაწერილ შრომაში „ ტრაქტატი არქიტექტურის შესახებ“, მოგვცა ერთი კოლხური საცხოვრებლის მოკლე აღწერილობა. ტყის სიუხვის გამო, წერს იგი, ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანი ძალებით აგებს სახლებს. ძელებს აწყობენ ოთხკუთხედად, შემდეგ მათ ბოლო ნაწილებზე სხვა ძელებს დააწყობენ გარდიგარდმოდ, ისე, რომ მათი მომატებისას შეიკრას შენობის სივრცე. შემდეგ ძელების ერთიმეორეზე შენაცვლებით შეკრავენ საძირკვლის კუთხეებს და კვლავ ძელების შენაცვლებით ამოჰყავთ კედლები. კედლებში, ძელებს შორის დარჩენილ ღრიჯოებს- სიცარიელეს ამოავსებენ ნაფოტებით და შემდეგ თიხით შელესავენ. ამავე წესით ამთავრებენ სახურავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი ძელები თანდათან მოკლდება და შესაბამისად სახურავიც ოთხივე მხრიდან თავს იყრის ცენტრში. ასევე აშენებენ კოლხები კოშკებსო- გვამცნობს ვიტრუვიუსი, რომელიც არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ იყო ეს სახლები გამართული შიგნით.

მისიონერებმა არქანჯელო ლამბერტიმ და ქრისტეფორე კასტელმა, რომლებსაც მხატვრობაც ემარჯვებოდათ, დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სახლების ჩანახატებიც დაგვიტოვეს. ამ ჩანახატებს ქართული ხალხური მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ტრადიციულად გავრცელებული ნაგებობების პირველი გრაფიკული გამოსახულებაა.

რუბრიკა პიროვნება ისტორიაში

საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ეპოქიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოს ლევან II დადიანზე ძლიერი მმართველი არ ჰყოლია. მამამისი მანუჩარ დადიანი ოდიშის (შემდგომში სამეგრელოს) სამთავროს მართავდა. დედამისი ნესტან-დარეჯან ბაგრატიონი აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ქალიშვილი იყო, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა. ლევანმა ბავშვობა დედულეთში გაატარა. 1611 წელს, ნადირობისას, მამამისი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და 14 წლის ლევანს ოდიშის მთავრის მოვალეობის შესრულება მოუხდა. ამ თანამდებობას იგი სიკვდილამდე ანუ 46 წლის მანძილზე იკავებდა.

ლევან დადიანი ძალღონეს არ იშურებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის და ამ მიზნით კათოლიკურ ეკლესიასთან კავშირების დამყარებას შეეცადა. 1626 წელს რომის ემისრები საქართველოში ჩამოვიდნენ საჩუქრებითა და წერილებით, რომლებიც ქართლ-კახეთის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის მთავრებს პაპმა ურბან VIII-მ გამოუგზავნა. პაპის ელჩებმა ლევანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. ისინი არა მხოლოდ ზოგადი განათლებით გამოირჩეოდნენ, არამედ ისეთ სფეროებშიც კი, როგორიცაა მედიცინა, საინჟინრო საქმე, გეოგრაფია და ასტრონომია, საკმაო კომპეტენტურობა გამოავლინეს. მისთვის სტუმრები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ პოლიტიკურ მოკავშირეებს, არამედ ძალას, რომელიც ოდიშს მოდერნიზებასა და ჩამორჩენილი ეკონომიკის განვითარებაში დაეხმარებოდა.

დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებისათვის ლევანმა ამბიციური გეგმა შეიმუშავა, რომელიც ოდიშის ინფრასტრუქტურის განვითარებას, აბრეშუმის წარმოების აღმავლობასა და სპეციალური სავაჭრო ქალაქის აშენებას გულისხმობდა. ეს სავაჭრო ცენტრი ოდიშის გავლით აღმოსავლეთსა და დასავლეთს დააკავშირებდა . ლევანმა აგრეთვე ზარაფხანის აშენებაც ბრძანა, რათა ამ გეგმის დასაფინანსებელი ფული მოეჭრათ.

იმ დროისათვის ახლო და შორეული აღმოსავლეთიდან მომავალი საქონელი ევროპაში ორი ძირითადი გზით ხვდებოდა: ზღვით (ხმელთაშუა ზღვის გავლით) და ხმელეთით (ოსმალოთა ტერიტორიის გავლით). ლევანმა მიზნად დაისახა, ამ სავაჭრო გზებში მრავალფეროვნება შეეტანა და ოდიშზე გამავალი ახალი სავაჭრო გზა დაემკვიდრებინა. იმ პერიოდში ოდიში სტაბილურ და უსაფრთხო ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო იმაზე დაბალი საბაჟო ტარიფების დაწესება, ვიდრე თურქები ახდევინებდნენ მოვაჭრეებს თავიანთ ტერიტორიაზე საქონლის გატარებაში, და ამით მსურველები გადმოებირებინა. თანაც ოდიშის მარშრუტი შედარებით უფრო სწრაფი ტრანზიტისა და დროის საგრძნობი დაზოგვის საშუალებას იძლეოდა.

1640-იან წლებში, საკუთარი ეკონომიკური გეგმის პირველი ეტაპის განხორციელების შემდეგ, ლევანმა პაპის ემისრები რომში დააბრუნა და თან გულითადი წერილი გაატანა, რომელშიც პაპს უმორჩილესად სთხოვდა, რომ აბრეშუმისა და შალის დამზადების ოსტატები გამოეგზავნა ოდიშში, რათა აქაურებისათვის ძაფის დართვისა და ქსოვის ხელობა ესწავლებინათ. ლევანი ჰპირდებოდა, რომ ამ „მრეწველობის ელჩებს“ მიწით, სახლებითა და მსახურებით უზრუნველყოფდა. თუმცა, სანამ წარგზავნილებმა რომს მიაღწიეს, ურბან VIII გარდაიცვალა, ახალი პაპი ინოკენტი X (1644-1655) კი აღარ იზიარებდა საქართველოსთან კავშირების გაბმის ინტერესს. იგი ლოცვა-კურთხევით შემოიფარგლა და ლევანს ოდიშის ეკონომიკური წინსვლის იმედი გაუცრუვდა.

ლევან დადიანმა ვალებიდან გამოიხსნა **იერუსალიმის** ჯვარის მონასტერი და მისი რესტავრირებისათვის საჭირო თანხებიც გაიღო, მანვე რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ამჟამად პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერს წარმოადგენს. ლევანის მეცენატობით არაერთი სხვა კულტურული ღონისძიება გატარდა. ლევანის მოღვაწეობის წლებში იქმნებოდა დიდი რაოდენობით ეპიგრაფიკული ძეგლები.

ამონარიდები იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“

აღვწეროთ ეხლა მეგრელების კარ-მიდამო. აღვნიშნოთ ჯერ, რომ ყოველ მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი და სარეველას ვერ ნახავთ. ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სიწმინდით. ეზოს არტყია გარშემო თხრილი და ღობე. ყოველი მოსახლე სცდილობს, რომ, რაც შეიძლება, მშვენიერი ღობე გააკეთოს. ამ ღობეს წარმოადგენს მიწაში დასობილი ერთმანერთზე წკნელით მიკრული მაგარი სარები. შესავალთან სდგამენ დიდს ალაყაფის კარებს, რომელიც გამაგრებულია კოჭებით და დიდის ხეებით; ზედ გამოქანდაკებულია სხვადასხვა სახე პირუტყვებისა ან სხვის რისამე. თუმცა ყოველივე ეს ტლანქად არის გაკეთებული, მაგრამ რაღაც სოფლურ სილამაზეს მაინც აძლევს ნაწარმოებს. საჩრდილობლად რგავენ ეზოში სხვა-და-სხვა ხეს, უფრო ხში რად კი რცხილას (Carpeno). ეს ხე ისე უშველებელი იზრდება კოლხიდაში, რომ ყველა სხვა ხეს აჭარბებს სიმაღლით და თვით ბუნებამაც ისეთი მშვენიერი სახე მისცა, რომ, ცხადია, ხელოვნებას არ შეუძლიან რაიმე დასძინოს თავის მხრით: ძირს რაც ტოტები აქვს, ფრიად გაშლილია ირგვლივ და მერე ნელ-ნელა რაც ზემოდ მიდის, უფრო ვიწროვდება და ბოლოს წვერში სულ გაწვრილდება და მთლად დაემსგავსება ფიჭვის (Pigna) ნაყოფს. ასეთს ხეებს სხვა-და-სხვა რიგად რგავენ: ზოგიერთებს სიგრძეზე მწკრივად გააყოლებენ, რათა დღის განმავლობაში კაცს შეეძლოს, როცა მოისურვებს, ჩრდილს ქვეშ გაისეირნოს; ზოგიერთებს კი ირგვლივ, წრესავით რგავენ, რათა მრავალს კაცს ერთად შეეძლოს ჩრდილს ქვეშ მოთავსდეს და პური სჭამოს ან მოისვენოს, თუ მოისურვებს. აი, ამ ხეების ჩრდილის წყალობით მეგრელები მთელს ზაფხულს გაურბიან აკვამლებულ სახლს და მუდამდღე თუ სახლში ჯდომას წვიმა არ აიძულებს, დროს გარედ ატარებენ და დაღამებამდინ სულ ეზოში არიან: დასეირნობენ, საქმეებს არიგებენ, სჭამენ და სძინავთ კიდეც. შემოღობილ ეზოში სახლს და სხვა-და-სხვა საჭირო შენობებს ირგვლივ სდგამენ ისეთ მანძილზე ერთმანეთზე, რომ, ვინიცობაა, ერთს რომელსამე შენობას ცეცხლი გაუჩნდეს, დანარჩენები არ გადიწვას. ალაყაფის კარებში რომ შეხვალთ, პირველად წარმოგიდგებათ ყველაზე უფრო დიდი შენობა, რომელსაც მეგრულად ოხორო (Ochórs) ჰქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული. როგორც კი შინაურები შენიშნავენ, რომ ვინმე უცხო შემოვიდაო ეზოში, მაშინვე მიეგებებიან და შეიყვანებენ ოხოროში, სადაც სტუმარი, თუ ზამთარია, ცოტაოდნად ცეცხლს მოითბობს, მოისვენებს და მერე სახლის პატრონთან მიიყვანებენ. ოხოროში ზამთრობით პურსა სჭამენ და ერთ კუთხეში სახლის პატრონის საუკეთესო ცხენი აბია, რათა ხელად ჰყავდეს, თუ უეცრად დასჭირდა.

მეგრელები წვეულებასა და დღესასწაულში იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდის გრძელიადა ყურთმაჯები მიწამდის უწვდება. ეს ტანისამოსი მეტად მშვენიერია, როგორც მოყვანილობით, აგრეთვე მდიდრულის ქსოვილით, რომლისგანაც იკერება. ჰკერავენ ამ ტანისამოსს დამასკის ქსოვილისა, ან ხავერდისა და ფარჩისაგან; სარჩულად უდებენ სიასამურის ტყავს და მაღლიდან ქვედამდი შემკულია ოქროს ან მარგალიტის ღილებით. ყოველ თავად-აზნაურს ამისთანა ტანისამოსი რამდენიმე აქვს სხვადასხვა ქსოვილისა, რომ გარემოებისამებრ ან ერთი ჩაიცვას, ან მეორე. ეს ტანისამოსი საერთოა როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის. ქალები თუმცა ჩვენს ქვეყანაზე შორს არიან, მაგრამ კეკლუცობაში არ ჩამოუვარდებიან ჩვენს ქალებს.

უცხოელები თუ არიან პურისჭამის დროს, მათ პატივსა სცემენ მათის ღირსების და წოდების კვალობაზე. თუ იგინი თანასწორნი არიან მასპინძლისა, მასპინძელი ფეხზე მდგომი განკარგულებებს იძლევა, რათა სტუმრებს კარგათ ემსახურონ და ყველაფერი რიგზე იყოს. თავში მასპინძელი თავის ხელითაც ემსახურება ასეთს სტუმრებს, თვითონ მიართმევს საჭმელს, დაუსხამს პირველად სასმელს და მხოლოდ შემდეგ ამისა დაჯდება პურის საჭმელად.

არც ერთი ერი ისეთ პატივს არა სცემს მიწად-მოქმედებას როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ხეპრე გლეხები. სამეგრელოში, კი რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ მუშაობს თავის ყანებს და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ. პირიქით, ყოველი წინდახედული მეოჯახე აზნაური მეტად ეტანება ამ მუშაობას. თვითონ იღებს ხელში თოხსა და ბევრ ოფლსა ღვრის თავის ყანების შესამუშავებლად. მეგრელებს ანდაზაც აქვთ, რომ საჭმელი ყველას უნდა, აზნაურსაც და გლეხსაც, და ამიტომ ყოველმა კაცმა თავის ხელით უნდა მოიწიოს

ის, რაც მას საცხოვრებლად ეჭირვებაო. მთავრიდან დაწყებული უკანასკნელ მეგრელამდი სიამოვნებით ეტანებიან მიწად-მოქმედებას და დიდის გულმოდგინებით ამუშავებენ თავიანთ ყანებს.

მეგრელების უმთავრესი მოსაქმეობაა ნადირობა და ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი მას ეტანება. ამას ხელს უწყობს მათი ქვეყნის მდებარეობა: მოსახლეთა გარშემო ბუჩქებში, გორაკებზე და მინდვრებში ხშირად მოდის სხვა-და-სხვა გარეული ცხოველი, რომელსაც მცხოვრებნი თვალით ხედვენ და რასაკვირველია სურვილი აღეძრებათ მათი დაჭერისა, და ამის გამო ნადირობას მიეცემიან. მათ ანდაზაც აქვთ, რომელიც ამბობს, რომ ბედნიერი კაცი ის არისო, ვასაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინოო.

ეხლანდელს მეტად გულკეთილ მთავარს ჩველებად არა აქვს სიკვდილით დასჯა არც ერთის დანაშაულობისათვის, რაც უნდა მძიმე იყოს იგი. თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მისი ვეზირის საქმეს. მხოლოდ ერთ შემთხვევისათვის მას აქვს დაწესებული სიკვდილით დასჯა, სახელდობრ ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნივთებს მოიპარავენ, ან ეკლესიას გადაწვავენ. სხვა ყოველივე დანაშაულობა შეიძლება მთავარმა აპატიოს ფულის გადახდევინებით, ან ვისმე მფარველობის გამო და რაც შეეხება მკრეხელობას, ამის ჩამდენი ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ დასჯილი უნდა იქმნას სიკვდილით. ჩემსობას სხვა-და-სხვა ეკლესიაში მოიპარეს რამდენიმე ოქროს და ვერცხლის ხატი სხვა-და-სხვა ძვირფასის ქვებით შემკული და აგრეთვე სხვა ძვირფასი ნივთები, რომელიც იქ ინახებოდა. ბევრი უცადეს მაგრამ ქურდები დიდხანს ვერ იბივესი ბოლოს კი, ბევრი ძებნისა და დიდის მეცადინეობის შემდეგ, ავაზაკები ხელში ჩაიგდეს, თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაულობა ჩაიდინეს. სხვა ქვეყნებზე უფრო აქ ჯერ კიდევ ისეთი პატივისცემა დარჩენიათ ეკლესიის მიმართ, რომ თვით სარწმუნოებას უფრო უღალატებენ, ვიდრე ასეთს დანაშაულობას დასტოვებენ დაუსჯელად.

ჩვენს ევროპაში როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნოობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორეს მხრით არის კარგი და მდიდრული მზითევი. საზოგადოდ ჰფიქრობენ, რომ ყოველსავე ნაკლულევანებას დაჰფარავს ოქრო და ვერცხლიო. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იდაბლებენ, ყმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითვი ქმრისთვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას.

მეგრელები, როგორც ქვეყნიერობის დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა. იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარეები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ბავშები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ შვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას. ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ ხელობას, რომ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობის დროს: საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღალავენ; საუკეთესო სურსათს აგრეთვე ინახავენ ლაშქრობისათვის; ყოველი იარაღი ისე გამოწყობილი აქვთ, რომ მთავრის პირველსავე ბრძანებისამებრ შეეძლოთ ლაშქრად გასვლა. გარდა ამისა ლოგინში რომ ისვენებენ, შვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან უდევთ ხოლმე, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ. ოდიშში ვერავინ ვერ გაინთავისუფ,ლებს თავს ლაშქრობისაგან, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, ან რაც უნდა ავადმყოფი იყოს. როგორც კი მთავარი უბრძანებს, ყოველი მეგრელი, სიტყვის შეუბრუნებლად, მზად არის გაჰყვეს. თვით მთავარიც, სხვების მაგალითისათვის, ისე ერთგულად ეკიდება თავის მოვალეობას, რომ თუმცა იგი ზოგჯერ ციებ-ცხელებით ავად ყოფილა, მაგრამ ბანაკი არ მიუტოვებია, არამედ მიუხედავად ავადმყოფობისა, შეიარაღებული შევარდნილა ხოლმე ბრძოლაში. ამ რიგად კოლხიდაში ყველა დიდი ტანჯვის და ჯაფის ატანას ეჩვევა. ლოგინში ფუფუნება რა არის, არ იციან; ყველა მიჩვეულია ჭილოფზე და ნოხზე მოსვენებას. პატარა ბავშვებს და ნორჩ ახალგაზრდობას თვით სასტიკ ზამთარშიც ფეხთ არ აცმევენ და ამ რიგად აჩვევენ თოვლში ფეხშიშველ სიარულს. საშინელ პაპანაქება სიცხეში სანადიროდ მიდიან. ხშირად შიშვლები გავლენ ხოლმე უდიდესს მდინარეებში. ყოველსავე ამას იმიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც ჩვეულებრივ ომიანობას თან მოაქვს. როცა მთავარს უნდა ომი დაიწყოს, მას არ სჭირდება არც დოლის დაკვრა ჯარის შესაკრებად და არც ფულისა და არც სურსათის მოგროვება ჯარის სარჩენად. საკმაოა მხოლოდ, რომ

საჭიროების დროს რამდენიმე შიკრიკი გაგზავნოს სამთავროს ყოველ მხარეს ბარათებით დიდებულებთან, აზნაურებთან და თანამდებობის პირებთან და აცნობოს, რომ იგინი ამდენი დღის განმავლობაშ მთელი თავის კაცებით, იარაღით და სურსათით გამოცხადნენ ამა და ამ ადგილს, სადაც უნდა შეიყაროს ლაშქარი. ამასთანავე ისიც უნდა აცნობოს, თუ რამდენი დღის სამყოფი სურსათი წამოიღონ თან. ამ ამბის მოსვლის დღიდან დანიშნულ დრომდის ყველა თავის სურსათს ამზადებს, ათვალიერებს თავის იარაღს და ცხენებს, შეაკეთებს საომარ მოწყობილებას, გასინჯავს თავის კაცებს და დანიშნულ დროს გამოცხადდება ნაჩვენებ ადგილს. კოლხიდა ისე ნაკლებადაა ცნობილი, რომ შეიძლება არავინ დაიჯეროს, თუ ვიტყვი, რა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯარი გამოჰყავს მთავარს საომრად: სულ მცირე ხანში შეჰკრებს ხოლმე ოცდაათი ათასს მეომარს, სულ ცხენოსანს, კარგად გამოცდილს და გავარჯიშებულს. თუმცა ჩვეულებრივ მთავარი თხოულობს, რომ კომლზე ერთი კაცი გამოვიდეს ლაშქრად, მაგრამ აზნაურობა უფრო თავის სურვილით, ვიდრე კანონით, სულ ერთიანად გამოდის, ისე რომ აზნაურს თუ ხუთი ან ექვსი ვაჟი ჰყავს, ესენი ყველანი გაჰყვებიან საომრად მთავარს, უკეთუ იმ ხანში არიან, რომ ცხენზე შეჯდომა შეუძლიათ. როცა მეტი გაჭირვება არის და მეტი ჯარი არის საჭირო, მაშინ ბრძანება გამოდის, რომ კომლზე ორი და სამი კაცი გამოვიდეს ლაშქრად. ზოგჯერ გამოდის ბრძანება, რომ სახლში დარჩეს მის დასაცველად მხოლოდ ერთი და დანარჩენები, ვისაც შეუძლია იარაღის ხელში დაჭერა, გამოვიდნენ საომრადო.

სამეგრელოში დროს გასატარებლად ბევრი სხვადასხვა თამაშობაა. მათ შორის ზოგი გავრცელებულია მთელს ქვეყნიერობაზე და ზოგი საკუთრივ სამეგრელოში და საქართველოშია გავრცელებული და სხვაგან არსად. პირველთაგანია: ჭადრაკი, ნარდი და ბანქო. ჭადრაკსა და ნარდს უფრო ქალები ეტანებიან, ვიდრე კაცები და ისე მარდად და ხელოვნურად თამაშობენ, რომ საუცხოვო სანახავია. ბანქო იშვიათია და მხოლოდ უდიდებულესი თავადები თამაშობენ მას. საკუთრად იქაური თამაშობა-კი ორნაირია: ბურთაობა და ნიშანში შვილდ -ისრის სროლა.

მეგრელები ურთიერთ-დამოკიდებულებაში ისეთ მოხდენილ ქცევას იჩენენ, რომ ამ მხრით მათ ბარბაროსები კი არ ეთქმით, არამედ შეიძლება მათი შედარება მეტად ზრდილობიან კარისკაცებთან. თუმცა ყველა თავის მოქმედებაში მეგრელები იცავენ გარკვეულ თავაზიანობას.მეგრელები უფრო ხშირად ხმარობენ მუხლ-მოდრეკას, რომელიც ფრიად კეთილშობილ ჩვეულებად მიაჩნიათ. მუხლს იდრეკენ ბევრს შემთხვევაში და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დიდი ხნის უნახაობის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან. ამ შემთხვევაში ცხენიდან ჩამოხტებიან და მიესალმებიან ერთმანეთს მუხლ-მოდრეკით. აგრევე მიესალმებიან და მიულოცავენ მშვიდობით ჩამოსვლას იმას, ვინც დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდება, და იმასაც, ვინც დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ლოგინიდან ადგება და გარედ გამოვა: ყველა, ვინც მას შეხვდება, მუხლმოდრეკით მიესალმება და ეტყვის: მადლობა ღმერთს, რომ კარგად და მშვიდობით გნახეო. როცა ვინმე გარდაიცვლება და მისი ახლობელი ნათესავი სამგლოვიარო ტანისამოსით შემოსილი გარედ გამოვა, ამ ნათესავს ეგრე გამოუცხადებენ სამძიმარს: ჯერ დაუჩოქებენ და მერე მარჯვენა ხელით ქუდს მოიხდიან და მარცხენათი ოთხჯერ თუ ხუთჯერ გულში იცემენ, ურვისა და მწუხარების ნიშნად.

თუ პურის ჭამის დროს ჭიშკართან ვინმე უცხომ გაიარა, მეგრელების ზრდილობა თხოულობს მაშინვე კაცი მიაგებონ და შემოიპატიჟონ. ამიტომაც ჭიშკარს არასოდეს არ ხურავენ პურის ჭამის დროს და ხშირადაც პურის საჭმელად შარა გზასთან სხდებიან: როცა ვინმე უცხო გაივლის, უსათუოდ მიიპატიჟებენ სუფრაზე. ხოლო გამვლელს არავითარი უარი არ გაუვა. როცა მიპატიჟებული დაჯდება სუფრაზე, მასპინძელი უნდა გაუმასპინძლდეს იმით, რაც წინ უდევს. როცა მასპინძელი უთავაზებს საჭმელს, სტუმარი მას დაბლად თავს დაუკრავს და მარჯვენა ხელს თავზე დაიდებს, _ ამით იგი ამბობს, რომ ყოველივე ეს დიდი მოწყალებაა ჩემს თავზეო. რაც უნდა საპატიო იყოს შემოსწრებული სტუმარი, მასპინძელი თავის ვალად არ რაცხს უბრძანოს თავისიანებს ახალი საჭმელი მოიტანონ და სრულიად საკმაოდ მიაჩნია მიართვას სტუმარს ის, რაც სუფრაზე უდევს. სტუმარი სრულებით კმაყოფილია ამ საჭმელით, რაც უნდა მცირე იყოს იგი, რადგან მას საჭმელის სხვა-და-სხვაობა და სიუხვე როდი ასიამოვნებს, არამედ მხოლოდ მიპატიჟება და თავაზიანობა.

სათესად კი მთელი ქვეყანა ვარგა, თუმცა მეტის-მეტი სინოტიეს გამო, რომელიც ალპობს თესლს, მიწა იმდენს მოსავალს არ იძლევა, რამდენსაც ასეთი მიწა სხვაგან მოიტანდა. დიდი ნაწილი მიწისა დაუმუშავებელია მთავრის განკარგულებით, რადგან მას სურს, რომ მეტი ადგილი იყოს თავისუფალი ირმებზე და ტახებზე სანადიროდ. მეგრელებს დიდის გულმოდგინეობით მოჰყავთ ღომი (ჩვენებურად პანიგო

და მათი ჩვეულებრივი საჭმელი) და ამისათვის სამეგრელოში, როგორც ჩვენშიაც, ყოველგან შეხვდებით ბუჩქებს დიდ ხეების ძაგიერ, რათა ხეების ჩრდილმა არ ავნოს ღომს.ხეებს ერთიანად შემოსხეპავენ ტოტებს, ისე რომ დასტოვებენ მარტო ღერს ხისას, რომელზედაც ძლივს ადის ვაზი. შემოჭრილ ტოტებით ღობეს უკეთებენ დათესილ მიწებს, რათა დაიცვან ისინი მინდვრებში გაშვებულ პირუტყვებისაგან. ხეების გაკრეჭის შემდეგ შეუდგებიან ხვნას და დახნვენ მიწას ოთხჯერ თუ ხუთჯერ იმავე ზომის გუთნით, როგორც ჩვენი გუთანია, მაგრამ მათ გუთანს მხოლოდ წვერში აქვს სულ პატარა რკინა, ოთხი თითის დადება, და დანარჩენი ნაწილი სულ ხისაა. მათის გონივრული აზრით რკინის გუთნის გაკეთება მეტი ხარჯია, რადგან ხარებს დაამძიმებს და ამ პატარა რკინითაც იოლად მიდიან. მიწას რომ დაამზადებენ, თესვას შეუდგებიან, ისე რომ პეტრე-პავლობისათვის თითქმის ათავებენ ხვნა-თესვას. მაგრამ ამის შემდეგ უფრო დიდი შრომა იწყება: სინოტიეს გამო აქ სარეველა ბალახი სწრაფად იზრდება და დიდი შრომაა საჭირო მის მოსასპობად. თუ რამდენიმე დღე დასცალდა ბალახს ზრდა, ისე იმატებს, რომ სულ გააქრობს ნათესს. ამიტომ მიწიდან თავს იჩენს თუ არა ღომი, მაშინვე გამოთოხნა სჭირდება, რადგან საქმე საჩქაროა და პატრონი თავის კაცებით ვეღარ ერევა, მეზობლები უნდა მოიხმაროს. ვინც უკვე დასთესა ყანა და თოხნას უნდა შეუდგეს, იწვევს მოსახმარებლად იმათ, რომელთაც ჯერ თოხნის დრო არ დასდგომია. თავის დროზე სხვები ამათ მოეხმარებიან. რადგან ეს დიდი შრომა საშინელ სიცხეში უნდა აიტანოს კაცმა მისი გასაადვილებლად ისეთი ხერხი მოუგონიათ, რომ გეგონებათ, მთელი სოფელი ქეიფობსო. **ამ ხერხს შეადგენს სამი რამე: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი,** რომელსაც მამულის პატრონი იძლევა. ხშირად ნადი შესდგება ორმოცდაათის და სამოცის ჩარაზმულ მთოხნელისაგან. იმ დროს რომ გაამხნევოს იგინი, პატრონიც თავში ჩაუდგება თოხით და თოხნის, როგორც დანარჩენები. სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადს, გამოუგონიათ მარტო ამიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ იმათ ჩქარა იმუშაონ. ამისათვის საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნასაც ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას: რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ. ამისათვის თავში დადგება ორი მომღერალი და იწყებს სიმღერას. ამ მეთაურებს ერთი-ორად ეძლევა ულუფა იმისათვის, რომ თოხნა დააჩქარებინოს სხვებს. საჭმელი საკმაოდ უხვი აქვთ, რადგან იგია მათი შრომის ერთად-ერთი ფასი. დღის განმავლობაში სამჯერ მიუტანებენ საჭმელს ყანაში. დაღამებისას კი პატრონის სახლში უმზადებენ ვახშამს, რომელიც მეტად უხვია. ამ დრო ყოველსავე დარდს მუშაობის შესახებ თავიდან იშორებენ, შუაღამემდის სხედან და დროს ატარებენ ჭამაში, სმაში და სიმღერაში. რა მშვენიერი სანახავია, როცა მზის ჩასვლისას თოხნას გაათავებენ და მიდიან პატრონის სახლში, თითქო ერთი დროშის ჯარისკაცებიაო, გაუდვიათ მხრებზე თოხები და ექვს თუ რვა წყებად, ნელ-ნელა მიდიან, თან მიიმღერიან და დიდის ამბით შედიან პატრონის ეზოში. აქ შემოვლენ თუ არა, დასხდებიან ირგვლივ, და მაშინვე მათ მოუტანებენ საჭმელს.

კარი 4. სვანეთი

გაკვეთილის თემა	**4.4. სტიქიური მოვლენები სვანეთში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა სვანეთში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებს, აანალიზებს მათ გამომწვევ მიზეზებს და მსჯელობს თავდაცვით ღონისძიებებზე.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II)3 (II)6 (II)7 (II)12
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სვამს კითხვას, რომელ სტიქიურ მოვლენებს იცნობენ. პასუხები იწერება დაფაზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** გაეცნონ ტექსტში არსებულ ინფორმაციას და მონახონ წინადადებები, სადაც ადამიანის ბუნებისადმი უდიერ დამოკიდებულებაზეა საუბარი. (15 წთ) **აქტივობა 3.** ჯგუფებში იმსჯელონ და ზეპირი პრეზენტაციის სახით წარმოადგინონ შემდეგი საკითხი: რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მოქალაქემ და სახელმწიფომ, რათა თავიდან ავიცილოთ სტიქიური უბედურებით გამოწვეული პრობლემები. (15 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია ეკომიგრანტების შესახებ და წარუდგინონ კლასს.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა ცარცი
შეფასება	მიმდინარე დავალების და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები
წინარე ცოდნა	სტიქიური მოვლენები და მათთან ბრძოლის საშუალებები

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ მათთვის ნაცნობი სტიქიური მოვლენები: წყალდიდობა, მიწისძვრა, ღვარცოფი, ზვავი, ხანძარი, გვალვა და სხვა.

წინადადებები ტექსტიდან, რომლებიც ადამიანის ბუნებისადმი უდიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს: მათ დაივიწყეს ტრადიციები, ცოდნა, რომლებიც წინაპრისგან ჰქონდათ გადმოცემული, სახლი იქ ააშენეს სადაც მეწყერსაშიში და ზვავსაშიში ადგილებია, ხე იქ მოჭრეს, სადაც მათი მოჭრა არ შეიძლებოდა.

მესამე აქტივობისთვის შეიძლება T დიაგრამის გამოყენება, სადაც ჩაწერენ, ერთის მხრივ, რა ევალება მოქალაქეს, მეორე მხრივ კი – რა ევალება სახელმწიფოს იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ სტიქიური უბედურებისაგან გამოწვეული პრობლემები.

ელექტრონული რესურსების გამოყენებით მოიძიონ ინფორმაცია ეკომიგრანტების შესახებ.

გაკვეთილის თემა	4.7. სვანეთი – საქართველოს განძთსაცავი
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, აანალიზებს მათ მნიშვნელობას და მსჯელობს მათ მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების აუცილებლობაზე
ესგ-თი მისაღწევი შედეგი	(II) 3 (II)7 (II)12 (II)14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მოსწავლეების ჯიგსოუს მეთოდით ამუშავებენ სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას (20 წთ) **აქტივობა 2.** პრეზენტაცია (15 წთ) **აქტივობა 3.** ცხრილი: ვიცოდი, გავიგე, მინდა ვიცოდე. (5 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია სვანეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსპონატების შესახებ (იხ. რესურსების ჩამონათვალი).
საკლასო მენეჯმენტი	პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა
რესურსი	სახელმძღვანელო, თაბახის ფურცლები. მარკერები
შეფასება	პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია სვანეთის ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული ობიექტების შესახებ, გადაადგილების საშუალებებზე.

გაკვეთილში მიწოდებულია ვრცელი მასალა სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამიტომ სასურველია მასწავლებელმა ტექსტი დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჯიგსოუს მეთოდის გამოყენებით (იხ. ჯიგსოუს მეთოდი). ამის შემდეგ ინდივიდუალურად შეავსონ ცხრილი: ვიცოდი, გავიგე, მინდა ვიცოდე.

ვიცოდი	გავიგე	მინდა ვიცოდე

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

ადიშის ოთხთავი-ძველი ქართული ენისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი,თარიღიან ოთხთავთა შორის უძველესი (თარიღდება 897წ). ნუსხა გადაწერილია კლარჯეთში,შატბერდის ლავრაში.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში(დაარსდა 1936 წელს), ადიშის ოთხთავი 1947 წელს გადაიტანეს. ადიშის ოთხთავის მნიშვნელობას ზრდის მასზე დართული ორი ანდერძი. პირველი ეკუთვნის გადამწერს- მიქაელს, მეორე დამკვეთს- სოფრომს, რომელიც შატბერდის მონასტრის წინამძღოლი ყოფილა. ხელნაწერზე არსებული ერთ-ერთი გვიანდელი მინაწერი გვამცნობს, რომ ოთხთავი რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად ტაო- კლარჯეთიდან წამოიღო ჯუმათის მამასახლისმა ნიკოლაოსმა. ზუსტად არავინ იცის როდის და როგორ მოხვდა ხელნაწერი სვანეთში, მაგრამ წიგნის არშიებზე გაკეთებული მინაწერებიდან ჩანს, რომ ის XVI ს-ში უკვე სვანეთში ატანილი და ულამაზეს სოფელ ადიშშია დავანებული. მეცნიერული დასკვნის შედეგად დამტკიცდა, რომ ადიშის ოთხთავი გადაწერილია ბერძნული დედნიდან, რომელიც არ შემონახულა.

მარილი სვანეთს – ფილმი გადაღებულია 1930 წელს რეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილის მიერ. დიდი სიმართლითაა ნაჩვენები სვანეთში ცხოვრების სიმძიმე. მკაცრი და აუტანელი პირობები, რომელსაც მარილის უქონლობა და დეფიციტი ემატება. მოსახლეობა ჩადის ბარში მარილის შესაძენად, მაგრამ უგზოობის გამო ბევრი იღუპება. ფილმი ოპტიმისტურად უნდა დამთავრებულიყო. ასეთი იყო დროის მოთხოვნა. ამიტომ ფილმში ნაჩვენებია კადრები თუ როგორ ინგრევა კლდეები, ფეთქდება მთები. საბჭოთა ხელისუფლებას გაჰყავს გზა, რომელიც რეალურად უფრო გვიან გაჩნდა. ფილმი ეკრანებზე მხოლოდ 4 დღე გადიოდა. ის აკრძალეს. უცხოელმა კინემატოგრაფისტებმა კი მაღალი შეფასება მისცეს და ლუის მუნიუელის „უპურო მიწას“ ადარებდნენ.

თეთნულდის კურორტის მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყო და 2016 წლის იანვარში დასრულდა. კურორტი ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, მესტიიდან 15 კილომეტრში მდებარეობს. სპეციალისტების დასკვნით, კურორტი „თეთნულდი“ ერთდროულად 6806 დამსვენებლის მიღებას შეძლებს, სათხილამურო კომპლექსი კი ერთდროულად 4100 მოთხილამურეს მოემსახურება. უნიკალური კურორტი ტურიტებს ოთხივე სეზონის განმავლობაში უმასპინძლებს. სათხილამურო პერიოდი კი 6-7 თვემდე გახანგრძლივდება.კურორტ თეთნულდზე მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრი 112-ის მთავარი მიზანია დაიცვას როგორც ადამიანების, ისე კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება. შეტყობინების მიღება შესაძლებელია მთელი საქართველოდან 24 საათის განმავლობაში. ზარი უფასოა და დარეკვა შეიძლება მაშინაც, თუკი ფიქსირებული ან მობილური ტელეფონი ორმხრივად არის გათიშული ან მობილურში არ დევს სიმ ბარათი.

112 არ უნდა აკრიფოთ: ცრუ განგაშის გამოწვევის მიზნით, გართობის მიზნით, პიროვნების ტელეფონის გასაგებად, ტაქსის გამოსაძახებლად, ამინდის პროგნოზის გასაგებად და სხვა მსგავს შემთხვევებში.

მესტიის აეროპორტის მშენებლობა დასრულდა 2010 წელს. ის აგრეთვე ცნობილია, როგორც მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი. აქვს ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. ზამთრის პერიოდში აეროპორტი იღებს ერთმოტორიან თვითმფრინავებს და მცირე – 18 ადამიანის ტევადობის სამგზავრო თვითმფრინავებს. მესტიის აეროპორტი მსოფლიოს 10 ყველაზე უჩვეულო აეროპორტთა სიაში მოხვდა და მას „პატარა ქართული სასწაული უწოდეს“.

კარტოფილის სამშობლო სამხრეთი და ცენტრალური ამერიკაა.დღეისათვის ეს კულტურა გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოში, სადაც მოსახლეობამ მისი მოყვანა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის დონიდან 1000- 2500 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

კარტოფილი გარემო პირობების მიმართ კარგი შემგუებლობით გამოირჩევა. ამჟამად მსოფლიოში კარტოფილის 4 ათასამდე ჯიშია ცნობილი.

ევროპელთა სუფრაზე პერუელების „მიწის ვაშლი“ (ასე მონათლეს კარტოფილი) გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ მოხვდა. ფრანგი აგრონომი ანტუან პარმანტიე მეფის კარზე აყვავებული კარტოფილის თაიგულით გამოცხადდა და უჩვეულო ყვავილებით წარჩინებული მანდილოსნებიც მოხიბლა.პარმანტიემ კარგად იცოდა კარტოფილის სასიკეთო თვისებების შესახებ, მაგრამ თავდაპირველად ვერ მოიფიქრა მოსახლეობაში ამ კულტურის მიმართ ინტერესი როგორ აღეძრა. ამიტომაც, სამეფო კარის აგრონომმა ეშმაკურ ხერხს მიმართა. მან ბრძანება გასცა, სახელმწიფოს მიწებზე მთლიანად კარტოფილი დაეთესათ, მინდვრის გარშემო კი შეიარაღებული დაცვა დაეყენებინათ.არადა, ეს დაცვა მხოლოდ პირობითი იყო. დღისით გულდაგულ ყარაულობდნენ კარტოფილის ნათესებს, საღამოთი კი დასაძინებლად მიდიოდნენ. გლეხებმა კარგად შეისწავლეს მცველთა „დღის რეჟიმი“ და სულ ერთიანად მოიპარეს დათესილი კარტოფილი- ამოთხარეს და თავიანთ ნათესებში გადაიტანეს.იმავე წელს უხვი მოსავალი მიიღეს და ამიერიდან კარტოფილი მათ ნაკვეთებში ძირითადი კულტურა გახდა.

სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის დიდი ნაწილი შერეული და წიწვოვანი ტყეებითაა დაფარული, სადაც იზრდება არაერთი რელიქტური და ენდემური სახეობის მცენარე. მრავალფეროვანია ფაუნაც. აქ ბინადრობენ: არჩვი, დათვი, ჯიხვი, კვერნა, კავკასიური ბიგა, მთის არწივი, ბატკანძერი, ორბი.

კარი 5. აჭარა

გაკვეთილის თემა	5.2. აჭარული კარმიდამო და დასახლების ტიპები
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა აჭარული კარმიდამოს თავისებურებებს მოსწავლე აანალიზებს დასახლების ამა თუ იმ ტიპის ჩამოყალიბების მიზეზებს. მოსწავლე შეადარებს დასახლების ტიპებს სხვადასხვა მხარეში.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II)3 (II)5 (II)7 (II)11
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მოსწავლეებმა გაიხსენონ, რა ფაქტორები ახდენდა გავლენას დასახლების ტიპებზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** გაეცნონ სახელმძღვანელოს ტექსტს და აღწერონ აჭარული კარმიდამო. მონახონ მსგავსება – განსხვავება დასავლეთ საქართველოს მხარეების სახლებთან. (20წთ) **აქტივობა 3.** მინი ლექცია აჭარის, როგორც მეწყერსაშიში მხარის შესახებ. მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას მეწყერის გამომწვევ მიზეზებზე და ეკომიგრანტებზე. (10 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება (5წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია აჭარის სამშენებლო ტრადიციების შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, რუკა
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
წინარე ცოდნა	ბუნებრივი გარემო და გეოგრაფიული მახასიათებელი, საცხოვრებელი სახლების ტიპები

აქტივობა პირველი – დაასახელონ , რა ფაქტორები ახდენდა გავლენას დასახლების ტიპებზე (ბუნებრივი პირობები, კლიმატი, რესურსები).

აჭარული კარმიდამოს გაცნობით, შეძლონ მისი შედარება იმერულ ან მეგრულ საცხოვრებელ სახლებთან. (სამშენებლო მასალა, ტიპი).

მინი ლექციის სახით მასწავლებელმა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჭარა ერთ-ერთი მეწყერსაშიში მხარეა, რამაც გამოიწვია ეკომიგრანტების არსებობაც, რომ ისინი სახელმწიფომ ჩაასახლა საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისთვის

1981-1988 წლებში აჭარიდან ჩამოსული მოსახლეობა მეტწილად ასპინძისა და ადიგენის რაიონებში ჩაასახლეს. ეს რეგიონები ორი მიზეზით იყო მიმზიდველი მიგრირებული მოსახლეობისთვის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ისინი მთიან აჭარასთან ახლოსაა. მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ამ რაიონებში მოსახლეობის ჩასახლების ტრადიცია უკვე არსებობდა. 1940-იანი წლებიდან, როდესაც მესხები იძულებულით იქნენ დეპორტირებულები შუა აზიაში და მათ ნაცვლად საქართველოს სხვა ნაწილებიდან იქ ხალხი ჩამოასახლეს. ის ფაქტი, რომ სამცხის ქართული მოსახლეობის უმრავლესობა რეგიონში ახლახანს ჩასახლდა, ბევრი მიგრანტის აზრით, უფრო სტუმართმოყვარეს ხდის ამ რეგიონს ახალჩამოსულთათვის.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი სახალხო დამცველის ანგარიში.

გაკვეთილის თემა	5.3. აჭარელთა სტუმართმოყვარეობა
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა აჭარელთა ტრადიციებს. მოსწავლე ანალიზებს ტრადიციების მნიშვნელობას. მოსწავლე მსჯელობს ტრადიციების დაცვის მიზანშეწონილობაზე.
ესგ შედეგები	(II)1 (II)3 (II)6 (II)7 (II)13 (II)14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მეცნიერის სიტყვებით: „აჭარელს, თუ რამ აბადია, სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცად თვლის“ და თხოვს მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ გამონათქვმთან დაკავშირებით. თუ შეუძლიათ მოიყვანონ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან ან სხვების ნაამბობიდან.(10 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს აჭარელთა სტუმართმოყვარეობის შესახებ და მსჯელობენ, რამდენად შეესაბამება მიღებული ინფორმაცია მეცნიერის გამონათქვამს და ხაზი გაუსვან წინადადებებს, სადაც ჩანს ურთიერთდახმარების ტრადიციის არსებობაც. (5 წთ) **აქტივობა 3.** ჩამოთვალონ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს აჭარაში ტურიზმის განვითარებას. (5 წთ) **აქტივობა 4.** იმსჯელონ, რამდენად შეიძლება ტოლერანტულმა საზოგადოებამ განსაზღვროს ტურიზმის განვითარების მასშტაბები. (5 წთ) **აქტივობა 5.** მოამზადონ ზეპირი პრეზენტაცია, სად დაისვენებდნენ აჭარაში და რამ განაპირობა მათი არჩევანი. (10 წთ) **აქტივობა 6.** შეფასება. **აქტივობა 7.** საშინაო დავალება – დაწერონ წერილი აჭარაში მცხოვრებ თანატოლთან, რომელშიც გამოთქვამს აჭარაში ჩასვლის დასაბუთებულ სურვილს.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისთვის, რომელიც გამოადგებათ აჭარელთა სტუმართ-მოყვარეობისა და ტურიზმის განვითარებაზე სასაუბროდ.

ინტერვიუ ჩაქვის მცხოვრებ ისტორიკოს ი. გორგილაძესთან:

ტურიზმი მოსახლეობის ახალ ტალღას უყრის სათავეს. აქ უამრავი სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა რელიგიის ადამიანი ჩამოდის. ნაწილი უძრავ ქონებას იძენს და სახლდება, ნაწილი სეზონურად, ნაწილი მუდმივად. ჩაქვის მოსახლეობის ჭრელი შემადგენლობა არ შემცირებულა, პირიქით, კიდევ უფრო „გაჭრელდა“. დაემატნენ თურქები, არაბები. ჩინელები აქ ადრეც ცხოვრობდნენ.

მშვიდობიანი თანაცხოვრება თავისთავად ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს, მაშასადამე, მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას. ეს ორი ფაქტორი ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთის დაკარგვა, მეორეს განადგურებას იწვევს.

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

მტირალას ეროვნული პარკი ევროპაში ყველაზე უხვნალექიან ადგილას მდებარეობს. პარკში შემონახულია უნიკალური მერქნიანი მცენარეების ტყე. მხოლოდ აქ იზრდება მშვენიერი ეპიგეა, ასევე სხვაგან არსად გვხვდება შქერიანი. საკმაოდ მდიდარია მტირალას ეროვნული პარკის ფაუნა, როგორც ძუძუმწოვრებითა და ფრინველებით, ისე ამფიბიებით, რომელთა შორის აღსანიშნავია კავკასიური სალამანდრა და მცირეაზიული ტრიტონი.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები ქობულეთის რაიონში მდებარეობს და კინტრიშის ნაკრძალსა და დაცულ ლანდშაფტს მოიცავს. კინტრიშის მთიანი ფერდობები სხვადასხვა ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყითაა დაფარული, რომელშიც იშვიათი რელიქტური მცენარეებია შერჩეული, მათ შორის 600-700 წლის უთხოვრები.ნაკრძალი მდინარე კინტრიშით შუაზე გაყოფილ ერთ მთლიან ტყის მასივს წარმოადგენს. მდინარის შენაკადები ადგილ- ადგილ პატარა ჩანჩქერებს ქმნიან. ნაკრძალის ქვემო საზღვარი ზღვის დონიდან 250-300 მეტრზე მდებარეობს, ზედა კი ალპურ იალაღებს ებჯინება. სხვა ცხოველებს შორის, კინტრიშში წავიც ბინადრობს, რომლის საყვარელი საკვებია მთის კალმახი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი – დაარსდა 1912 წელს ანდრეი კრასოვის მიერ. ბაღს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, რადგანაც აქ ერთმანეთის გვერდით მსოფლიოს 5 კონტინენტის მცენარეები ხარობს. ამ თანაარსებობას ხელს უწყობს ბაღის ცალკეულ მონაკვეთებზე ნიადაგისა და ჰავის თავისებურებები. ბაღში, სადაც 3 დენდრო პარკი, კოლხეთის ტყის ნაკრძალი და ლანდშაფტურ- გეოგრაფიული პრინციპით გაშენებული 9 განყოფილებაა, 2000-ზე მეტი სახეობის მცენარე ხარობს. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში წლის ნებისმიერ დროს ნახავთ აყვავებულ მცენარეებს. აქ მხოლოდ ზამთარში მოყვავილე 40 მცენარეა.

ბათუმის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა – დელფინარიუმი 1974 წელს გაიხსნა და იმ დროისათვის მსოფლიოს უდიდეს დელფინარიუმთა რიცხვში იყო. 1991 წელს დელფინარიუმმა მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ 20-წლიანი პაუზის შემდეგ მოხერხდა მისი აღდგენა. დღეს იგი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით. ზღვის ცხოველებისათვის განკუთვნილ ძირითად, დამხმარე და ასევე საკარანტინო აუზებში წყალი ყოველ 2 საათში ერთხელ იფილტრება.

გეჯური მეფუტკრეობა – ფუტკრის მოვლის ტექნოლოგია. იყენებდნენ ძველებური ტიპის სკას, რომელსაც ჯარას უწოდებდნენ. მზადდებოდა ცაცხვის ან წაბლის მორებისგან. თანამედროვე სკისგან განსხვავებით, მასში არ იყო ხელოვნური ფიჭა და არ ჰქონდა ჩარჩო. ფუტკრები თავად აშენებდნენ ფიჭას, რასაც დიდი დრო და ენერგია ჭირდებოდა, შედეგად ეცემოდა ფუტკრის პროდუქტიულობა. აჭარაში დღესაც შეხვდებით მსგავს სკებს წიფლის ხეებზე (დათვისთვის ხელმიუწვდომელს) გეჯური სკები აჭარაში რამდენიმე მეფუტკრეს აქვს. მზარდ ინტერესს იჩენენ ტურისტები. სწორი მიდგომის შემთხვევაში, როგორც ეკოტურიზმის სექტორის ნაწილს, ისე აქვს განვითარების პერსპექტივა.

საციხურის ჯამე – აჭარის სოფელ საციხურში არსებული ჯამე, გარდა იმისა, რომ 200 წელზე მეტი ხნისაა, უნიკალურია თავისი ჩუქურთმებით. საყურადღებოა წნულები კარზე. ჯამე კაკლის ხისგანაა ნაგები. 2006 წელს შეიტანეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძეგლთა სიაში. როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ჩუქურთმები, რომლითაც ჯამეს ნაწილებია მოპირკეთებული, ქართული კულტურისთვისაა დამახასიათებელი და მის ანალოგიებს ვხვდებით ლაზეთშიც.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში ამბობენ, რომ ხაბელაშვილების ხიდი სამი საუკუნის წინ ოსტატ ბერიძეს სოფლების ერთმანეთთან დასაკავშირებლად აუგია. სოფლის რწმუნებულის ინფორმაციით, ხიდს წარსულში სატრანზიტო მნიშვნელობა ჰქონდა, ის შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობის სოფლების – ბრილის, მოხევისა და ბარათაულის დამაკავშირებელი გზა იყო, ასევე უკავშირდებოდა ხულოს მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელ გზას. ხიდი ბზის მასალითაა აგებული, გამოყენებულია წაბლის მასალაც, მისი ბალავარი კი ქვითკირით ნაგებია. ხაბელაშვილების ხის კოჭებიანი ხიდი წარსულში ყავრით იყო გადახურული, მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში კი, დაზიანების გამო, ხიდი თუნუქით გადახურეს.

11. შემაჯამებელი დავალება — რა ვიცი და რა შემიძლია

თავი I. ქართლი

დავალების პირობა- პროექტის მომზადება თემაზე: რა ზომებია მისაღები ჩვენს მხარეში სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად.

საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ესგ გათვალისწინებული მისაღწევი შედეგი

საზ. მეც. (II) 3, საზ. მეც. (II) 5 საზ. მეც. (II) 11 საზ. მეც (II) 14

უნარ-ჩვევები, რომელიც განუვითარდებათ დავალების შესრულების შემდეგ

ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, თანამშრომლობა, კვლევა, პრობლემის გააზრება, პოზიციის შემუშავება.

მიზანი – მოსწავლეებმა მოიპოვონ ინფორმაცია მათი მხარისათვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენის/ მოვლენების შესახებ, გააანალიზონ მათი გამომწვევი მიზეზები და იმსჯელონ ამ მოვლენების თავიდან აცილების გზებზე. გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ.

ორგანიზების ფორმა – მცირე ჯგუფები

დავალების შეფასების რუბრიკა

I კრიტერიუმი

№	**სამუშაოს ორგანიზება**	ქულები
1	სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის დავალებები სწორად გადანაწილდა	2
2	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	1
3	სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა	0

II კრიტერიუმი

№	**ინტერვიუს ფორმისა და კითხვების შესაბამისობა დავალების მიზანთან**	ქულები
1	ინტერვიუს ფორმა, დასმული კითხვები ადეკვატურია და შესაბამისობაშია დავალების მიზანთან	2
2.	ინტერვიუს ფორმა, დასმული კითხვები ნაწილობრივ პასუხობს დავალების მიზანს და პრობლემის გააზრებაც ნაკლებად ადეკვატურია	1
3	ინტერვიუს ფორმა, დასმული კითხვები არ პასუხობს დავალების მიზანს	0

III კრიტერიუმი

№	**მოძიებული მასალის ადეკვატურობა**	ქულები
1.	მოძიებული მასალა ადეკვატურია დავალების მიზანთან, შინაარსობრივად გამართულია და არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს	2
2	მოძიებული მასალა შეესაბამება დავალების მიზანს, თუმცა აღინიშნება შინაარსობრივი გაუმართაობა და ფაქტობრივი შეცდომები	1
3	მოძიებული მასალა არაადეკვატურია დავალების მიზანთან	0

IV კრიტერიუმი

№	**პრეზენტაციის მიზნის გააზრება**	ქულები
1	ჯგუფის წევრებს ესმით პრეზენტაციის მიზანი, წარმოდგენილი თეზისები და კვლევის შედეგები შესაბამისობაშია დავალების მოთხოვნასთან	2
2	ჯგუფის წევრებს ესმით პრეზენტაციის მიზანი, თუმცა მათი კვლევის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება დავალების მოთხოვნას	1
3	ჯგუფის წევრებს არ აქვთ გააზრებული პრეზენტაციის მიზანი	0

V კრიტერიუმი

№	**პლაკატის შესაბამისობა დავალების მიზანთან**	ქულები
	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატის შინაარსი ადეკვატურია მოცემულ დავალებასთან. პლაკატს ახლავს შესაბამისი მოწოდება სტიქიური მოვლენების თავიდან აცილების გზების შესახებ	2
2.	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატი და მოწოდება ნაკლებად შეესაბამება დავალების მიზანს	1
3.	ჯგუფის წევრებს არ აქვთ მომზადებული პლაკატი ან პლაკატის შინაარსი არ შეესაბამება დავალების მიზანს	0

თავი II იმერეთი შემაჯამებელი დავალება – რა ვიცი და რა შემიძლია

შემაჯამებელ სამუშაოში რა ვიცი და რა შემიძლია, მოცემულია რამდენიმე ტიპის დავალება. მასწავლებელს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების მიხედვით შეუძლია აირჩიოს რომელიმე მათგანი ან თავად მოსწავლეებს მისცეს არჩევანის საშუალება თუ რომელ დავალებაზე იმუშავებენ. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

.საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ესგ გათვალისწინებული მისაღწევი შედეგი

საზ. მეც. (II) 2. საზ. მეც. (II) 3 საზ. მეც. (II) 11 საზ. მეც (II) 14 საზ. მეც . (II) 15

დავალება I – ექსკურსია

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ექსკურსია შეიცავს სწავლების ელემენტს და ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური პროცესი. ამ პროცესში მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც გასცემს ინფორმაციას და ის ვინც იღებს ამ ინფორმაციას. ექსკურსია ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებს განუვითარდეთ სოციალური და კვლევითი უნარები. ამ ტიპის აქტივობები ახალისებს შეკითხვებს მოსწავლეების მხრიდან, აღიარებს მათ ინიციატივას, ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობას. საშუალებას აძლევს ცოდნის განვითარებისა და გააზრებისათვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი აქტივობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: I ექსკურსიისათვის მომზადება ანუ წინასწარ შეირჩევა ობიექტი (ამ შემთხვევაში მუზეუმი) ხდება შესწავლილი მასალის განმეორება და დამატებითი ინფორმაციის მოძიება. II საკუთრივ ექსკურსია III ექსკურსიის შემდეგ მუშაობა, საექსკურსიო მასალის გასამტკიცებლად. ამისათვის სასურველი იქნება მოსწავლეებმა გააკეთონ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა იყო ახალი, რაც მუზეუმში ნახეს, რომელი ექსპონატი მოეწონათ და რატომ, რა დამატებითი ინფორმაცია მიიღეს. ამის შემდეგ შეგიძლიათ მისცეთ წერილობითი დავალება „მე რომ ექსკურსიამძღოლი ვიყო“, რომელსაც შეაფასებთ შემდეგი რუბრიკით. დავალების მაქსიმალური ქულაა-10

შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
დავალება სტრუქტურულად და ენობრივად გამართულია	1
მოსწავლე განმარტავს ექსკურსიის, როგორც სასწავლო ღონისძიების მნიშვნელობას	1
იცნობს ექსკურსიაზე ქცევის წესებს	1
ასახელებს ტურისტულ მარშუტს და ასაბუთებს საკუთარ არჩევანს	2
განსაზღვრავს ექსკურსიისათვის საჭირო დროს და ასაბუთებს ცვლილებების შეტანის აუცილებლობას	2
განსაზღვრავს ექსკურსიისათვის საჭირო რესურსებს	1
დავალების შინაარსი შეესაბამება სათაურს	1
ნაშრომში ჩანს მოსწავლის ინფორმირებულობა	1

დავალება 2 ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა. მოსწავლეებს ევალებათ მოიძიონ ძველი ნივთები, მოაწყონ ეთნოგრაფიული კუთხე და მოირგონ ექსკურსიამძღოლის როლი.

მიზანი – მოსწავლეებს განუვითარდებათ ინფორმაციის მოძიების და ორგანიზების, კომუნიკაციის, კვლევის უნარები.

შეფასების რუბრიკა. დავალების მაქსიმალური ქულაა – 10

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
მეტყველებს მკაფიოდ და გასაგებად	1
ეფექტურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს	1
ასაბუთებს საკუთარი არჩევანის მართებულობას მის მიერ შერჩეულ ნივთზე	1
მოძიებული მასალა სათანადოდაა დამუშავებული. მოძიებული მასალა მწირია და ზედაპირულადაა დამუშავებული-1	2
შინაარსი კორექტულია, ფაქტები ზუსტია და მკაფიო-3 შინაარსი ძირითადად კორექტულია თუმცა გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ინფორმაცია-2 შინაარსი შეუსაბამოა და ხშირად ვხვდებით მცდარ ინფორმაციას-1 შინაარსი არ შეესაბამება დავალების პირობას-0	3
ინფორმაციის ფლობის უნარი(ადეკვატური კითხვა- პასუხი)	1
დროის ლიმიტის დაცვა	1

დავალება 3 . პრეზენტაციის მომზადება ჯგუფებში თემაზე „დინოზავრები საქართველოში“. დავალება ფასდება შემდეგი რუბრიკის გამოყენებით. დავალების მაქსიმალური ქულაა-10

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაცნობიერება ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა-2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა-1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა-0	2
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა-2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა-1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა-0	2
დროის ლიმიტი იცავენ დროის ლიმიტს-2 უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა-1 ვერ იცავენ დროის ლიმიტს-0	2
თემა გასაგებადაა წარმოდგენილი	1
შინაარსი კორექტულია, ფაქტები ზუსტია და მკაფიო, გამოყენებულია თვალსაჩინოებები-3 შინაარსი ძირითადად კორექტულია, გამოყენებულია თვალსაჩინოებები, თუმცა გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ინფორმაცია-2 შინაარსი შეუსაბამოა და ხშირად ვხვდებით მცდარ ინფორმაციას, თვალსაჩინოებები მწირია-1 შინაარი შეუსაბამოა, არ არის გამოყენებული თვალსაჩინოებები-0	3

დავალება IV ითვალისწინებს თანატოლებისათვის, რომლებსაც არ აქვთ სწავლისა და დასვენების პირობები, დახმარების აღმოჩენას. ამ დავალების ფარგლებში მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ შემდეგი აქტივობა, რომლის მიზანიც ბავშვთა უფლება- მოვალეობების გაცნობიერებაა.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგი

საზ. მეც (II) 8 საზ. მეც (II)9

მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს დაურიგეთ ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლების ჩამონათვალი, რომელსაც წინასწარ გაეცნობიან. ჯგუფებმა თაბახის ფურცლებზე უნდა დაამზადონ პოსტერები, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში ჩაწერონ რომელიმე მუხლის ტექსტი აღნიშნული კონვენციიდან და გამოთქვან საკუთარი მოსაზრება თუ რას გულისხმობს ეს უფლება (მაგ., განათლების უფლება, დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, შეხედულებებისა და ინტერესის გამოხატვის უფლება), მეორეში ჩააკრან სურათი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ამ უფლებას, მესამეში კი ის პასუხისმგებლობა, რომელიც აღნიშნული უფლების დასაცავად ეკისრებათ. მოაწყვეთ ამ პოსტერების გამოფენა.

დავალების შეფასების რუბრიკა

მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	დაბალი
ჯგუფის წევრები იცნობენ ბავშვთა უფლებებს და აცნობიერებენ თავის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას	ჯგუფის წევრები იცნობენ ბავშვთა უფლებებს და ცდილობენ გააცნობიერონ თავისი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა	ჯგუფის წევრები იცნობენ ბავშვთა უფლებებს და საჭიროებენ დახმარებას გააცნობიერონ თავისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა	ჯგუფის წევრები არ იცნობენ ბავშვთა უფლებებს და არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

თავი III სამეგრელო შემაჯამებელი დავალება – რა ვიცი და რა შემიძლია

შემაჯამებელი სამუშაო მოიცავს რამდენიმე ტიპის დავალებას, რომელთაგან მასწავლებელს კლასის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი.

დავალება 1. პროექტი გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ფრინველების შესახებ

საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ესგ მისაღწევი შედეგები საზ. მეც (II) 2 საზ. მეც. (II) 7, საზ. მეც. (II) 8 საზ. მეც (II) 9 საზ. მეც (II) 12

მიზანი- მოიძიონ ინფორმაცია გადაშენების პირას მყოფი ფრინველებისა და ცხოველების შესახებ, გააანალიზოს ადამიანის ზემოქმედების მავნე შედეგები, გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა ამ პრობლემის მიმართ და საკუთარი ჩართულობით მისი გამოსწორების მექანიზმები.

ორგანიზების ფორმა- მცირე ჯგუფები

დავალება ფასდება 10 ქულით.

დავალების შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულები
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაცნობიერება (ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა - 2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა - 1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა - 0	2
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა - 2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა - 1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა - 0	2
ინტერნეტ რესურსებითა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მოძიებული მასალა ადეკვატურია დავალების მიზანთან - 2 ინტერნეტ რესურსებითა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მოძიებული მასალა ნაკლებად ადეკვატურია დავალების მიზანთან - 1 ინტერნეტ რესურსებითა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მოძიებული მასალა არ არის დეკვატური დავალების მიზანთან - 0	2
დაგეგმილი აქტივობები (ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელის საშუალებით, საკუთარ მხარეში გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ფრინველების სახეობების დადგენა) შესაბამისობაშია პროექტის მიზანთან-2 დაგეგმილი აქტივობები (ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელის საშუალებით, საკუთარ მხარეში გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ფრინველების სახეობების დადგენა) ნაკლებადაა შესაბამისობაში პროექტის მიზანთან და კვლევა ჩატარებულია ზედაპირულად - 1 დაგეგმილი აქტივობები(ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელის საშუალებით, საკუთარ მხარეში გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ფრინველების სახეობების დადგენა) არ შეესაბამება პროექტის მიზანს ან არ არის ჩატარებული - 0	2
მოწოდების ტექსტი შესაბამისობაშია პროექტის მიზანთან და გამყარებულია არგუმენტებით - 2 მოწოდების ტექსტი ნაკლებად არგუმენტირებულია - 1 ჯგუფს არ შეუდგენია მოწოდების ტექსტი - 0	2

დავალება 2 მეგრული სამზარეულოს დღე- კონკურსი

საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ესგ მისაღწევი შედეგი საზ. მეც.(II) 3 საზ. მეც (II) 10 საზ. მეც. (II) 14

კონკურსისათვის მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შეარჩიოს ერთ-ერთი მეგრული კერძი, მოამზადოს კონკურსისათვის. ჯგუფის მუშაობა შეფასდება შესაბამისი რუბრიკით, რომელსაც წინასწარ გააცნობთ მოსწავლეებს.

დავალების შეფასების რუბრიკა. მაქსიმალური ქულა-10

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა-2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა-1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა-0	2
დროის ლიმიტის დაცვა	1
ჰიგიენური პირობების დაცვა	1
პროდუქტების სწორი შერჩევა	1
ნედლეულის დამუშავება და კერძების მომზადებისათვის ხელსაწყოების სწორად გამოყენება	1
კერძის მომზადების მეთოდის სწორად შერჩევა	1
ფინანსური დანახარჯის სწორად განსაზღვრა	1
კერძის გემო	1
კერძის გაფორმება	1

თავი IV სვანეთი შემაჯამებელი დავალება რა ვიცი და რა შემიძლია

საგნობრიცი სტანდარტის შესაბამისად ესგ მისაღწევი შედეგები: საზ. მეც (II) 3 საზ . მეც (II) 7 საზ. მეც (II) 8 საზ. მეც(II) 9 საზ. მეც (II)14

მიზანი- მოსწავლეებმა გააცნობიერონ ელექტროენერგიის არაგონივრული ხარჯვის მავნე შედეგები გარემო პირობებზე, გამოავლინონ ინიციატივა და დასახონ პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზები, განუვითარდეთ ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

დავალების შეფასების რუბრიკა

I კრიტერიუმი

№	სამუშაოს ორგანიზება	ქულები
1.	სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის დავალებები სწორად გადანაწილდა	2
2	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	1
3	სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა	0

II კრიტერიუმი

№	კვლევის (გამოკითხვა, მონაცემთა შედარება, პრაქტიკული ცდის შედეგები) შესაბამისობა დავალების მიზანთან	ქულები
1	კვლევა (გამოკითხვა, მონაცემთა შედარება, პრაქტიკული ცდის შედეგები) ადეკვატურია და შესაბამისობაშია დავალების მიზანთან	2
2	კვლევა (გამოკითხვა, მონაცემთა შედარება, პრაქტიკული ცდა) ნაწილობრივ პასუხობს დავალების მიზანს და პრობლემის გააზრებაც ნაკლებად ადეკვატურია	1
3	კვლევა არ არის ჩატარებული	0

III კრიტერიუმი

№	ინტერნეტ- რესურსებით მოძიებული მასალის ადეკვატურობა	ქულები
1	მოძიებული მასალა ადეკვატურია დავალების მიზანთან, შინაარსობრივად გამართულია და არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს	2
2	მოძიებული მასალა შეესაბამება დავალების მიზანს, თუმცა აღინიშნება შინაარსობრივი გაუმართაობა და ფაქტობრივი შეცდომები	1
3	მოძიებული მასალა არაადეკვატურია დავალების მიზანთან	0

IV კრიტერიუმი

№	ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ქულები
1	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა	2
2	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	1
3	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა	0

V კრიტერიუმი

№	პლაკატის შესაბამისობა დავალების მიზანთან	ქულები
1	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატის შინაარსი ადეკვატურია მოცემულ დავალებასთან. და მოუწოდებს წყლის ხარჯვის ეკონომიისკენ	2
2	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატი ნაკლებად შეესაბამება დავალების მიზანს. არ ჩანს მოწოდება წყლის ხარჯვის ეკონომიისკენ	1
3	ჯგუფის წევრებს არ აქვთ მომზადებული პლაკატი ან პლაკატის შინაარსი არ შეესაბამება დავალების მიზანს	0

თავი V აჭარა – შემაჯამებელი დავალება რა ვიცი და რა შემიძლია

პრეზენტაციის მომზადება წერილობით ან ელექტრონულად.

საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ესგ მისაღწევი შედეგები: საზ. მეც.(II) 3 (II) 7 (II) 13 (II) 14

მიზანი – მოიძიოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე მსოფლიოსა და საქართველოში, დაახასიათოს აჭარის ტურისტული პოტენციალი, გაანალიზოს მისი განვითარების პერსპექტივები და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

დავალების შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა-2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა-1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა-0	2
ინფორმაციის მოძიების ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შესახებ ჯგუფი ადეკვატურად იყენებს ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა ხერხს(ინტერნეტი, გამოკითხვა)-2 ჯგუფი იყენებს ინფორმაციის მოძიების მხოლოდ ერთ ხერხს(მაგ: ინტერნეტი, ან მხოლოდ გამოკითხვა)-1 ჯგუფს არ აქვს მოძიებული მასალა სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული განვითარების შესახებ-0	2
მონაცემთა დამუშავება ჯგუფის წევრების მიერ ხდება მონაცემთა სრულყოფილი დამუშავება, შედარება და ანალიზი-2 ჯგუფის წევრების მიერ მონაცემთა დამუშავება ზედაპირულია-1 ჯგუფის წევრები არ ახდენენ მონაცემთა დამუშავებას-0	2
კომფორტული დასვენების კრიტერიუმების შედგენა	1
ჯგუფის წევრები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას	1
ჯგუფის წევრები აკეთებენ დასკვნებს და ამყარებენ კონკრეტული მაგალითებით	1
ჯგუფის წევრების მსჯელობა არგუმენტირებული და ლოგიკურია	1

12. დამატებითი ინსტრუმენტები

რჩევები მოსწავლეებს:

ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე, რისი წარმოდგენაც კი შეგიძლიათ. მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეძლებთ ყველაზე მნიშვნელოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებას საკვლევ თემაზე.

ინფორმაციის ნახვა

ვინაიდან ინტერნეტი ყველასათვის არის ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია განათავსოს ინფორმაცია. აუცილებელია შეამოწმოთ, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოიპოვეთ, ვიდრე მას გამოიყენებთ.

სცადეთ, შემდეგნაირად დააყენოთ პრობლემა:

- იგივე ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის სხვა გვერდებზე?
- ვის მიერ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია?
- რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს პირს ან ორგანიზაციას, რომელმაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო?
- სანდოა ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც აქვეყნებს მოცემულ ინფორმაციას?
- ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია გადაამოწმეთ სხვა წყაროების საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარების გზით:
- ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნებში, ინტერვიუების საშუალებით ან საკუთრი გამოცდილებით?
- ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ახალია? გასაგები ენით არის გადმოცემული, უფრო გასაგებია ვიდრე ის მსგავსი ინფორმაცია, რომელიც წიგნში შეიძლება იყოს მოცემული, ინტერვიუს საშუალებით ან პირადი გამოცდილებით შეიძლება იყოს მოპოვებული?
- რომელი ინფორმაცია ესადაგება შენს მიზანს ყველაზე მეტად?

სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება

ტექსტის მსგავსად, სურათიც მრავალ ინფორმაციას შეიცავს. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ სურათის ინტერპრეტაციასა და მის აღქმა-გაგებაში.

სურათის განხილვა

- აღწერეთ სურათი თქვენი სიტყვებით.
- გაუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით , თუ რა ქმნის სურათში აზრს, რა არის მასში განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი.
- დაუსვით ერთმანეთს კითხვები სურათთან დაკავშირებით.
- მიეცით ერთმანეთს მცირე დავალებები, როგორიცაა, მოძებნე, იპოვე, მაჩვენე, ამიხსენი...
- იმსჯელეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რატომ იქნა შერჩეული ეს სურათები? რომელი სურათი ესადაგება და იძლევა დამატებით ინფორმაციას იმ ტექსტზე, რომელზეც არის დართული სურათები? რომელი სურათი ეწინააღმდეგება ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებას?

გამოფენის მოწყობა

რჩევები

1. რისი ჩვენება გვსურს?
   - რა არის ის მთავარი გზავნილი, რისი თქმაც ამ გამოფენის საშუალებით გვსურს?
   - რა სახელწოდება შევურჩიოთ გამოფენას?
2. ვინაა აუდიტორია?
   - ჩვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები
   - მშობლები და დედმამიშვილები
   - კლიეტები ტურისტული სააგენტოდან
3. სად გაიმართება გამოფენა?
   - საკლასო ოთახში თუ სკოლის სხვა ტერიტორიაზე
   - საჯარო ადგილზე (მაგალითად, მუნიციპალური შენობის დარბაზში)
   - რა სივრცე ექნება დათმობილი გამოფენას და როგორი იქნება განათება?
   - გვექნება ის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვსურს რომ გვქონდეს?

4. როგორ გავხადოთ გამოფენა შთამბეჭდავი?
   - მოდელები და საგამოფენო ექსპონატები ისე უნდა განვათავსოთ, რომ შესაძლებელი იყოს ხელით შეხება
   - უნდა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ სივრცე იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს საგამოფენო ტერიტორიაზე თამაშის მოწყობა, ექსპონატების მოსინჯვა, მათზე დაკვირვება თუ ექსპერიმენტის ჩატარება
   - შევქმნათ მუსიკალური ფონი ან ჩვენ თავად დავუკრათ მუსიკა
   - შევთავაზოთ დამთვალიერებელს მსუბუქი ლანჩი
   - დავნიშნოთ გიდები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობენ
   - დავამზადოთ ფლაერები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობს
   - მოვაწყოთ შეჯიბრება ან ვიქტორინა
5. გამოფენის გამართვამდე, ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია გამოფენის შესახებ?
   - სკოლის მოსწავლეებს
   - სკოლის მომსახურე პერსონალს
   - სკოლის საბჭოს წევრებს
   - დამრიგებელს
   - ექსპერტს, რომელიც დაგვეხმარება გამოფენის გამართვაში
   - სტუმრებს
6. რა უნდა გავაკეთოთ?
   - შევადგინოთ გეგმა
   - შევადგინოთ მასალათა ჩამონათვალი
   - შევადგინოთ დროის განრიგი (ვინ რას აკეთებს და რა დროს)
   - ვაწარმოოთ ხარჯთაღრიცხვა (რა თანხა გვაქვს ხელთ და რამდენი დავხარჯეთ)
   - დავამზადოთ ფლაერები ან მოსაწვევი ბარათები
   - მივაწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივ გაზეთს
7. რა შეფასება ექნება გამოფენას?
   - რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები?
   - ვინ შეაფასებს გამოფენას (მასწავლებლები, თანაკლასელები, მოწვეული სტუმრები)?

პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება

სიტყვით გამოსვლისათვის მზადება და მისი დაგეგმვა

1. ვინ იქნება მსმენელის როლში?
   - სად უნდა გაიმართოს სიტყვით გამოსვლა?
2. ვინ წარსდგება სიტყვით აუდიტორიის წინაშე?
   - მარტო უნდა წარსდგე სიტყვით თუ ჯგუფთან ერთად?
   - როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის ორგანიზება?
3. რა არის სიტყვით გამოსვლის მიზანი?
   - რას შეიტყობს ახალს წარმოთქმული სიტყვიდან დამსწრე საზოგადოება?
   - გულისხმობს თქვენი გამოსვლა, მსმენელთა მხრიდან გაჟღერებულ კითხვებზე პასუხს ან მათი მხრიდან კომენტარებს?
4. რა დრო უნდა დაეთმოს სიტყვით გამოსვლას?
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად?
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან გაკეთებულ კომენტარების მოსასმენად?
5. რა რესურსებია ხელმისაწვდომი?
   - დაფა
   - პროექტორი
   - კომპიუტერი და პროექტორი PPT-ში მომზადებული პრეზენტაციისთვის
   - პოსტერი (ფლიპჩარტი)
   - სტერეოდანადგარი
6. როგორ უნდა შეძლო აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა?
   - მიეცით აუდიტორიას საშუალება, დასვან კითხვები.

13. ტესტური დავალების ნიმუშები

შემაჯამებელი ტესტური დავალების ნიმუში. ტესტის მაქსიმალური ქულაა – 20.

დავალება I. უპასუხეთ დასმულ კითხვებს. თითო სწორი პასუხი ფასდება თითო ქულით.

1. რომელი დასახლებული პუნქტი არ მდებარეობს იმერეთში
ა. წყალტუბო **ბ.** ჭიათურა **გ.** რუსთავი

2. იმერეთს ადრე უწოდებდნენ
ა. თაკვერს **ბ.** არგვეთს **გ.** ფხოვს

3. ქუთაისი ძველ ბერძნულ მითში მოიხსენიება, როგორც
ა. აია **ბ.** ფაზისი **გ.** დიოსკურია

4. იმერეთის მდინარეებს არ მიეკუთვნება
ა. ყვირილა **ბ.** რიონი **გ.** არაგვი.

დავალება II. დაალაგეთ ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ ტაძრები მათი აგების დროის მიხედვით. დავალება ფასდება ერთი ქულით.

1. მოწამეთა
2. გელათი
3. ბაგრატის ტაძარი

დავალება III. მონახეთ შესაბამისობა ორ სვეტს შორის არსებულ ინფორმაციას შორის. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

1. ოკაცე	ა. მდინარე
2. წყალწითელა	ბ. ტბა
3. ნავენახევი	გ. კანიონი
	დ. მღვიმე

პასუხები:

1-	2-	3-

დავალება IV. ჩასვით სიტყვები გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

1.....საუკუნის ბოლოს, ჭიათურაში მნიშვნელოვანი მადანი 2..... აღმოჩნდა და იქ ქალაქის აშენება გადაწყდა. მადნის აღმოჩენიდან რამდენიმე წელიწადში აქ 3..... გაიყვანეს.

სავარაუდო პასუხები:

XIX, ქვანახშირი, საავტომობილო, მანგანუმი, რკინიგზა, XX.

დავალება V. შეცდომების აღმოჩენა. ტექსტში დაშვებულია სამი შეცდომა. ფასდება როგორც აღმოჩენილი შეცდომა, ისე მისი გასწორებული ვარიანტი. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6.

იმერეთში არაერთი ძეგლია. მოწამეთას ტაძარი მდინარე ყვირილას ხეობაშია. ქვეყანაში შემოჭრილმა მტერმა არაგვის ერისთავებს დავითსა და კონსტანტინეს სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა. მათ სახელზე აიგო ეს ტაძარი. იმერეთში მდებარეობს ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ IV-ის დროს აგებული ტაძარიც.

შეცდომაა	უნდა იყოს

დავალება VI. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღლობ პლატოებს, წყაროებთან ახლოს, ციებისაგან თავის დასაცავად. ამ წინდახედულობის გარდა, სახლებში ცეცხლი მუდმივად დღედა ღამ უნთიათ. ეს ჰაერის გაწმენდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და ამასთანავე სინესტესაც შთანთქავს.

კითხვები:

1. რატომ აშენებდნენ იმერლები სახლებს მაღლობ პლატოებზე (1 ქ)?
2. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც ცეცხლი მუდმივად ენთო სახლებში (2 ქ).

სწორი პასუხები

დავალება	**სწორი პასუხი**
1	გ
2	ბ
3	ა
4	გ
5	132
6	1-გ 2-ა 3-დ
7	XIX მანგანუმი რკინიგზა
8	ყვირილა – წყალწითელა, არაგვის – არგვეთის, ბაგრატ IV – ბაგრატ III
9	1. ციებისაგან თავის დასაცავად 2. ჰაერს წმენდს, მიწის სინესტეს შთანთქავს.

შემაჯამებელი ტესტური დავალება. მაქსიმალური ქულაა – **20**

დავალება I. უპასუხეთ დასმულ კითხვებს. თითო სწორი პასუხი ფასდება თითო ქულით.

1. რა სახელით მოიხსენიებდნენ ბერძენი ავტორები სამეგრელოს?
ა. ლაზიკა **ბ.** ოდიში **გ.** ეგრისი

2. ვინ იყვნენ არგონავტები?
ა. ბერძენი ვაჭრები
ბ. ბერძენი მოლაშქრეები
გ. ბერძენი მოგზაურები

3. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ იყო ბერძნების მიერ დაარსებული კოლონია.
ა. პიტიუნტი **ბ.** არქეოპოლისი **გ.** ფაზისი

4. რომელი გვარის წარმომადგენლების მართავდნენ სამეგრელოში?
ა. დადეშქელიანი **ბ.** შერვაშიძე **გ.** დადიანი

5. რომელმა დამპყრობელმა დაყო საქართველო დუმნებად?
ა. ოსმალებმა **ბ.** მონღოლებმა **გ.** არაბებმა

6. სადაური მოგზაური იყო არქანჯელო ლამბერტი
ა. იტალიელი **ბ.** ესპანელი **გ.** ფრანგი

7. რომელი დასახლებული პუნქტი არ არის სამეგრელოში?
ა. მესტია **ბ.** წალენჯიხა **გ.** ზუგდიდი

დავალება II. გაეცანით ცნობას და უპასუხეთ კითხვას. დავალების მაქსიმალური ქულაა – 2.

არქანჯელო ლამბერტი წერს: კოლხიდა მდიდარია ღვინით, მაგრამ ღარიბია პურით.

კითხვა: მეურნეობის რომელ დარგებს მისდევდნენ სანეგრელოში (2 ქ)

დავალება III. სწორია თუ არა მოსაზრება (კი, ან არა).

1. სამურზაყანო სამეგრელოს ნაწილია
2. ბერძნების მიერ დაარსებულ დასახლებებს ეწოდა პოლისი
3. ისლი გამოიყენებოდა სახლის გადასახურად
4. კოლხეთში მოჭრილ მონეტას ერქვა „კოლხური ვერცხლი“
5. კოლხეთის სამეფოს მართავდა აიეტი
6. კოლხეთის სამეფოში ოქროს მოიპოვებდნენ სვანეთის მთებში

დავალება IV. რომელია ზედმეტი და რატომ. დავალების მაქსიმალური ქულაა – 2.

1. ჯარგვალი
2. ნალია
3. ფაცხა

დავალება V. მონახეთ შესაბამისობა ორ სვეტს შორის არსებულ ინფორმაციაში

1. ცოტნე დადიანი	ა. სარდალი
2. აიეტი	ბ. მთავარი
3. ლამბერტი	გ. მეფე
	დ. მოგზაური

პასუხი	1-	2-	3-

სწორი პასუხები

დავალება	სწორი პასუხი
1	ა
2	ბ
3	ბ
4	დ
5	ბ
6	ა
7	ა
8	მევენახეობა, მიწათმოქმედება
9	არა
10	არა
11	კი
12	არა
13	კი
14	კი
15	ზედმეტია ნალია, ის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაა, დანარჩენი ორი საცხოვრებელი სახლის ტიპია
16	1-ბ 2-გ 3-დ

შემაჯამებელი ტესტური დავალება. მაქსიმალური ქულაა – 20.

დავალება I. უპასუხეთ დასმულ კითხვებს. თითო სწორი პასუხი ფასდება თითო ქულით

1. ვის ეწოდათ ეკომიგრანტები
2. რამ აიძულა სვანები ბარში გადასახლებულიყვნენ
3. რა ერქვა ნადირობის ქალღმერთს
4. სად ინახებოდა 897 წლით დათარიღებული უძველესი ოთხთავი
5. რისგან ამზადებდნენ სვანები ნაბდებს და ქუდებს
6. რომელი სტიქიური მოვლენა ემუქრება სვანეთს
7. რას უწოდებდნენ სვანები საცხოვრებელ სახლს
8. რომელი ქვეყანა ესაზღვრება სვანეთს ჩრდილოეთიდან
9. რომელი ძველი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთი

დავალება II. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და ჩასვით გადაადგილების საშუალებები, რომელსაც სვანეთში იყენებენ. თითო სწორი პასუხი ფასდება თითო ქულით.

თოვლმავალი		

დავალება III. რომელია ზედმეტი და რატომ. დავალების მაქსიმალური ქულაა – 2.

1. ენგური
2. ცხენისწყალი
3. ყვირილა

დავალება IV. ჩასვით სიტყვები გამოტოვებული ადგილების ნაცვლად . დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

1..... ოდითგან სვანეთის ცენტრი იყო. აქ დღემდე ბევრი კოშკია აღმართული. ისინი გამოირჩევიან თავისი სილამაზით და მნიშვნელობით. ამიტომ 2..... მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. სვანეთში მდებარეობს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი 3.....

სავარაუდო პასუხები

ლენტეხი, იუნისეფი, მესტია, თეთნულდი, იუნესკო, უშგული.

დავალება V. ტექსტის ანალიზი. წაიკითხეთ ყურადღებით ტექსტი და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა – 4.

1987 წელს სვანეთი ბოლო წლების ყველაზე მძიმე ზამთრის მოწმე გახდა. იანვარში რამდენიმე სოფელი 3-დან 5 მეტრამდე თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიისა და ლენტეხის რაიონები. სოფლებთან კავშირი გაწყდა. რისკის ზონიდან 16000 ადამიანი იქნა ევაკუირებული.

კითხვები:

1. რომელ საუკუნეში მოხდა ტექსტში დასახელებული ეკოლოგიური კატასტროფა (1 ქ)
2. რომელ სტიქიურ მოვლენაზეა საუბარი (1 ქ)
3. დაასახელეთ, ეკოლოგიური კატასტროფის შედეგები, რომელიც ტექსტშია ნახსენები (2 ქ)

სწორი პასუხები

დავალება	**სწორი პასუხი**
1	სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებულებს
2	სტიქიურმა მოვლენებმა
3	დალი
4	სოფელ ადიშში
5	ცხვრის მატყლი
6	ზვავი, მეწყერი
7	ქორს
8	რუსეთი
9	კოლხეთის სამეფო
10	მარხილი, ურემი
11	ზედმეტია ყვირილა, რადგან არ მიედინება სვანეთში
12	მესტია, იუნესკო, უშგული
13	XX, ზვავი, სოფლებთან კავშირი გაწყდა, 16000 ადამიანი იქნა ევაკუირებული

14. რესურსი

მუზეუმები

თბილისი

საქ. ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
საქ. ეროვნული მუზეუმი. გიორგი ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ
საქ. ეროვნული მუზეუმი. ეროვნული გალერეა
საქ. ეროვნული მუზეუმი. თბილისის არქეოლოგიური საცავი
საქ. ეროვნული მუზეუმი. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის მუზეუმი
კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმი
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი
აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელენის მუზეუმი
ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი
ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუზეუმი
მირზა-ფათალი ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი
ელენე ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეა
თინათინ თუმანიშვილის სახ. თოჯინების მუზეუმი
დენდროლოგიური მუზეუმი (ბოტანიკური ბაღი)
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკურ მეცნიერებათა ისტორიის მუზეუმი
თბილისის I საჯარო სკოლის მუზეუმი
გურამ რჩეულიშვილის მუზეუმი (თბილისის 30-ე საჯარო სკოლა)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი
ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი
ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი
ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა- მუზეუმი

გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური მუზეუმი
ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი
ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი
მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი
ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი
მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი
შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) სახლ-მუზეუმი

კერძო მუზეუმები თბილისში

საქართველოს მინერალების მუზეუმი – თბილისი, ლესელიძის ქ. 27/1
ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი – www.photomuseum.org.ge
უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი – თბილისი, დიმიტრი უზნაძის 12
აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმი – თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 3
ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვის სახლ-მუზეუმი – თბილისი, მიხეილ ზანდუკელის ქ. 6 D
სოსო წერეთელის ბინა-მუზეუმი – თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 2
ანიმაციური თოჯინების მუზეუმი – თბილისი, ამაღლების ქ. 29
კინოს ისტორიის მუზეუმი – დავით აღმაშენებლის გამზ. 40 (საბავშვო კინოცენტრი „ფიფქია“)
ზურაბ ლეჟავას შემოქმედებითი მემკვიდრეობის მუზეუმი – თბილისი, ბარნოვის ქ. 73
მუხრან მაჭავარიანის სახლ- მუზეუმი – თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. 48
ნათელა იანქოშვილის ბინა-მუზეუმი – თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი 26

აჭარა

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი
აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის მუზეუმი
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი
იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი
პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ახალშენის მუზეუმი
მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
შუახევის ეთნოგრაფიული მუზეუმი
სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ციხე-მუზეუმი
კვიახიძეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი
შერიფ ხიმშიაშვილის სახლ–მუზეუმი
ქედის ისტორიული მუზეუმი

გურია

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი
ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრი
გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი
ნიკო მარის სახლ-მუზეუმი
მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

იმერეთი

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა
ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ქუთაისის სპორტის მუზეუმი
ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი
ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი
ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. ოთარ ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი
კორნელი კეკელიძის მემორიალური მუზეუმი
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი
შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი
დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი
ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი
ალპინისტ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი
საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი
ხონის ისტორიული მუზეუმი
პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი
ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი
ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
უშანგი ჩხეიძის სახლ – მუზეუმი
ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი
სოფლის ისტორიის მუზეუმი

კახეთი

თელავის ისტორიული მუზეუმი
წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი
გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალი
ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი
ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი
ყვარლის მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი
ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი
ვასო გოძიაშვილის მემორიალური მუზეუმი
სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი
ვანო სარაჯიშვილის მუზეუმი
სანდრო შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი
სანდრო მირიანაშვილის მემორიალური მუზეუმი
ირეოდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი
ალექსანდრე გზირიშვილის სახლ- მუზეუმი
ილო მოსაშვილის სახლ- მუზეუმი
რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი
ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი
იოსებ ნონეშვილის მუზეუმი
გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი
ჯონ მალხაზ შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი
დიდების მემორიალი-მუზეუმი
ხალხთა მეგობრობის მუზეუმი

მცხეთა_მთიანეთი

დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი
დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი
ვაჟა-ფშაველას სახლ- მუზეუმი
დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
კორშას ეთნოგრაფიული მუზეუმი
მირზა გელოვანის სახლ- მუზეუმი

რაჭა_ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი
ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი
ფუსტელთა სკოლა- მუზეუმი

სამეგრელო და ზემო სვანეთი

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
საქ. ეროვნული მუზეუმი. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი
გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჟიული შარტავას სახ. სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი
ხობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

წალენჯიხის ეთნოგრაფიული მუზეუმი
ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი
ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი
მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი
არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი
თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი
ჟიული შარტავას მუზეუმი
ძუკუ ლოლუას სახ. ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი
აკადემიკოს ტარასი კვარაცხელის სახლ-მუზეუმი

სამცხე_ჯავახეთი

საქ. ეროვნული მუზეუმი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი
ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ნინოწმინდის საბრძოლო დიდების მუზეუმი
ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი
ვიქტორ ოვსეპიანის სახლ-მუზეუმი

ქვემო ქართლი

კლდეკარის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი
საქ. ეროვნული მუზეუმი. დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი
გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმი
ალექსანდრე მელიქ ფაშაევის სახლ-მუზეუმი
რუსთავის ისტორიული მუზეუმი

შიდა ქართლი

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი
ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი
ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი
ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი
ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი
დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი
ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი
გიორგი მაზნიაშვილის მუზეუმი
ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი

ელექტრონული რესურსები

www.mes.gov.ge (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
www.tpdc.ge (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი)
www.naec.ge (გამოცდების ეროვნული ცენტრი)
www.meca.ge (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო)
www.moecs.gov.ge (აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)
www.moe.gov.ge (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო)
www.heritagesites.ge (საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო)
www.nplg.gov.ge (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა – „საჯარო“)
www.folk.ge (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი)
www.imsa.ge (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია)
www.mastsavlebeli.ge (მასწავლებლის ინტერნეტგაზეთი)
www.manuscript.ge (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)
www.qim.ge (ქართველი ისტორიული მოღვაწენი)
www.istoria.ge
www.mtavari.ge (ქართული საბრძოლო ხელოვნება)
www.saunje.ge
www.orthodoxy.ge
www.alazani.ge
www.kvirike.ge
www.children.dsl.ge
www.georgianmuzeums.ge
www. sanostudio.ge
www.lib.ge
www.amsi.ge
www.davidrumsey.com (მსოფლიო ისტორიული რუკები)
www.codna.ge
www.icode.ge
www.buki.ge
www.school.ge
www.el.ge
http://www.diaspora.gov.ge/
http://www.church.ge/
http://www.geohistoryclub.blogspot.com/ (ისტორიკოსთა კლუბი)

ISBN 978-9941-481-05-5







დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში